საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1134/2
2018



2018 / ნოემბერი

11 (277)

## მარეკ ჰლასკო

## ლამაზები, ოცი წლისანი

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


| | | |
|---|---|---|
| პერსონა | 1 | მარეკ ჰლასკო - წმინდა ჭაბუკი |
| | 3 | მარეკ ჰლასკო \| ლამაზები, ოცი წლისანი<br>ნაწყვეტი რომანიდან |
| | 11 | მარეკ ჰლასკო \| ღვთისმშობლის თვე |
| | 14 | მარეკ ჰლასკო \| ჯვარი<br>*პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა* |
| პორტრეტი | 17 | ნანა კობაიძე \| ქეთი ქანთარია - მთარგმნელები და სხვა დანარჩენები |
| პოეზია | 24 | ნანა ქელეხიძე |
| | 27 | ანდრო დადიანი |
| | 31 | ნატა ვარადა \| გვიანი ზაფხული. ახლებიდან |
| | 32 | ქეთი გზირიშვილი |
| პროზა | 36 | დიმიტრი წიკლაური \| ვალენტის შვებულება |
| თარგმანი | 48 | ფარზანე ქარამფური \| გამაფრთხილებელი ნათურა<br>*სპარსულიდან თარგმნა მზია ბურჯანაძემ* |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო
რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

ᲐᲠᲘᲚᲘ - ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲗᲐ

სულხან-საბა

ᲐᲠᲘᲚᲘ - ᲛᲖᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ, ᲠᲐᲛᲔᲖᲔ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

ᲐᲠᲘᲚᲘ - ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲚᲘ

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარეკ ჰლასკო - წმინდა ჭაბუკი

ვარშავაში სტუდენტური წლები რომ დავასრულე და საერთო საცხოვრებლიდან ნაქირავებ ბინაში გადავედი, პირველსავე სუსხიან დილას სადარბაზოსთან ატუზულმა უბნის ლოთებმა შემაჩერეს და მკითხეს: აბა, ქალიშვილო, თუ იცით, ამ სახლში ვინ ცხოვრობდაო. უხერხულად ავიჩეჩე მხრები, თან სადარბაზოს შესასვლელი შევათვალიერე, იქნებ სადმე მემორიალურ დაფას მოვკრა-მეთქი თვალი. „ვინ და, მარეკ ჰლასკო, ჩვენი მარეჩეკი!" - ნიშნისმოგებით მითხრა ერთ-ერთმა, სხვებთან შედარებით ასაკოვანმა, ნათელი დაადგესო, წაიბუტბუტა და ბოთლში დარჩენილი ლუდი გამოწრუპა. ვინმე თქვენნაირი იქნებოდა-მეთქი, გავიფიქრე, ყველაზე ახლოს მდგომს ხელში ხურდა ჩავუყარე და გზა განვაგრძე.

ასე დაიწყო ყველაფერი.

მერე რესტორან „კამერალნაში" გადავეყარე ჰლასკოს აჩრდილს და იმ კაცს, ვინც ოცდაოთხი წლის მწერალი სამშობლოდან გააძევა. ოღონდ მაშინ აღარც „კამერალნა" იყო საკულტო რესტორანი და აღარც ეს ადამიანი უშიშროების მაღალჩინოსანი. 50-იანი წლების ბოჰემური კლუბი „კამერალნა", სადაც მარეკ ჰლასკოს უგვირგვინო მეფის სტატუსი ჰქონდა, ახლა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი, მოძველებული ინტერიერის კვების ობიექტად ქცეულიყო, რომელშიც ჰლასკოს ღრმად მოხუცებული „კეთილმოსურნე" სვენებ-სვენებით შექცეოდა დაწესებულების თანამშრომლებისთვის განკუთვნილ დღიურ ულუფას და სიტყვის თავისუფლებით გულმოცემული იკვეხნიდა, თუ როგორ მოაშორა ქვეყანას „რეაქტიული ელემენტი".

შემდეგ იყო პარიზი, Maisons-Laffitte, ჟურნალ „კულტურის" რედაქცია, სადაც ასევე შემთხვევით მოვხვდი და გავიცანი ემიგრაციაში მყოფი პოლონელი მწერლების უდიდესი ქომაგი და ლეგენდად ქცეული რედაქტორი იეჟი გედროიჩი. სულ რამდენიმე გვარის დასახელება - გომბროვიჩი, მილოში, ჰერბერტი, მროჟეკი - იკმარებს იმათგან, ვისთვისაც Maisnons-Laffitte-ს თავშესაფარი, საკვები, წერის საშუალება მიუცია, შემდგომ კი მათი ხელნაწერები ჟურნალში დაუბეჭდავს და წიგნებად გამოუცია. მაშინ უკვე ვიცოდი, ვინ იყო ჰლასკო და ისიც ვიცოდი, რომ 1958 წლის 21 თებერვალს პარიზში ჩასულს, მასაც სწორედ იეჟი გედროიჩმა უმასპინძლა. კარგა ხნის წაკითხული მქონდა მის მიერ გამოცემული რომანი „ლამაზები, ოცი წლისანიც" და 80-იან წლებში პოლონეთში ქსეროზე გამრავლებული და სახელდახელოდ აკინძული მოთხრობების რამდენიმე კრებულიც. მეყო სითამამე და, უკვე საკმაოდ მხცოვან რედაქტორს ვთხოვე, ჰლასკოზე მოეყოლა რამე. მინდოდა, მისგან შემეტყო სიმართლე იმ მწერლის შესახებ, რომელმაც ასაკისთვის შეუფერებლად ღრმა, მძაფრი და შთამბეჭდავი რამდენიმე წიგნის გარდა, უამრავი კითხვის ნიშანი დატოვა. სოციალისტური პრესა, როგორც სჩვეოდა, ცრუობდა, თავისუფალ - სკანდალურ ისტორიებს ავრცელებდა მასზე, თანამედროვეები კი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ მითებს ჰყვებოდნენ. უდავოა, გედროიჩს ბევრი რამის თქმა შეეძლო - მწერლის ნიჭის დიდი თაყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისმცემელი, ერთგული მკითხველი და გამომცემელი სხვებზე ბევრად უკეთ იცნობდა ჰლასკოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისგან ვერაფერი შევიტყვე.

პან იეჟის ნერვიულმა სიჩუმემ მიმახვედრა, რომ ადამიანები მეორე ადამიანის დახასიათებაში ბოლომდე ობიექტურები ვერასოდეს იქნებიან და რომ მარეკ ჰლასკოს ნამდვილი სახე ნაცნობ-მეგობარების მონათხრობში კი არა, მისსავე წიგნებში უნდა მეძებნა - ჰლასკო ხომ ისე ცხოვრობდა, როგორც წერდა.

ის ცხოვრებაშიც მეამბოხე იყო. არ ცნობდა და არ ექვემდებარებოდა საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს. გაბედულად ამსხვრევდა სტერეოტიპებს; არ ცნობდა კომპრომისს. ჰლასკოს გმირები იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანებიც და ისეთებიც, რომლებთან შეხვედრასაც კეთილგონიერი მოქალაქე შეძლებისდაგვარად მოერიდებოდა. ჰლასკოს ფუჭი ოცნებებითა და უიღბლო სიყვარულით სავსე სამყაროში ძირითადად თვალტანადი გოგონები და მასავით ცინიკური, მოძველბიჭო, ჩხუბისთავი ახალგაზრდა ბიჭები სახლობენ, რომლებიც გართობისთვის დაიბადნენ და ცხოვრებას აზარტული მოთამაშის თვალით უყურებენ, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც ნამდვილ სიყვარულზე ოცნებობენ, ისეთზე, ფილმებში რომ უნახავთ ან წიგნებში ამოუკითხავთ.

მარეკ ჰლასკოს ერთ-ერთი მეგობარი ქალი იხსენებდა: ჰლასკო იყო ადამიანი, რომელიც უპირველესად, საკუთარ ბიოგრაფიას წერდა, ოღონდ არა კალმით, არამედ სისხლითო. საწერი და მოსათხრობი კი არ ელეოდა, რადგან ის ერთი კი არა, რამდენიმე ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა. უყვარდა თავისი კერპების როლების თამაში. ის ხან ჰემინგუეი იყო, ხან ბოგარტი, ხანაც ჯეიმს დინი, რომელსაც ყველაზე მეტად ამსგავსებდნენ. ნიჭიერი და უნაკლო გარეგნობის ბიჭი ორივე სქესის წარმომადგენლებში თანაბრად პოპულარული იყო. ვარშავის ქუჩებში ერთი თვალის მოკვრით ცნობდნენ ვიღაც ჯარისკაცისგან შეძენილი თეთრი ქურქით მოსიარულე ტანმაღალსა და მოდურად თმადავარცხნილ ჰლასკოს, შინაურულად მარეჩეკს, რომელიც კლუბიდან კლუბში დაეხეტებოდა, სვამდა, ჩხუბობდა, ერთობოდა, მაგრამ, ამავდროულად, რეგულარულად წერდა - ახალგაზრდა, ძლიერი ორგანიზმი ერთნაირად უმკლავდებოდა ნიჭსაც და სასმელსაც.

დღევანდელი პრესა ალბათ დაწერდა, რომ ოცდაორი წლის მარეკ ჰლასკო ერთ დღე-ღამეში გახდა პოლონური ლიტერატურის ვარსკვლავი. მის მოთხრობებს უპირობოდ ბეჭდავდნენ გაზეთები და წონიანი ლიტერატურული ჟურნალები. სამ წელიწადში მან ოთხი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემია აიღო და უამრავ ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. რედაქციები ერთმანეთს ასწრებდნენ მისთვის ახალი მოთხრობების, რომანების, სცენარების დაკვეთას. მაგრამ სულ მალე დრო შეიცვალა, „ლხობის" ტალღამ გადაიარა და პოლონეთის კომუნისტური პარტია ახალ იდეოლოგიურ შეტევაზე გადავიდა. ჰლასკოსთვის ამ ამბავს უკვალოდ არ ჩაუვლია. სოციალისტური წყობისა და პარტიის ღია კრიტიკისთვის, ის სულ მალე გადაიქცა განტევების ვაცად. სისტემამ მისთვის არახელსაყრელი მწერალი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თავიდან მოიცილა და პარიზში „გაუშვა".

„ორლის აეროპორტში თვითმფრინავიდან რომ ჩამოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში ვარშავაში დავბრუნდებოდი. დღეს უკვე ვიცი, რომ პოლონეთში აღარასოდეს დავბრუნდები. თუმცა ამ სიტყვების წერისას იმასაც ვაცნობიერებ, რომ ძალიან მინდა, ვცდებოდე". *„ლამაზები, ოცი წლისანი"*

სამწუხაროდ, მწერლის წინათგრძნობა გამართლდა. მას სამშობლოში დაბრუნების უფლება აღარ მისცეს. საფრანგეთიდან ჰლასკო დასავლეთ გერმანიაში გადასახლდა, იქიდან - ისრაელში, ისრაელიდან 1961 წელს ის ისევ ევროპაში, ბერლინში დაბრუნდა, მერე ერთხანს ისევ პარიზში ცხოვრობდა და სწორედ ამ დროს გამოაქვეყნა პარიზულმა „კულტურამ" მისი რამდენიმე მოთხრობა და ცნობილი ავტობიოგრაფიული რომანი „ლამაზები, ოცი წლისანი", რომლის გამოცემის შემდეგაც პოლონეთის რესპუბლიკის კომუნისტურმა მთავრობამ ოფიციალურად შერისხა მარეკ ჰლასკო და ქვეყნის ტერიტორიაზე მისი წიგნების გამოცემა და გავრცელება კატეგორიულად აკრძალა.

მწერალს საბოლოოდ გადაეწურა სამშობლოში დაბრუნების იმედი, არადა, მას პოლონეთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა და ვერსად პოულობდა ადგილს დასამკვიდრებლად. განა სულ ერთი არ არის, სად იქნები უცხოელიო, იმეორებდა. ამიტომ საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას ამერიკა მოყვა, ამერიკას ისევ ევროპა, მერე ისევ ისრაელი, ისევ ევროპა... ერთმანეთს მიეწყო უიღბლობით, მძიმე ფიზიკური შრომით და ჭარბად მიღებული სასმელით დაღდასმული წლები, რომლის დროსაც სერიოზული ფსიქიკური პრობლემების მქონე ჰლასკოს ღირებული თითქმის აღარაფერი დაუწერია, ამან კი საბოლოოდ გაუცრუა იმედი მის უსაზღვრო სამწერლო პოტენციალში დარწმუნებულ გამომცემლებსა და რეჟისორებს.

1969 წლის 14 ივნისს დამთავრდა სამშობლოდან გაძევებული ხელმოცარული მწერლის თერთმეტწლიანი ოდისეა. ის ქალაქ ვისბადენში, ახლობლის ბინაში ძილის წამლებისა და ალკოჰოლის დიდი დოზით მიღების შედეგად გარდაცვლილი იპოვეს. თვითმკვლელობა იყო ეს თუ უბედური შემთხვევა? ვერც ამ კითხვას გაეცა საბოლოო და ერთგვაროვანი პასუხი. სამაგიეროდ ასრულდა მისი გერმანელი გამომცემლის, იოზეფ კასპარ ვიჩის, წინასწარმეტყველება - ეს ბიჭი ათ წელიწადში ან ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ავტორი გახდება, ან მოკვდებაო. სწორედ ეს სიტყვები გაიხსენა ჟურნალმა „შპიგელმა" და თავის ნეკროლოგში პოლონელი მწერლის ხანმოკლე, მაგრამ მშფოთვარე ცხოვრება ერთადერთ წინადადებაში ჩაატია: „მარეკ ჰლასკო, 35, ცხოვრობდა, სვამდა და წერდა".

*კატია ვოლტერსი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარეკ ჰლასკო**

# ლამაზები, ოცი წლისანი

## ნაწყვეტი რომანიდან

***პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა***



### ზონრები, ქამარი, ჰალსტუხი

ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი წლის თებერვალში ვარშავიდან თვითმფრინავით ვიმგზავრე და პარიზში, ორლის აეროპორტში ჩავფრინდი. ჯიბეში რვა დოლარი მედო. ოცდაოთხი წლის ვიყავი, ავტორი ერთი გამოცემული მოთხრობების კრებულისა და კიდევ ორი სხვა წიგნის, რომელთა გამოცემაზეც უარი მითხრეს. გარდა ამისა, გამომცემლების მიერ დაწესებული პრემიაც მქონდა, რომელიც ვარშავიდან გამომგზავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე ავიღე. და იყო კიდევ ერთი რამე: ყველაზე ხელმოცარულ ადამიანად მალიარეს და დაასკვნეს, რომ ცხოვრების ბოლომდე ველარაფერს დავწერდი. როგორც ეთქვი, მე მაშინ მხოლოდ ოცდაოთხი წლის ვიყავი, ისინი კი, ვინც პროფესიონალი მესაფლავეების მონდომებით დამმარხა, ჩემზე ოცდაათი წლით და ბევრად უფროსები იყვნენ. ადოლფ რუდნიცკიმ დაწერა ერთხელ, პოლონურ ლიტერატურაში ყველაზე მოდური მიმართულება გათელვა და მიწასთან გასწორებააო. ჩემი პირველი მოთხრობა რომ დაიბეჭდა, იმავე ადოლფ რუდნიცკიმ მკითხა: „თქვენს კოლეგებს ჯერ არ უთქვამთ თქვენთვის, რომ ეს თქვენი სამწერლო კარიერის დასასრულია?“ „არა, რატომ უნდა ეთქვათ?“ - ვკითხე მე. „იმიტომ, რომ ჩემი პირველი წიგნის, „ვირთხების“, გამოცემის შემდეგ მე კაროლ ირჟიკოვსკის შევხვდი, კაროლ ირჟიკოვსკიმ კი მკითხა: „თქვენ კოლეგებს ჯერ არ უთქვამთ თქვენთვის, რომ ეს თქვენი სამწერლო კარიერის დასასრულია?“

ორლის აეროპორტში თვითმფრინავიდან რომ ჩამოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში ვარშავაში დავბრუნდებოდი. დღეს უკვე ვიცი, რომ პოლონეთში აღარასოდეს დავბრუნდები. თუმცა ამ სიტყვების წერისას იმასაც ვაცნობიერებ, რომ ძალიან მინდა, ვცდებოდე. რამდენიმე წელიწადია პოლონურად აღარ მილაპარაკია. ჩემი ცოლი გერმანელია. ჩემი მეგობრები კი ამერიკელები ან შვეიცარიელები არიან. შეშფოთებულმა შევნიშნე, რომ უკვე მეც უცხო ენაზე ვფიქრობ და ნაფიქრს პოლონურად ვთარგმნი! ვხვდები, რომ ეს ჩემთვის მართლა დასასრულია. მესაფლავეები, პოლონეთში რომ დავტოვე, არ ცდებოდნენ. ამ პროფესიის წარმომადგენლები ყველაზე ნაკლებად ცდებიან ხოლმე.

მე არავისთვის არაფერი მითქვამს იმის შესახებ,

ბიბლიოთეკა

თუ რამ გადამაწყვეტინა საზღვარგარეთ დარჩენა. როდესაც ჟურნალისტები ამ თემაზე მისვამდნენ კითხვებს, მე მათ რაც შეიძლება ბრიყვულ პასუხებს ვაძლევდი და ბოლოს თავი დამანებეს. არა, მართლა არ მქონდა პასუხი კითხვაზე, რატომ დავტოვე სამშობლო. ალბათ იმიტომ, რომ სინამდვილეში მე სამშობლო არასოდეს დამიტოვებია. მაინც შევეცდები, დავწერო იმაზე, რატომ ვცხოვრობ უცხო ქვეყანაში. უცხო ქვეყანაში კი არა, უცხო ქვეყნებში: მე ინგლისშიც მიცხოვრია, ესპანეთშიც, გერმანიაშიც, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, დანიაში, ისრაელში და კიდევ რამდენიმე სხვა ადგილას.

წერა თვრამეტი წლისამ დავიწყე. ამაში ბრალი დედაჩემს მიუძღვის, რომელიც გამუდმებით მაჩეჩებდა წიგნებს წასაკითხად, და სწორედ ასე გადამექცა კითხვა მეორე მავნე ჩვევად. სკოლა ვერ დავამთავრე. ნაწილობრივ ოჯახური პრობლემების, ნაწილობრივ კი იდიოტიზმის გამო, რომლის დიაგნოზიც მასწავლებლებმა დამისვეს. დღესაც არ ვიცი, რით განსხვავდება ერთმანეთისგან ფიზიკა, ალგებრა, მათემატიკა და ქიმია, და, ალბათ, ვერც ვერასდროს გავიგებ. არც ის ვიცი, იყოფა თუ არა ორმოცდაცხრა რომელიმე რიცხვზე და თუ ამის გარკვევას ვინმე მოახერხებს, მე ის პიროვნება ნამდვილად არ ვიქნები. საშუალო სკოლაში თუ როგორღაც გადავდიოდი კლასიდან კლასში, ამას იმ ფაქტს ვუმადლი, რომ მათემატიკასა და პოლონურში ერთი და იგივე მასწავლებელი მყავდა. ომის პერიოდში მონაზვნების მიერ დაარსებულ სკოლაში დავდიოდი, ტამკაზე, სადაც წესად ჰქონდათ, ცუდი მოსწავლისთვის მუყაოსგან გამოჭრილი ვირის უზარმაზარი ყურები დაემაგრებინათ თავზე, და მე ამ ვირის ყურებს განუყრელად ვატარებდი. ომის შემდეგ „ახალი პოლონეთი" რომ დააარსეს, ჩემი ცხოვრებაც საგრძნობლად შეიცვალა. ვირის ყურები აღარ მეკეთა, სამაგიეროდ, მთელი დღე კუთხეში ვიდექი და სახე კედლისკენ მქონდა მიქცეული. ასეთ პირობებში, დამეთანხმებით, დიდ ცოდნას ვერ შეიძენ, მაგრამ, მერვე კლასამდე, პოლონურში დაწერილი თემების წყალობით, მაინც ვახერხებდი კლასიდან კლასში გადასელას.

აი, მერვე კლასის შემდეგ კი ნამდვილი კატორღა დაიწყო. საშუალო სკოლიდან რაღაც სისულელის გამო გამრიცხეს; ლა გაურადის სახელობის მეორე სკოლა იყო, მოგვიანებით კი მარია კონოპიცკას სახელს ატარებდა. სკოლის მეურვემ პოლიკლინიკაში გამიშვა, დარწმუნებული არა ვარ, სწორად მახსოვს თუ არა იმ დაწესებულების სახელი. მგონი, ფსიქოტექნიკური პოლიკლინიკა ერქვა თუ რაღაც ამდაგვარი.

იქ მთხოვეს კუბიკები დამელაგებინა და რაღაც სულელურ ტექსტებში გამოტოვებული ადგილები საჭირო სიტყვებით შემევსო; მერე ოჯახის წევრებსა და ნათესავებზე შოკისმომგვრელი კითხვების დასმა დამიწყეს; მერე გამაშიშვლეს და დაასკვნეს, რომ ჰუმანიტარული განათლების მისაღებად უვარგისი ვიყავი. ვროცლავში, სავაჭრო ტექნიკუმში გამამწესეს, ალბათ ფიქრობდნენ, რომ იდიოტების ადგილი ვაჭრობაშია. რა ვიცი, იქნებ მყიდველებზეც ზრუნავდნენ. მოკლედ, არ ვიცი.

ჩემი კარიერა სავაჭრო ტექნიკუმში მათემატიკის რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ დასრულდა. ამასობაში ვარშავაში თეატრალური ტექნიკუმი გაიხსნა და მეც და ჩემი ძმა იუზეფიც იქ წავედით. სამი თვის განმავლობაში, სწორედ ჩემი ძმა მიწერდა ალგებრის, ფიზიკისა და ქიმიის საშინაო დავალებებს, მაგრამ მერე, ე.წ. ოჯახური განხეთქილების გამო თავი დაანება. იქიდანაც გამომაგდეს. არადა, კარგი სკოლა იყო. ვარშავაში YMCA-ს შენობაში იყო მოთავსებული და საკუთარი აუზიც კი გვქონდა. სკოლის დირექტორი, თუ სწორად მახსოვს, ვინმე ჟმიგროდსკი, შთამბეჭდავი ნვეროსანი, კაპიტანს მაგონებდა კონრადის ერთ-ერთი მოთხრობიდან. რუბენსის ანგელოზივით მომხიბლავი ბასია სვიძინსკაც იქ გავიცანი და მაშინვე სიყვარულის ალში გავეხვიე. თუმცა, მან ჩემი გრძნობა, სამწუხაროდ, უპასუხოდ დატოვა.

ისევ ვროცლავში დავბრუნდი, ვმუშაობდი და ღამის სკოლაში დავდიოდი, სადაც ხელობასაც მასწავლიდნენ. იქიდან რატომღა გამომაგდეს, აღარ მახსოვს. იმავე დროს სპორტულ კლუბში თავდამსხმელი ვიყავი. არა, ნიჭიერი მოთამაშე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მოედანზე მხეცური შეუბრალებლობით გამოვირჩეოდი. ჩაპეკის ერთი მოთხრობისა არ იყოს, ყოველი თამაშის წინ კლუბის თავმჯდომარე თავისთან მიხმობდა და მეუბნებოდა: „ჰლასკო, დღეს ორს მაინც თუ არ მოცელავ, დისციპლინურ სასჯელს აგკიდებ და კლუბიდან გარეთ გაგისვრი!" პოკერის თამაშიც მაგ სპორტკლუბში ვისწავლე. ტადეკ მაზურიც იქ გავიცანი, რომელიც ერთი დიდი მწერლის „ძმისშვილი" იყო, და რომელსაც ქალები მაინცდამაინც არ ხიბლავდა. ტადეკი თვითონაც ცდილობდა, ეწერა. მე ტადეკთან სტუმრად მივდიოდი ხოლმე და ასე გავიცანი „ბიძამისი". ის იყო პირველი მწერალი, რომელსაც პირადად ვიცნობდი. კაპეც სპორტკლუბში გავიცანი, ჩვენი ძმაკაცი, რომელიც მარცხენა ფრთაზე იყო თავდამსხმელი და მოწინააღმდეგეს ჯერ წვივში ურტყამდა ფეხს, მერე კი წაქცეულს ერთს სახეშიც დააჭედებდა ხოლმე. „კაპე" ფეხსაცმლის მარჯვენა, ან მარცხენა მხრით დარტყმას ნიშნავს, რა თქმა უნდა, აქ ფეხსაცმლის გარეთა მხარეს ვგულისხმობ. კაპე მოწინააღმდეგეს მსაჯისგან მალულად ურტყამდა და ამავე დროს ერთობ თავაზიანად ეჭირა თავი. წამის წინ თავისსავე ჩაწიხლულს ფეხზე წამოდგომაში ეხმარებოდა და მსაჯს პატივისცემის ნიშნად თავს უკრავდა. მოგვიანებით კიდევ შევხვდი ერთ მის მსგავს ტიპს. ეს იყო დებიში, ლოძიდან, მოკრივე მსუბუქ წონით კატეგორიაში. „რინგის ჯენტლმენი". მას შეეძლო მოწინააღმდეგისთვის წელსქვემოთ დაერტყა და, იმავდროულად, იდაყვით წარბიც გაეხეთქა. ამის მერე შეწუხებული სახით მსაჯს მიუბრუნდებოდა და თავს დაუკრავდა ხოლმე. სწორედ ამ ტექნიკური ნოკაუტით იგებდა დებიში ორთაბრძოლების ოთხმოც პროცენტს.

მე, ტადეკი და კაპე ყოველ კვირა დღეს ვროცლავის ერთ დარბაზში დავდიოდით, სადაც კრივი იმართებოდა. რადგან ამის ფინანსები არ გაგვაჩნდა, დარბაზში სახურავიდან ჩავდიოდით. არ იყო გამორიცხული, ერთ-ერთი ასეთი მცდელობა რომელიმე ჩვენგანის სიკვდილით დამთავრებულიყო. დარბაზის მეპატრონე, ათლეტური აღნაგობის მსაჯი მიკულა, რომელიც თავიდან კინწისკვრით გვაგდებდა ხოლმე დარბაზიდან, მერე და მერე სიმპათიით განეწყო ამ ჩვენი ფანატიზმის გამო და თვითონვე გვიშვებდა უბილეთოდ. ვროცლაველ რიშარდ ვალუგას ვგულშემატკივრობდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალუგა უთუოდ კარგი მოჩხუბარი იყო, ძლიერი დარტყმით და დახვეწილი ტექნიკით, მაგრამ მოგვიანებით ჩვენ უკვე კასპერეჩეკი, მეტსახელად „თოჯინა" გვერჩივნა, პირველი ევროპის ჩემპიონი ომისშემდგომი პოლონეთიდან. კრივზე სიარულისას შორიდან კიდევ ორი სხვა მწერალი გავიცანი. ერთი მათგანი სტაშ დიგატი იყო, რომელიც ყოველთვის პირველ რიგში იჯდა და მუდამ უკმაყოფილო სახე ჰქონდა. ათას ცხრაას ორმოცდაცხრა წელს კი, პოლონეთის ფარგლებში გამართულ შეჯიბრზე, „საშინელ იუზეფ" პრუტკოვსკისაც კი მოვკარი თვალი. იმ დღეს მთელ ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო შერკინებას დავესწარი ანტკევიჩსა და ბაზარნიკს შორის. ჩვენი იდეალი მაინც ტოლეკი იყო. ტოლეკისა და ჩეხოსლოვაკიელი ტორმას ორთაბრძოლის ნახვაც უბილეთოდ მოვახერხეთ.

ჩვენ სამნი, ანუ მე, ტადეკი და კაპე, პოკერის თამაშით ვირჩენდით თავს, რომელსაც, როგორც მაშინ ვამბობდით, ერგელზე ვთამაშობდით. საქმე ნელ-ნელა გაგვიფუჭდა: აზარტული თამაშების გამო კლუბიდან გაგვაძევეს, ტადეკი ციხეში ჩაჯდა, მე და კაპე კი ბანდიტებად ვიქეცით.

პირველ საქმეზე სავაჭრო სასწავლებელში წავედით. ჩვენი კლუბის ერთ-ერთმა წევრმა, მეტსახელად „კაჩორმა" გვითხრა, იქ რაც იყო გასაკეთებელი.

კაჩორმა ვითომ შემთხვევით, სასწავლებლის გასახდელის ქუჩაში გამავალი ფანჯარა ჩაამსხვრია. მეორე დღეს კაპე უკვე იმ ჩამსხვრეული ფანჯრის წინ მელოდა. მე ჩანთა ავილე, სხვა მოსწავლეებთან ერთად სასწავლებელში შევედი და გასახდელში პალტოების ქვეშ დავიმალე. ტანმორჩილი ვიყავი და სახეზე სლავის ის გულწრფელი გამომეტყველება მქონდა, რომელიც მას ტყუილის თქმისას აქვს ხოლმე. გაკვეთილები დაიწყო. მნემ გასახდელი გასაღებით ჩაკეტა. დატოვებული ტანსაცმლიდან მე კარგებს და ძვირფასებს ვარჩევდი და კაპეს ვაწოდებდი. ბოლოს კი თავადაც ვისკუპე ჩალეწილი ფანჯრიდან. იქიდან ბისკუპი ნანკიერის მოედანზე მდებარე შავ ბაზარზე მოვკურცხლეთ და ერთ საათში დავიცალეთ ხელი. მერე იყო და, შევიტყვეთ, რომ სტალინის ქუჩაზე მდებარე მეორე ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზიაში შიდასასკოლო მეჯლისის ჩატარებას აპირებდნენ, სადაც თავდაცვის განყოფილების ერთ პორუტჩიკსაც ელოდნენ, რომელიც თურმე იმ გიმნაზიის მოსწავლე გოგოს ეტრფოდა. დიდი იმედი გვქონდა, რომ პორუჩიკი იარაღს გარდერობში დატოვებდა, სადაც მე უკვე ჩასაფრებული ველოდი. ასეც მოხდა. პორუჩიკის იარაღი რამდენჯერმე ძალიან გამოგვადგა, მაგრამ ერთხელაც კაპე დათვრა, პისტოლეტი სადღაც დატოვა და ჩვენი ბანდაც დაიშალა.

ამასობაში თექვსმეტი წელიც შემისრულდა და რადგან არ ვსწავლობდი, კანონით მუშაობა უნდა დამეწყო. პოლონეთის სამშენებლო სამმართველოში მძღოლის თანაშემწედ მოვეწყვე, მერე ფირმა „პაგედში", ბისტრშიცა კლოდსკას ბაზაში. ამაზე წიგნიც დავწერე და მრავალი წლის შემდეგ კშიშტოფ ტოეპლიცმა თავის სტატიაში „წმინდა ჭაბუკნი", დაწერა, რომ ეს არის მოთხრობა ადამიანებზე, როგორებადაც ისინი პატარა მარეჩეკს წარმოედგინათ. ბევრჯერ მკითხეს, იქ მართლა ისეთი სიტუაცია იყო, როგორიც აღწერეო. არა, ისეთი არ ყოფილა. იმაზე ბევრად საშინელი სიტუაცია იყო. დილის ოთხ საათზე ამდგრები ღამის ათ საათზე ვამთავრებდით მატარებლების გადმოტვირთვას. ამის შემდეგ სახლამდე კიდევ ორმოცი კილომეტრი გვედო წინ, რომლის გასავლელადაც GMC-ს ტიპის მისაბმელიანი სატვირთო მანქანით თითქმის ორი საათი გვჭირდებოდა. შინ მისულები საჭმელს ვიკეთებდით და ამის მერეღა ვწვებოდით დასაძინებლად.

უქმეები და დღესასწაულები ჩვენთვის არ არსებობდა. თვის ბოლოს ბისტრშიცა კლოდსკას ბაზის ხელმძღვანელი თავისთან გვიბარებდა და გვეუბნებოდა, რომ ნორმით გათვალისწინებულის ორმოცი, იშვიათად კი ორმოცდახუთი პროცენტი გვქონდა შესრულებული. იქ დიდხანს არ მიმუშავია. წამოვედი, რადგან ციხე მემუქრებოდა. საბოტაჟსა და უბედურ შემთხვევაში მადანაშაულებდნენ, რომლის დროსაც ერთმა თანამშრომელმა ხერხემალი გადაიტეხა. სხვათა შორის, დაშავებული მალევე გარდაიცვალა, რადგან საავადმყოფოში მისი დაუყოვნებლივ გადაყვანა ვერ მოხერხდა. ჩვენი მანქანების ძარებზე ვერტიკალური ბოძები იყო დამაგრებული და უბრალოდ, ვერსად დავაწვინეთ.

მაშინ თვეში შვიდას ზლოტს მიხდიდნენ.

ტადეუშ კონვიცკიმ მითხრა, ეს წიგნი კი არა ვესტერნიაო.

არ ტყუოდა. ვერაფრით ვერ ამეხსნა, რა იყო პოლონური ლიტერატურის ხელმოცარულობის მიზეზი. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, სხვა ქვეყნების ხალხს იშვიათად ეძლევა კარგი ლიტერატურის შესაქმნელად იმდენი წინაპირობა, რამდენიც ჩვენ, პოლონელებს. ჩვენ ხომ ამისთვის ყველაფერი უხვად მოგვეპოვება: უბედურებები, პოლიტიკური მკვლელობები, გამუდმებული ოკუპაცია, ჩაშვება, სიდუხჭირე, სასოწარკვეთილება და ლოთობა - ღვთის გულისათვის, მეტი რაღა გინდათ? ისრაელში უკანასკნელ ნაძირალებთან ვცხოვრობდი და იქაც არ შემხვედრია ასეთი დაბეჩავებული, ზნედაცემული და სულით ხორცამდე უბედური ხალხი, როგორც პოლონეთში. ვესტერნის გენეზი სხვა არაფერია, თუ არა სამართლიანობის დამყარების აკვიატებული იდეა: მარტოსული ადამიანი ერკინება ბოროტებას და ძალადობას. მერე რა, რომ ამ თემაზე ათასი აბდაუბდა იქმნება, ჯესი ჯეიმსი, ერპი და რამდენიმე მათი მსგავსი გაქნილი ხომ ნამდვილები და დამაჯერებლები არიან; რატომ არ შეიძლებოდა, ერთი ასეთივე გმირი კომუნისტიც ყოფილიყო, რომელიც ნაცარტუტად ქცეულ ქვეყანასა და მისი დაუსრულებელი უბედურებით სულით ხორცამდე გახრწნილ მოსახლეობაში მშვიდობას და წესრიგს დაამყარებდა, Commies (ამერიკულ ჟარგონში კომუნისტი) მართლაც რომ ჰქონოდათ ასეთი განზრახვა? ათას ნაგავში, რაც მე Commies შესახებ წამიკითხავს, ასეთი გმირი ერთხელაც არ შემხვედრია. ერთადერთმა იერჟი ანდრჟეიევსკიმ შექმნა ასეთი კომუნისტის სახე და ეს იყო პოდგურსკი, „ფერფლი და ალმასი"-დან.

პოდგურსკი ასამართლებს ადამიანს, რომელიც ციხეში კაპო იყო, მაგრამ მასთან პირველივე დაპირისპირება მარცხით მთავრდება. ეს იმიტომ, რომ პოდგურსკი იმ დროს ჯერ კიდევ ადამიანია. ანდრჟეი მანდალიანის შედევრში რამდენიმე წელიწადში მას ალბათ მაიორის წოდებასაც მისცემდნენ. ან კოსტლერის მოსამრთლე გლეტკინი გახდებოდა, მაგრამ ალბათ, მაინც, უფრო რუბაშოვი, რომელსაც გლეტკინი ასამართლებს.

მე Commies საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამ ისინი საძაგლობებს სჩადიან და მე ამ საძაგლობებზე წერა შემიძლია, ყველაფერი წესრიგში მეჩვენება. მე საზრალდებო პროცესის მოწმე ვარ, თვითონ საქმე კი ნაკლებად მაინტერესებს. ჩემთვის მთავარია, პროცესი საინტერესოდ წარიმართოს. ეგ არის და ეგ. ცხოვრება, რომელიც მე მომეცა, ამბავია, ხოლო თუ როგორ მოვყვები ამ ამბავს, ეს ჩემი და მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საქმეა; ამის მეტი მე არც არაფერი მაინტერესებს.

ამ სიტყვებს რომ ვწერდი, ერთ მეგობარს ვკითხე, ხომ არ ვცდები, რომ ჩვენ, პოლონელებს კარგი თხრობისთვის ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება-მეთქი. დიახაც, ცდებიო. პოლონელები თხრობისთვის ზედმეტად დაღლილები და გამოთაყვანებულები არიან; გარდა ამისა, მათ ყველაფერზე ხელი აქვთ ჩაქნეული. ვერ გავიგე. განა ქირურგს უფლება აქვს დაღლა მოიმიზეზოს, თუ საოპერაციოდ გადაუდებელ ავადმყოფს მიუყვანენ? არ ვიცი. მახსოვს კი, ერთხელ პაველ ჰერცთან ერთად ბარში ვიდექი და უფულობასა და რედაქტორებთან შექმნილ პრობლემებზე ვჩიოდი. პაველ ჰერცმა გალიზიანებულმა შემომხედა და მითხრა: „თუ სწორად გავიგე, თქვენ გინდათ, რომ წეროთ. ამაში არაფერია სასიამოვნო არც თქვენთვის და არც მათთვის, ვისაც თქვენი ნაწერების კითხვა მოუწევს. აბა, თქვენ რას მოელოდებოდით?" პაველმა მხრები აიჩეჩა, წავიდა და ჩვენი საუბარიც აქ დასრულდა.

ტყიდან წამოვედი, ვარშავას დავუბრუნდი და მეტრომშენში დავიწყე მუშაობა. ჯერ მტვირთავად, მერე კი მომარაგების განყოფილებაში გადავედი. შესანიშნავი სამუშაო იყო. ქალაქში ვმოძრაობდი, ერთი ფირმიდან მეორეში მიმოვდიოდი, საიდანაც, წესით, შეკვეთილი ავტონაწილები უნდა წამომეღო, მაგრამ იქიდან მარტო ბეჭედდარტყმული ქვითრები მომქონდა - „ნაწილები არ გვაქვს".

მერე კერძო, ე.წ. კოოპერატიული სექტორის სახელოსნოებს ვაკითხავდი, იქაც ბეჭედს მირტყამდნენ. ამ ორ სექტორს შორის კი განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ერთ ბეჭედზე ეწერა „ნაწილები არ გვაქვს", ხოლო მეორეზე - „ნაწილები არ არის". შემდეგ უნდა შემდგარიყო ე.წ. „შეძენის აუცილებლობის აქტი", რომელსაც ხელს აწერდნენ მომარაგების უფროსი, დაწესებულების საბჭოს უფროსი, პარტკომის მდივანი, გაფუჭებული მანქანის მძღოლი და ისევ ავტოსახელოსნოს უფროსი. ამის შემდეგ ვყიდულობდი ერთ ბოთლ არაყს და მივდიოდი სხვა ფირმის ნაცნობ საწყობის უფროსთან, რომელიც საჭირო ავტონაწილს მაძლევდა.

მოპოვებული ნაწილი ხმელნაზე, საკომისიოში მიმქონდა და იქ ვაგირავებდი. მოგვიანებით მოვიდოდა ჩემი თანამზრახველი, რომელიც ნაწილს საკომისიოდან გამოისყიდიდა. იმ ფულით საღამოს წვეულებას ვიხდიდით. ეს სისტემა მე გამოვიგონე და ჩემი დრამატული აზროვნებაც იმ დროიდან მოდის.

ერთ მშვენიერ დღეს ბაზაში ერთი ამაზრზენი დედაკაცი მოვიდა და ბაზის უფროსმა თავისთან გამომიძახა.

-პარტიის წევრი ხარ?

-არა.

-TPPR-ის?

-არა.

-არც პროფკავშირების?

-არა.

-ჰოდა, მაშინ მუშათა კორესპონდენტი იქნები.

ის ამაზრზენი დედაკაცი „სახალხო ტრიბუნიდან" ყოფილა თურმე. „სახალხო ტრიბუნას" თავისი, ე.წ. საველე კორესპონდენტები ჰყავდა, რომლებიც ავტონაწილების ნაკლებობაზე, ბენზინის ავტომატური ტუმბოების არარსებულობის გამო დიდხანს უმოქმედოდ გაჩერებულ ავტომანქანებსა და ამგვარ რამეებზე წერდნენ. ერთ დღესაც „სახალხო ტრიბუნაში" გამომიძახეს და პრიზი გადმომცეს. კარგად მახსოვს ის პრიზი, ანატოლი რიბაკოვის „მძღოლები". იმას რა დამავიწყებს!

ანატოლი რიბაკოვის ეს წიგნი პირველი სოცრეალისტური წიგნი იყო, რომელიც წავიკითხე. წავიკითხე და გაკვირვებისგან პირი დავაღე. ასე შტერულად წერა მეც ხომ შემიძლია-მეთქი, ვიფიქრე და საქმეს შევუდექი.

მეტრომშენიდან გამომაგდეს. სამსახურს ვეღარ ვშოულობდი. შოფრები მანქანებზე მეტი ვიყავით. „სახალხო ტრიბუნამ" ვარშავის მომხმარებელთა კოოპერატივში გამიშვა სამუშაოდ. როცა მივხვდი, რომ იქ თურმე პოლიციის ჯაშუშად გავუმწესებივარ, უკვე გვიანი იყო.

კოოპერატივში მუშაობა იოლი არ იყო. ბაზა სოკოლოვსკაზე მდებარეობდა, მე კი მარიმონტთან ვცხოვრობდი. დილის ოთხ საათზე, როგორც ამბობდნენ „ბაზაზე" უნდა ვყოფილიყავი. ხშირად ღამის ორ საათზე ვდგებოდი, ფეხით მივდიოდი და პოვონზკებზე ვიმოკლებდი გზას. საომრად მივდიოდი, ასე ვიტყოდი. სულ მალე კი ნამდვილი კოშმარი იწყებოდა. მანქანები არ იქოქებოდა. მანქანის ქვეშ ვძვრებოდით და ანთებული ბენზინის ლამფები მიგვქონდა გასანათებლად. წინა ცვლაში მომუშავე მძღოლების მიერ დახვედრებული ცხელი წყალი ისევე გვშველოდა, როგორც უპარაშუტოდ გადმომხტარს ფსალმუნების კითხვა.

მერე „ზელენიაკზე" მივდიოდით. იქ „მემწვანილე" გლეხები გველოდებოდნენ. დილის შვიდ საათზე ვარშავას ახალი ბოსტნეული უნდა ჰქონოდა.

ოთხნი დავდიოდით: მე, ჩემი დამხმარე, ექსპედიტორი და მტვირთავი.

ექსპედიტორი გლეხებს ნაღდ ფულს უხდიდა. ბოსტნეულს სამ კატეგორიად ვყოფდით.

პირველი კატეგორია ყველაზე ძვირი ღირდა. ექსპედიტორი გლეხს პირველი კატეგორიის ქვითარს უწერდა, მაგრამ ფასს მესამე კატეგორიისას უხდიდა. გლეხს არჩევანი არ ჰქონდა. ჩვენს ექსპედიტორებს ადგილობრივი საცალო ვაჭრობის ექსპედიტორებთან ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული. გლეხი მათ პირობებს თუ არ დათანხმდებოდა, ბოსტნეულს ვერავის მიჰყიდიდა, ისევ შინ უნდა წაეღო და გადაეყარა. ეს ხელშეკრულება არც ერთ მხარეს არ დაურღვევია, არც ჩვენსას და არც საცალო ვაჭრობისას. დაარღვევდა და მერე ეს საქმე, როგორც გაზეთები წერენ ხოლმე, „დანების ჩარევით განიხილებოდა". ამაზე კარგად მართლა ვერ იტყვი.

ამ გზით, ანუ „ლევად", ცოტა ფულსაც ვშოულობდით. დილის შვიდი საათისთვის ბაზაში ვბრუნდებოდით, სადაც უკვე პოლიცია გველოდებოდა იმის შესამოწმებლად, მთვრალები ხომ არ ვიყავით. საქმეც სწორედ ამაში იყო. როგორც თვითონ გლეხები ამბობდნენ, „მომხმარებელთა კოოპერატივის მძღოლს უფ-

ლება არ ჰქონდა ფეხიზელი ყოფილიყო. „ამიტომაც დილაადრიან უკვე არაყს ვყიდულობდით, რათა მომლოდინე პოლიციელებისთვის ჭიშკრიდანვე მიგვეჩეჩებინა. ასე ვიქცეოდით ჩვენ - „ხილ-ბოსტნეულის" მძღოლები. სპირტიანი სასმელების მძღოლები ზომბკოვსკადან თავისებურად ართმევდნენ თავს ამ საქმეს. არყის მოპარვა იოლი არ არის. თუ რამეს დაეჯახე და ბოთლები დაგემსხვრა, ბოთლების დალეწული ყელი უნდა ჩააბარო თვლით და შესაბამისი აქტიც უნდა შეადგინო. მაგრამ ამისთვის ვის სცხელოდა. ისინი სამედიცინო შპრიცებს ყიდულობდნენ, ბოთლის საცობში არჭობდნენ, იქიდან ას გრამ არაყს ამოწოვდნენ და ნაკლულ ჭურჭელს ისევ წყლით ავსებდნენ.

ხილ-ბოსტნეულიდან საყასბო განყოფილებაში გადამიყვანეს. იქ მართლა ძალიან ჭირდა ქურდობა, მაგრამ მაინც ვიპარავდით. სასწორზე ასვლისას უფროსი სატვირთო მანქანის წონას იწერდა. ამის შემდეგ შემოვლითი გზით მივდიოდით საყასბოში. გზად მანქანას ვაჩერებდი და დამხმარეს ვეუბნებოდი: „აბა, ზძიშეკ, ჩამოუშვი!" ჩემი დამხმარე მანქანის ქვეშ ძვრებოდა და გამაგრილებელი სითხის ბიდონის ონკანს ალებდა. ასე იკლებდა მანქანა წონაში დაახლოებით ოც კილოგრამს და ამ ოც კილოგრამ განსხვავებას ხორცში ვანაღდებდით. გამოვიდოდით თუ არა საყასბოდან, გამაგრილებელ ბიდონს ისევ წყლით ვავსებდით. საყასბოს ხალხი აზრზე რომ მოვიდა, ახლა ბენზინის ავზის დაცლას მივყავით ხელი. ის, თუ სად და როდის ვასაღებდით ოც კილო ხორცს, მინდა საიდუმლოდ დავიტოვო.

კოოპერატივის მძღოლებისთვის წყევლა ე.წ. კარტოფილის აქცია იყო. ხანდახან სოფელში წასვლა და იქიდან კარტოფილის წამოღება გვევალებოდა. კარტოფილი ვისთვის უნდა მიგვესაღებინა, მაგრამ ჩვენ, ვარწაველმა მძღოლებმა, აქაც არ შევირცხვინეთ თავები.

კარტოფილის აქციაზე ოცამდე მანქანით მივდიოდით. შედარებით კარგ მდგომარეობაში მყოფი მანქანები უფრო სუსტებს „ბუქსირით" მიათრევდნენ. ამ გზით დაზოგილ ბენზინს კი ტაქსის მძღოლებზე ვყიდდით. მე მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი, ამიტომ დღეს ამას რომ ვწერ, სულაც არ მრცხვენია. იმათ რცხვენოდეთ, ვინც მე ამის გაკეთება მაიძულა. დღეში თოთხმეტ საათს ვმუშაობდი, უქმეები არ ვიცოდი რა იყო და დღესასწაულები, ხელფასი კი თვეში შვიდასი ზლოტი მქონდა. უბინაო, დერეფანში ვცხოვრობდი. ახალი ტანსაცმელი კი პირველად ოცდაორი წლისამ ვიყიდე ჩემთვის.

დღეს ტანსაცმელი საერთოდ აღარ მჭირდება, წასასვლელი აღარსად მაქვს და იმიტომ.

Commies ძალა მათ მდარე იდეოლოგიაშია. გერმანულ მუშას გამოთვლილი აქვს, რომ როგორც კი ტისენებისა და კრუპების პირადი ქონება სახელმწიფოს მფლობელობაში გადავა, მისი შემოსავალი ათასი პროცენტით გაიზრდება. Commies ძალა კი იმაშია, რომ ისინი ფანტაზიის ნაყოფს ჩამოჰგვანან. მე რომ გერმანელი მუშისთვის მეთქვა, ოთხას ოცი სამუშაო საათის საფასურად ერთი წყვილი უხარისხო ფეხსაცმელი თუ მომივა-მეთქი, აუცილებლად მხრებს აიჩეჩავდა და გამეცლებოდა; აი, ჩემი დამხმარესთვის რომ მეთქვა, „ზძიშეკ, გერმანელ მუშას თავისი ხელფასით ერთ წელიწადში მანქანის ყიდვა შეუძლია, ერთი თვის ჯამაგირით ოთხი წყვილი ტანსაცმლის შეძენა ან შვებულების გასატარებლად იტალიაში წასვლა-მეთქი, ერთი ისეთი მომხვდებოდა ყბაში, ჯერ რომ არ დასიზმრებია. გერმანელი ჟურნალისტები სულ მიმეორებდნენ, არ დაგავიწყდეთ, რომ ზეცაში ისინი პირველად ავიდნენო. მართალია, მე ინჟინერი არა ვარ, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ტექნიკური წარმატების შეფასება მაშინაა შესაძლებელი, როცა ამა თუ იმ საქმისთვის გაწეული ინვესტიციის სიდიდე იცი. თუ ათასი ხისგან ათასი კბილის ჩხირი გამოთალე, განა ასეთი საქმე სარგებელს მოგიტანს? კენედის თუ ჯონსონს კონგრესთან კოსმოსისთვის საჭირო ყოველი ცენტის მისაღებად ბრძოლა სჭირდებოდათ. ამერიკელი ხალხისთვის ეს ციფრები პრესისა და ტელევიზიის საშუალებით კარგადაა ცნობილი. წლობით ისხდნენ ტელევიზორებთან და იცინოდნენ, კოსმოსში გაშვებული ჭურვები სამიოდე წუთში ისევ დედამიწაზე რომ ცვიოდა. მე არ ვიცი, რამდენი ადამიანი დახოცეს და ანამეს მანამდე, სანამ გაგარინი მსოფლიოს თავის სახეს უჩვენებდა. არ ვიცი, რამდენმა მცდელობამ ჩაიარა მანამდე ფუჭად. ჰოდა, სანამ ამ ფაქტებს არ გავიგებ, არ შემიძლია ჩემი ჭირვეული „თანამოძმეების" მიღწევებით აღფრთოვანება.

მაშინ, ათას ცხრაას ორმოცდათორმეტ წელში, ასე ჯერ კიდევ არ ვაზროვნებდი. აი, იმ დღესაც სულ სხვაგვარად ვფიქრობდი, მოსტოვსკების სასახლეში მდგარს მორიგე მილიციელი რომ მეუბნებოდა:

-აი, ქამარი, ფეხსაცმლის ზონრები და ჰალსტუხი.

-ჰალსტუხს არ ვატარებ, - ვუთხარი და ქვითარზე ხელი მოვუწერე.

ჩემი ახალგაზრდობის კერპი არც ჰემინგუეი ყოფილა და არც იერჟი ანდრჟეიევსკი. ჩემი ახალგაზრდობის კერპი ტადეუშ ბარვინსკი იყო, საზოგადოებრივი უშიშროების განყოფილების ოფიცერი. როგორც ვთქვი, მომხმარებელთა კოოპერატივში ვმუშაობდი მძღოლად და იქ „სახალხო ტრიბუნის" საველე კორესპონდენტების განყოფილებამ მიმავლინა. ეს იყო ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი წელს. იმ დროს ნებისმიერ დიდ დაწესებულებაში არსებობდა ე.წ. „თვითმოქმედი სამხედრო განყოფილება". ოდესღაც „თვითმოქმედი დაცვის განყოფილებაც" ერქვა და სხვა სახელიც. ეს სხვა არაფერი იყო რა, თუ არა უშიშროების ორგანოს ერთი უჯრედი. რეფერენტს, ასე უწოდებდნენ უშიშროების თანამშრომელს, დაწესებულების თანამშრომელთა შორის თავისი „ჩამშვებები" ჰყავდა, რომლებსაც მისთვის ინფორმაციის მიწოდება ევალებოდათ. ის კი ამ ინფორმაციას საჭიროების მიხედვით იყენებდა.

ერთ დღესაც საღამოს შვიდი საათისკენ, ბაზაში რომ დავბრუნდი, დისპეტჩერმა მითხრა:

-"თვითმოქმედი" გიბარებს.

-შენ ღამის ცვლაში მუშაობ? - ვკითხე მე.

-ჰო, დილის ექვსამდე ვარ აქ, - მიპასუხა.

-თუ აღარ დავბრუნდი, დედაჩემს გააგებინე, - ვთხოვე.

-მასე რომ იყოს საქმე, პირდაპირ სახლიდან აგიყვანდნენ, - მითხრა.

მაშინ ჰემინგუეი რომ მქონოდა წაკითხული, ვეტყოდი, რომ ეს ერთ-ერთი ისეთი რამაა, რაც ბოლომდე არავინ იცის. არ მქონდა წაკითხული და უბრალოდ ვუთხარი, ღმერთმა უწყის-მეთქი.

წავედი. იქ ერთი ჩია, სათვალიანი კაცი დამხვდა.

ბიბლიოთეკა

კარზე ტყავი იყო გადაკრული. ალბათ, დაკითხვისას შიში რომ გამოეწვია. მდარე ფილმებშია ხოლმე ასე. ერთხელ ვნახე კიდეც ასეთი ფილმი, ან შეიძლება სულაც წიგნში ამოვიკითხე:

„-იცი ეს რა არის? - იკითხა შონმა და მაგიდიდან ჩაის კოვზი აიღო.

-ვერცხლია, - მიუგო ჯეკმა, - ცხენი-ჰარისგან იყიდიდი. იმ საქმიდანაა, 77-ე ქუჩაზე რომ ჩატარდა. ჩაის მორევა შეიძლება. ძალიან ცუდ ჩაის აკეთებ, შონ. განა ასეთ ჩაის სვამენ თქვენთან, დუბლინში?

-არა მარტო ასეთს, - ცალყბად ჩაიცინა შონმა. კარგ ჩაის ერთ ადგილას აყენებენ, „ბინძური დიკი" ჰქვია. ჰო, სხვათა შორის, ამ კოვზით თვალის ამოთხრაც შეიძლება.

ის ღრიალი სადარბაზოს ალარასოდეს დაავიწყდება".

ან არა და, ასე:

„ორმოცდამეხუთედან სროლის ხმა მოისმა. მე კი მას პირდაპირ მუცელში ვესროლე და გავიფიქრე: „მიკი, აქ, ხომ შენი ბავშვი ზის!", მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო. იესო ქრისტე, შენ ხომ იცი, სხვაგვარად მართლა არ შემეძლო! ამაზე ფიქრი მაშინ დავიწყე, ნიკი რომ საეარძლისკენ წავიდა. თავი გადაეპარსათ მისთვის, ელექტროდი კარგად რომ შეხებოდა. ნიკი რომ არ ყოფილიყო, იქნებ სხვაგვარადაც მოვქცეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. გადავიხარე, თვალებში ჩავხედე და დავინახე, როგორ ქრებოდა მათში სიცოცხლის შუქი.

-ეს როგორ გააკეთე? - დაიჩურჩულა.

ერთხანს ჩუმად ვიყავი, მერე კი ვუპასუხე: „სულაც არ იყო ისეთი ძნელი, შენ რომ გგონია".

ალბათ სიტყვასიტყვით ვერ ვიმეორებ, მაგრამ არა უშავს. საქმე ამაში არ არის. ჩემს შემთხვევაში საქმე ასე იოლად არ ყოფილა. დაჯექით, მანიშნა „თვითმოქმედმა".

-რა გქვიათ?

-მარეკ ჰლასკო.

-დაბადებული?

-თოთხმეტი, პირველი, ოცდათოთხმეტი.

-სად?

-ვარშავაში.

-მამა?

-მაჩეი.

-პროფესია?

-ადვოკატი.

-ადვოკატი? - გაუკვირდა „თვითმოქმედს".

-ადვოკატი.

-ცოცხალია?

-არა.

-დედა?

მოკლედ, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ბოლოს თქვა:

-თქვენ აქ „სახალხო ტრიბუნამ" მოგავლინათ, არა?

-დიახ.

-და წერას რატომ დაანებეთ თავი?

-დღეში თოთხმეტი საათი ვმუშაობ და ველარ ვიცლი.

-წერა ალარ დაგჭირდებათ. ყველაფერს უბრალოდ მე მეტყვით ხოლმე.

-რა უნდა გითხრათ?

აი, აქ იწყება მაიკ ჰამერი. ან თუნდაც ლორდი ლისტერი, იგივე „იდუმალი უცნობი". ასეთ წიგნებში აუცილებლად გვხვდება სიტყვა „იგივე". ლორდი ლისტერი, იგივე იდუმალი უცნობი. კენ მენიარდი, იგივე პრერიის შურისმაძიებელი. ერჟი როლჩიკი, ანუ თექვსმეტი წლის ბიჭი ტბუგებს შორის. ლისტერი მაინც ყველას ჯობდა. დედაჩემმა, რომელიც კითხვას მაიძულებდა, ჟერომსკი შემომაჩეჩა ხელში. მაშინ ათი წლის ვიყავი. წავიკითხე შემდეგი წინადადება: „სნიცამ თავისი ქორივით მზერა მის სულზე დაუშვა". ჟერომსკის წაკითხვის ვალდებულებისგან სამუდამოდ გათავისუფლებულად მივიჩნიე თავი. ჟერომსკის მორტკოვიჩისეულ სრულ გამოცემას ხელი დავავლე, ციეპლაზე გავიტანე, სადაც თოჯინების შემკეთებელი სახელოსნო მდებარეობდა, რომელიც ამავდროულად ბუკინისტური მაღაზიაც იყო, და მთელი ჟერომსკი ლორდ ლისტერსა და იმ მეორეზე გადავცვალე, სულ რომ ამბობდა, არ მახსოვს, რა ჰქვია იმ ხელგანაფულსო. ჩემი ბაბუა ვარშავის სახანძრო რაზმის კომენდანტი იყო და ყველა ჩვენგანს კარგად მოეხსენება, რომ მეხანძრეების ქამრები ყველაზე ფართოა და სპილენძის აბზინდებიც ბლომად აქვს ასხმული.

მაიკმა პისტოლეტი ამოიღო.

-იცით ეს რა არის?

-ვიცი.

-რა არის?

-საბჭოთა პისტოლეტი TT.

-საიდან იცით?

-პაველ კადოჟნიკოვის ფილმში მაქვს ნანახი. პაველ კადოჟნიკოვი საბჭოთა მზვერავი იყო და გერმანელი ჯაშუში უნდა მოეკლა. პისტოლეტი გაამრო და თქვა: „სამშობლოს მიერ მონიჭებული უფლებით..."

-საცოლე გყავთ?

-მყავს.

-რა ჰქვია?

ვუთხარი, რაც ერქვა. ასე მიეედ-მოვედებოდით თითქმის ორი საათის განმავლობაში. ხანდახან გადიოდა ხოლმე ოთახიდან და პისტოლეტს მაგიდაზე ტოვებდა. მერე ისევ ბრუნდებოდა და ცოტა ხანში ისევ ტოვებდა ოთახს: ფსიქოლოგიურ გამოძიებას ატარებდა. ბოლოს აქტსაც მოვაწერე ხელი, რომელშიც ეწერა, რომ მყავს შეყვარებული სახელად ვანდა, რომ საბჭოთა პისტოლეტი TT მხოლოდ და მხოლოდ ფილმში მაქვს ნანახი, და რომ სპორტკლუბში თავდამსხმელი ვიყავი და ასე შემდეგ. დღეს, როდესაც ამის შესახებ ვწერ, ეს ყველაფერი თვითონაც დაუჯერებლად მეჩვენება, მაგრამ აი, მაშინ, აქტს რომ ვაწერდი ხელს, გაეიფიქრე, დაიცა, ბიჭო, შენი ნათლობის სახელი მაინც არ უნდა გავიგო-მეთქი? აქტზე ორივეს უნდა მოგვეწერა ხელი, დაკითხულსაც და იმასაც, ვინც დაკითხვას აწარმოებდა. მას ტადეუშ ბარვინსკი ერქვა.

რამდენიმე დღის შემდეგ დამაკავეს, თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო. მილიციის ოფიცრის დასაბუთება, ამჯერად ეს მოსტოვსკების სასახლეში ხდებოდა, საკმაოდ მარტივი იყო: რადგან ქურდობისა და თაღლითობისთვის საყოველთაოდ ცნობილ ფირმაში ვიყავი დასაქმებული, აუცილებლად უნდა მცოდნოდა, თუ როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი და რადგან, თანამშრომლობაზე უარის თქმით, წინააღმდეგობას ვუწევდი სამეურნეო საბოტაჟის ფაქტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხილებას, ვისჯებოდი ამა და ამ მუხლით და ა.შ. ჰოდა, სწორედ მაშინ დავიხსენი ის ქამარიც, ზონრებიც და ჰალსტუხიც. მე რა შუაში ვიყავი? გეგონება, პოლონეთის რესპუბლიკის დაარსებისას ჭკუას მე დამეკითხნენ.

თუ საქმეს საჭირო კუთხით მიუდგები, ციხეში ყოველთვის მხიარულება სუფევს. იქ ყველა უდანაშაულოდ ზის. ყველაფერი უბრალო გაუგებრობაა, რომელიც სულ მალე გაირკვევა. პალერმოს ციხეში ერთი კაცი შემხვდა, რომელმაც თავისი შეყვარებული და დედამისი მოკლა, და ელოდა, რამდენიმე დღეში გამათავისუფლებენო. მიუნხენში კაცთან ერთად ვიჯექი, რომელსაც ჩვიდმეტი ძარცვა ედებოდა ბრალად და ისიც დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე დღეში ციხიდან გაიდოდა. იაფას ციხეში ერთს დავუმეგობრდი, ისრაელის სახელმწიფოს დაარსების დღიდან მოყოლებული ნარკოტიკებით ვაჭრობაში რომ ადანაშაულებდნენ, და ისიც რამდენიმე დღეში გათავისუფლების იმედით იყო იქ.

თავს თუ მოიგიჟიანებ, არ წავა შენი საქმე ცუდად. ვარშავაში რომ ვცხოვრობდი, ბედნარსკის მილიციის განყოფილების ხშირი სტუმარი ვიყავი, ძირითადად სიმთვრალისა და ჩხუბის გამო. ბოლოს რამდენიმე მილიციელს ისე დავუმეგობრდი, ნარებზე კი არა, მათ სამორიგეოში მეძინა ხოლმე და დილით მანქანით მივყავდით სახლში. ვარშავისა, ალბათ, ყველაზე სასიამოვნო მილიციის განყოფილება იყო და „კამერალნადან" და „კროკოდილიდან" გამოსულებიც უმეტესად იქ ხვდებოდნენ.

ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტ წელს ჩატარდა „ახალგაზრდული ფესტივალი" და ამასთან დაკავშირებით ქალაქში ბიმ-ბომის დასი ჩამოვიდა ზბიშეკ ციბულსკისთან ერთად. თეატრის შესასვლელთან რომეკ პოლანსკის გადავეყარე. რომეკს ბილეთი ჰქონდა, მაგრამ მაინც არ უშვებდნენ. დარბაზი უბილეთო მაყურებლებით გადავსებულიყო და მეტ დამსწრეს ფიზიკურად ველარ დაიტევდა. პოლანსკი იმდენ ხანს ჯიუტობდა შემიშვითო და თან თავის ბილეთს აფრიალებდა, რომ ორმა მილიციელმა ის განყოფილებაში წაიყვანა. ახალი თანამშრომლები იყვნენ, მე ჯერ არ ვიცნობდი. პოლანსკი შუაში ჩაეყენებინათ, მე უკან მივყვებოდი.

პოლანსკი საკანში ჩაკეტეს, მე კი იმ სერჟანტთან წავედი, ქამარს რომ მართმევდა ხოლმე.

-გამოუშვით რა.

-შენი ძმაკაცია?

-ჰო.

პოლანსკი გამოუშვეს. მე და რომეკმა ერთი ლიტრი არაყი ვიყიდეთ და მის მეგობარ გოგოსთან და იმ მილიციელებთან ერთად, რამდენიმე წუთის წინ საკანში რომ ჩასვეს, ახლომახლო ნანგრევებისკენ გავეშურეთ დასალევად. მერე კიდევ ორი ბოთლი ვიყიდეთ და ღმერთმა იცის, რატომ, უცებ „აპოკალიფსის" ხმამაღლა წაკითხვის სურვილი დამეუფლა. მილიციელები პირდაღებული მომშტერებოდნენ და შიგადაშიგ რჩევას მაძლევდნენ:

-ფრთხილად იყავი, პანიე მარეჩკუ, ფრთხილად!

საბრალოები გაორებულები იყვნენ. ერთი მხრივ გართობა უნდოდათ, მეორე მხრივ, არ იყვნენ მთლად დარწმუნებულები, „აპოკალიფსი" აკრძალული ტექსტი იყო თუ არა.

ამბავი იმის შესახებ, რომ ადამიანს საპყრობილედან ლოთის თავდებით უშვებენ, ძალიან იშვიათი და სახალისო მეჩვენება და იმიტომ ვყვები.

როგორც ვთქვი: სიშლეგე ერთადერთი რამაა, რასაც შეგიძლია ბოლომდე ენდო. იტალიაში სროლისთვის დამაპატიმრეს; სწორედ ერთ-ერთი ასეთი მორიგი გალეშვისას კაცის მოკვლას ვპირებდი, რომელმაც მითხრა, ექვს მილიონ ადამიანს უდანაშაულოდ არავინ არ დახოცავდაო, - ებრაელებზე ვლაპარაკობდით. მეორე დღეს გამომძიებელი მეკითხება:

-თქვენ მას მოკვლას უპირებდით?

-დიახ! - მიუგე, - და მაინტერესებს, რომელი იტალიელი მოსამართლე დამადანაშაულებს იმაში, რომ ექვსი მილიონი წამებით დაღუპული ადამიანის ღირსების დაცვას ვცდილობდი.

კარგად შემათვალიერა; ჩემი ნივთები დამიბრუნა; მერე კიდევ უფრო დაკვირვებით შემათვალიერა და იარაღიც დამიბრუნა. თურმე ნაპოლეონის ბიოგრაფიის წაკითხვა შეიძლება სულ უმნიშვნელო საქმეებშიც წაგადგეს. არ ვიცი, იქნებ ის იტალიელი გამომძიებელი ჩვენი რჟიცკის შესატყვისი იყო, მაგრამ იმაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიების აქტებს გაანადგურებდა.

მოსტოვსკების სასახლეში დიდხანს არ ვმჯდარვარ. ჩემთვის ვფიქრობდი: გამოძიების დამთავრებამდე აქ გაგაჩერებენ, მერე კი ხუთ წელს მოგარჭობენ. მერე რა, რომ არავის ეცოდინება, რისთვის. სამართალდამცავი ორგანოები სულაც არ არიან ვალდებული, მტყუანი და მართალი გაარჩიონ. მთავარია, დამნაშავე ჰყავდეთ.

კოესტლერის ის წიგნი მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა წაკითხული, რომელშიც გამომძიებელი ერთ ტიპს მოკვლას უპირებს და ხანგრძლივად და გულითადად ესაუბრება. მაშინ არც ორუელი მქონდა წაკითხული, რომლის დიდი ძმაც ელამია; ის კი არა, კრივიცკიც კი არ წამეკითხა. სანამ სირცხვილის ზღვარს ბოლომდე არ გადალახავ, წერა არ უნდა დაიწყო. წერა საწოლზე ბევრად ინტიმური რამეა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. კომუნისტებს უკვე კარგა ხანია გადალახული აქვთ ეს ზღვარი. ეჟოვი იაგოდას ლიკვიდაციას რომ უპირებდა, გეპეუს წევრებს უთხრა, მე მაქვს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ იაგოდა „ოხრანკასთვის" მუშაობდაო. არავინ შეპასუხებია. მაშინ, „ოხრანკა" რომ ჯერ კიდევ არსებობდა, იაგოდა თორმეტი წლის იქნებოდა. იქ შეკრებილ გეპეუს წევრებს შორის აუცილებლად იქნებოდნენ ისინიც, ვინც კოლჩაკის, დენიკინის და პილსუდსკის წინააღმდეგ იბრძოდნენ. თავის დროზე, ალბათ, არ აკლდათ სიმამაცე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არც ერთი მათგანი არ ამდგარა და არ უთქვამს, რომ თუ ბავშვს „სამაკატით" ქროლასა და სახელმწიფო მოხელეებთან საუბრებს შორის ექნება არჩევანი გასაკეთებელი, ის აუცილებლად „სამაკატს" აირჩევს. კომუნისტებმაც გადაკვეთეს ეს საზღვარი. მათ შექმნეს ფანტასტიკური სამყარო, რომლის არსებობაც შეუძლებელია ირწმუნო. მათი სიძლიერეც სწორედ ამაშია.

მე კი მაშინ მოსტოვსკების სასახლეში ჩემს თავს ვუთხარი: „ბალზაკი ველარ გიშველის". ვერც ჟერომსკი. სამაგიეროდ, ლორდი ლისტერი დაგეხმარება. ასე გავხდი მილიციის ინფორმატორი, კრიპტონიმით „ვანდა". ვანდა ჩემს მეგობარ გოგონას ჰქვია. ვიფიქრე, ასე უფრო სახალისო იქნება-მეთქი ეს ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზაში ჩემს დისპეტჩერთან მიველი:

-ხილ-ბოსტნეულიდან გადამიყვანე, რა, - ვუთხარი.

-რატომ?

-არაფრის ცოდნა არ მინდა და იმიტომ.

-საყასბოში გაგიშვა?

-საყასბოსაც კარგად ვიცნობ.

-სპირტიანებში?

-სპირტიანებშიც ვმუშაობდი.

მარტოები ვიყავით და ახლოს მომიჩოჩდა.

-გაგაძაღლეს, არა?

-ჰო.

-მოიცადე, - მითხრა, ოპელ-ბლიც 167-ზე გადაგიყვან. ისეთი მანქანაა, ქალაქიდან ყოველდღე „ბუქსირით" მოთრევა რომ სჭირდება. ბიჭებს კიდე ვეტყვი, რომ „ლევი" ხარ.

-ჰო. უთხარი.

ჩემს ოპელ-ბლიცს არასოდეს ულალატია ჩემთვის. ბაზას გავცდებოდი თუ არა, მაშინვე ფუჭდებოდა გადაბმულობა, მეორე დღეს - კარბურატორი. შესაკეთებლად წავიყვანე; ოსტატი საქმის კურსში იყო. კარბურატორი შესაკეთებლად გავგზავნეთ. ამას ერთი თვე დასჭირდა. მერე გამანაწილებელი გაფუჭდა, მერე ისევ გადაბმულობა; ახლა უცბად სამჯერ მეტი ბენზინის დაწვა დაიწყო და ექსპერტიზაზე გავუშვით; მე კიდევ ბაზაში დავბორიალებდი და არაფერიც არ ვიცოდი.

ხანდახან ორი ტიპი მომადგებოდა ხოლმე, ფილმში ნანახ მენტებს ჰგავდნენ. ალბათ ველარასოდეს გავიგებ, ფილმის მენტები გამოიყურებიან ნამდვილებივით თუ ნამდვილები ფილმის მენტებივით.

ლონდონში ბოდიბილდინგზე რომ დავდიოდი, საშუალო კლასის პროფესიონალების ვარჯიშს ვესწრებოდი ხოლმე. იქ ორი მენეჯერი მოდიოდა, რომლებიც ზუსტად ისე გამოიყურებოდნენ, ფილმებში „The Champ" და „The Golden Boy" რომ გვინახავს. ქვაბურა ქუდებს და ჟილეტებს ატარებდნენ, სიგარებს ეწეოდნენ. ერთი ამბობდა: „Harry is over the hill". მერე ანიტებდა. ცოტა ხანში მეორეც იმავეს იმეორებდა.

ხანდახან ასე იტყოდნენ: „აბა, ახლა არ გამანაწყენო!" სხვას არაფერს უმატებდნენ. ცოტა ხანში ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მასკარადიც ამით დაიწყო.

საჭირო იყო, სირცხვილის ზღვარი გადაგველახა. ჩემმა დამხმარემ ერთხელ თავისი დის დღეობაზე დამპატიჟა. მალე მოვინყინეთ: შუა ქეიფში პატეფონი მოვიპარეთ, სადარბაზოში გავიტანეთ და იქ დავმალეთ, მერე კი ბინაში შევბრუნდით და სხვებთან ერთად მისი უშედეგო ძებნა დავიწყეთ. მილიციელებმა მომხმარებელთა კოოპერატივიდან სახელმწიფო საცალო ვაჭრობაში გადამიყვანეს და იმ ფაქტით ფრთაშესხმულმა, რომ ერთადერთი ინფორმატორი à rebours ვიყავი, ჩემი სამწერლო მოღვაწეობაც სწორედ იქ დავიწყე. პარტიულებზე ვწერდი, რომ ისინი ორპირები იყვნენ და გულის სიღრმეში კაპიტალიზმის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ; მათზე, ვინც თავმჯდომარეს აუგად მოიხსენიებდა, ვამბობდი, რომ გულწრფელი დემოკრატები და „მზე-ზიუტეკის" ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები იყვნენ და ა.შ.

შეტყობინებებს რეგულარულად ვწერდი. ამ მიზნით ჯერ პოლიციის მთავარ შტაბში ვრეკავდი, ჩემს კრიპტონიმს ვასახელებდი და ვითხოვდი, უფროს ლეიტენანტ იანეკთან შემაერთეთ-მეთქი. ასე ერქვა ჩემი იქაური მენტებიდან ერთ-ერთს. ისეთი გაუგებრობები შევქმენი, სულ თავგზა აებნათ. რა ჩემი ბრალია, განა ყველაფერი მათივე სურვილით არ მოხდა?

იმ დროისთვის წერა უკვე დაწყებული მქონდა. ტადეკ მაზურს შევხვდი, რომელიც სრულიად შემთხვევით გარეთ იყო გამოსული და ვუთხარი, წერა დავიწყე-მეთქი. მთხოვა, ნაწერები მეჩვენებინა. მერე იმან ყველაფერი იმ თავის მეტრაკეს წაუღო. მეტრაკემ კიდევ უთხრა, ეცადოს, რამე უფრო ვრცელი დაწეროსო. საწერი ადგილი არ მქონდა. დედას ვთხოვე, სამზარეულო დაელაგებინა და სამ ღამეში ორასგვერდიანი რომანი გამოვაცხვე. ეს რომანი ბოჰდან ჩეშკომ წაიკითხა. მომწერა, წიგნი არ ვარგა, მაგრამ, ჩემი აზრით, წერას თავი არ უნდა დაანებოო. უამრავი რჩევა-დარიგება მომცა. ბოჰდანი ჭკვიანი და საყვარელი ადამიანი იყო - ყოველ შემთხვევაში, ჩემ მიმართ. ის წერილი დღესაც შენახული მაქვს. ხშირად მაძლევდა შენიშვნას, უწმაწურ სიტყვებს გადაჭარბებულად იყენებ და ძალიან გთხოვ, თავი შეიკავეო. მერე ბოჰდანი პირადადაც გავიცანი.

დაითვს ჰგავდა. ძლიერი, საშიში ცხოველივით გადაადგილდებოდა. ლაპარაკს რომ დაიწყებდა, სადმე ნორმალური სიტყვის ჩაკვეხებაც კი უჭირდა. მახსოვს, ერთხელ მიმტან ქალს უთხრა, მომიტანეთ ის დედა ტ-ში მოტ-ლი წყალი. წყურვილით დედა მეტ-ბაო. აქ ბევრად მოკლედ ვამბობ. მე კი მიჯავრდებოდა. არცერთ ჩვენგანს, მეტ-ნაკლებად ახალგაზრდებს, არ შეეძლო ისეთი ლამაზი ენით ეწერა, როგორც ამ დათუჩას. მე შემიძლია წავიკითხო მისი „გოდება", წიგნი დავხურო, ისევ გადავშალო და თავიდან დავიწყო კითხვა. ის ახალგაზრდა თაობის ერთადერთი მწერალია, რომელმაც მაშინვე იპოვა თავისი ენა და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

ეს ვერც ბრეხტმა მოახერხა, ვერც ნოვაკოვსკიმ და ვერც მე.

ამასობაში მე ავდექი, გადავწერე რიბაკოვის რომანი „მძღოლები", ჩემი სახელი და გვარი მივაწერე, „სოკოლოვსკის ბაზა" დავარქვი და ლიტერატორთა კავშირში მივიტანე. ცოტა ხანში ნევერლიმ, რომელიც ახალგაზრდულ წრეს ხელმძღვანელობდა, თავისთან დამიბარა. ნევერლი ძალიან დამეხმარა. მკითხა, წერის პირობები თუ გაქვსო. „ბაზის" სუსტ მხარეებზეც მესაუბრა და ერთი რჩევაც მომცა - ერთი ყველაზე ჭკვიანური რჩევა, რაც კი მწერლისაგან გამიგონია: „რამის დაწერა თუ გინდათ, უბრალოდ ადექით და მოყევით ის ამბავი. ყველას მოუყევით. არა აქვს მნიშვნელობა, გაიგებენ თუ არა ადამიანები თქვენს სათქმელს. თქვენ უნდა მოყევით ის ამბავი, თავიდან ბოლომდე უნდა მოყევით. დროთა განმავლობაში მიხვდებით, რომელი ელემენტია მნიშვნელოვანი და რომელი არა. მთავარი ის არის, რომ შეგეძლოთ, თქვენსავე თავს მოუყვეთ ის, რისი თქმაც გინდათ". მეც სწორედ ასე დავიწყე თხრობა. ვუყვებოდი ადამიანებს პოლონეთში, ისრაელში, ვუყვებოდი სერიოზულ გერმანელებს, არტურ სანდაუერს, რომელიც ყოველ წუთში მაწყვეტინებდა და მეკითხებოდა: „ვერ გავიგე, თქვენ ამით რისი თქმა გინდათ".

არ ვიცი. საქმეც იმაშია, რომ არც მე ვიცი. ვიცი, რომ გზას სირბილით გავაგრძელებ და თხრობას არ შევწყვეტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარეკ ჰლასკო

# ღვთისმშობლის თვე

*პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა*



ოთხნი იყვნენ და ოთხივე ერთად ოთხმოცი წლისაც არ იქნებოდა. ეზოში შეაბიჯეს, ღვთისმშობლის სადიდებელ ლიტანიაზე მოსულ დაჩოქილ ხალხს შორის გაჭირვებით გაიკვლიეს გზა და სადარბაზოში შევიდნენ. სამნი ერთად შევიდნენ, მეოთხემ ცალკე შეაბიჯა, ხელში დამტვერილი იასამნის ტოტი ეჭირა, გზად შეეტეხა ხისთვის, და გაოფლილ სახეზე ისიავებდა. მძიმედ აუყვნენ კიბეს, თან კარებზე მცხოვრებთა გვარებს კითხულობდნენ. სართულსა და სართულს შორის ერთ-ერთმა იასამნის ტოტიანს უთხრა:

- შენ აქ დარჩები!

-კარგი, - მიუგო იასამნის ტოტიანმა.

-აქ დარჩები და გვიდარაჯებ, გაიგე? აქედან მთელი ეზო ხელისგულივით მოჩანს. თუ რამე საეჭვო შენიშნო, იცი, როგორც უნდა მოიქცე.

-კარგი, - უპასუხა და თუმცა ამის დამალვას ძალიან ცდილობდა, მის ხმას მაინც დაეტყო შვება. ფანჯარასთან დადგა, ცალი ფეხი რაფაზე ჩამოაყრდნო და ეზოს გადახედა. ღვთისმშობლის თაბაშირის ქანდაკება ჩანდა და მის გარშემო შეკრებილ მლოცველთა თავები. იასამნის ტოტი გაღრღნა, სინედლის მძაფრი, მომწარო გემო იგრძნო პირში. ტოტი ფანჯრიდან მოისროლა და გაოფლილი ხელისგულები შარვალზე შეიწმინდა.

დანარჩენები მაღლა ავიდნენ და ერთ კართან შეჩერდნენ. რომელიღაცამ დააკაკუნა. საკმაო ხანს იდგნენ ასე უძრავად, შემართული რევოლვერებით ხელში, და ხმამაღლა სუნთქავდნენ. კარი მოხუცმა ქალმა გაუღოთ. ხელზე კრიალოსანი ჰქონდა გადახვეული.

-თქვენს გარდა არის კიდევ ვინმე სახლში? - ჰკითხა ქალს ერთ-ერთმა ბიჭმა.

-არა, მარტო ვარ, - უპასუხა.

-სახლში შედით!

მოხუც ქალს ბინაში შეჰყვნენ და კარი საგულდაგულოდ გადაკეტეს. ჯერ დერეფანს გაუყვნენ, აბაზანის და სამზარეულოს კარი შეაღეს, შეამოწმეს, მერე ოთახში შევიდნენ.

-თქვენი ქალიშვილი სად ბრძანდება? - ჰკითხა ქალს ერთმა. თვრამეტ წელსაც ვერ მისცემდი. ჩანდა, ჯერ პირიც არ გაეპარსა, რბილი და გლუვი სახე ჰქონდა.

- დაბლა ჩავიდა, მაღაზიაში, - მიუგო ქალმა. - მალე მოვა. პურს ამოიტანს და ამოვა.

-კარგად აღგიზრდიათ ქალიშვილი, ვერაფერს იტყვი, - უთხრა ბიჭმა.

-ადამიანის აღზრდა შეუძლებელი ყოფილა, - მიუგო ქალმა. - გეყოლებათ თქვენც შვილები და ნახავთ.

-ერთხელ უკვე გავაფრთხილეთ, მაგრამ თავისი მაინც არ მოიშალა,- თქვა ბიჭმა. - ჰოდა, მიიღებს კიდეც საკადრისს. არ იცოდა, რა ემუქრებოდა?

-იცოდა, - მიუგო ქალმა. ჯერ ბიჭს შეხედა, მერე ბოთლს, ბიჭმა ჯიბიდან რომ ამოიღო და მაგიდაზე დადგა, მერე ისევ აიღო, თითქოს ხელს უშლიდა, და მოშორებით გადადგა. მოხუცი ქალი ფანჯარას მიუახლოვდა, მაგრამ ბიჭებიდან ერთ-ერთი მივარდა და მკლავში სტაცა ხელი.

-აბა, ეგეთებს არ ვიყოთ! ეგეთებს არ ვიყოთ!

ქალმა ხელზე გადახვეული კრიალოსანი დაანახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- დედათქვენი არ ლოცულობს მაისში?

- დედაჩემს ნუ ახსენებ! - შეუღრინა ბიჭმა. - ჩემი ძმა ოცდაცხრამეტში დაიღუპა, ჩემი და კიდევ გესტაპოელებს არ უნდა ეწვევა. თქვენ დედაჩემს შეეშვით და ფანჯარასთან ნუ მიდიხართ, აქეთ გამოდით!

-აცალე, ილოცოს, - თქვა მაგიდასთან მჯდომმა. ძველებურ, მასიურ ხის მაგიდას შემოსხდომოდნენ, რომლისთვისაც თეთრი, გატკიცინებული ტილო გადაეფარებინათ, და ჩაიზე და ნამცხვარზე მეგობარი გოგონას დედის დაპატიჟებულებს ჰგავდნენ. წინ დაწყობილი დამბაჩა და რევოლვერი მათ ვერც საშიშს ხდიდა და ვერც სერიოზულ იერს სძენდა.

-რა გინდა, აცალე, ილოცოს! - გაიმეორა იმ ერთმა. - მიდით, ქალბატონო, ილოცეთ!

-ეს ფანჯარა ეზოს გადაჰყურებს, - თქვა იმან, ქალთან ახლოს რომელიც იდგა. - ამიტომ ჯობია, ესეც მაგიდასთან იჯდეს. რა იცი, რას იზამს, ამათგან ყველაფერს უნდა ელოდე!

-კარგი. მანდ ფანჯარასთან დაიჩოქეთ და ისე ილოცეთ, - თქვა მაგიდასთან მჯდომმა. - ყველასთვის ასე აჯობებს და ხელსაც არავინ შეგიშლით.

ქალმა დაიჩოქა და ტუჩების უხმო ცმაცუნით გააგრძელა ლოცვა. ბიჭები თვალს ადევნებდნენ, როგორ მარცვლიდა კრიალოსანს მასავით ყავისფერ, მობერებულ ხელებში.

- და, აუცილებელია ეს გავაკეთოთ? - ჩურჩულით იკითხა ერთმა. წითური ბიჭი იყო, ჭორფლიანი. საბრალო შესახედაობისა და ღარიბული ჩაცმულობის მიუხედავად, დანარჩენებზე უფროსს ჰგავდა.

-შენ რამდენი ხანია რაც შეთქმულებაში მონაწილეობ?

-წელიწადნახევარი იქნება.

-მგონი საკმარისი უნდა იყოს იმის გასაგებად, რისი კითხვა შეიძლება და რისი არა.

-არა, შენ ვერ გამიგე! მე იმას ვამბობ, ხო შეიძლება, უბრალოდ დავბრიდოთ-მეთქი! ვესროლოთ, რა! რო რამე, ვიტყვით, წინააღმდეგობა გაგვიწია და სხვანაირად არ გამოდიოდაო.

-მე ამ ნაბოზვრისთვის ტყვიაც არ მემეტება!

-შეიარაღებული დაპირისპირება ხო არ არის...

-ასეთია ბრძანება და მორჩა!

-რა ვიცი, მე მაინც ვყოყმანობ, - თქვა წითურმა.

-ვერ გავიგე როგორ მელაპარაკები, როგორც მეთაურს თუ როგორც მეგობარს?

-ამას რატომ მეკითხები?

-რატომ და ხომ არ ვუპატაკო იქ, სადაც საჭიროა, ბრძანების შესრულებისას ყოყმანობს-მეთქი.

-არა, - თქვა, არ არის საჭირო.

ამასობაში კარი გაიღო და ოთახში გოგო შემოვიდა. კართან მდგომმა მას ოთახის შუაგულისკენ უბიძგა და კარი გადაკეტა. მაგიდასთან მსხდომები ფეხზე წამოდგნენ. გამხდრები და გაცრეცილები, ძველ და დავიწროებულ პიჯაკებში იმაზე ბევრად ახალგაზრდები ჩანდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ.

-ჩანთა მაგიდაზე დადეთ, - უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა გოგოს. ჰო, ეგრე! მერე ჩანთას გადასწვდა, გახსნა, ამოაბრუნა და შიგთავსი მაგიდაზე წამოყარა. გაბნეული ნივთებიდან პირადობის მოწმობა ამოიღო და ჩახედა.

-ანა ჰაუსვედელი, - წაიკითხა. ფოლკსდოიჩე ხართ?

-არა.

-გვარი გერმანული გაქვთ.

-ეს ისე. შემთხვევით.

-დედამისი მეორე ოთახში გაიყვანეთ!

-არ არის მეორე ოთახი.

-მაშინ სამზარეულოში და შენც იქ დარჩი.

-არ არის საჭირო, - თქვა მოხუცმა. სამზარეულო უფანჯროა და გასაღებიც აქვს. შეგიძლიათ იქ ჩამკეტოთ. სამზარეულოსკენ მიმავალი ცოტა ხნით ქალიშვილის წინ შეჩერდა, - ახლა ხომ მიხვდი, რომ ამქვეყნად მართლა არსებობს რაღაც, რასაც სამართალი ჰქვია!

-შენ ამას სამართალს ეძახი? - შეეპასუხა გოგო. - ეს სამართალი არ არის! ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ არცერთი თქვენგანი ჯერ კაცი არ გამხდარა. კაცები რომ არ ხართ, იმიტომ არაფერი გესმით. ის კი არა და, კაცისა ჯერ საერთოდ არაფერი გცხიათ! გოგო სულის მოსათქმელად მაგიდას დაეყრდნო. ზედ მდგარი ბოთლი წაიქცა. წითურმა ბოლო წამში სტაცა ხელი და იატაკზე დაცემასა და დამსხვრევას გადაარჩინა.

-დედა, მაკოცე! - მიუბრუნდა დედას გოგო.

-არა,- მიუგო მოხუცმა ქალმა.

-ხომ ხედავ, რასაც მიპირებენ. მაკოცე-მეთქი!

-არა, - გაიმეორა ქალმა. კართან მდგომმა მოხუცი სამზარეულოში შეაგდო და კარი გასაღებით გადაკეტა.

-ლოცვის უფლება მაინც მომეცით,- თქვა გოგომ.

-არ არის საჭირო. მოკვლას კი არ გიპირებთ. ჩვენს საქმეს მოვრჩებით და მერე რამდენიც გინდა იმდენი ილოცე.

-აბა, რას მიპირებთ? - იკითხა და ხმაზე პირველად დაეტყო შიში.

-თავი ხო ოთხი თვის წინ გადაგპარსეს? გაგაფრთხილეს კიდეც. გითხრეს, შეეშვიო, -დაიწყო უნვერულმა, მერე გოგოს ეცა და თავსაფარი ჩამოგლიჯა. მოკლე ქერა თმაში ბიჭს ჰგავდა.

-რატომ არ დაანებე თავი?

-ვერ დავანებებდი, - მიუგო გოგომ და ისევ მაგიდას ჩამოეყრდნო. - მიყვარს და იმიტომ.

-გერმანელი გიყვარს?

-რა მოხდა მერე? რას მდებთ ბრალად? ფული გამოვართვი? ან საერთოდ რამით ვისარგებლე მისგან? ვის რა დაგიშავეთ? იმათ რატომ არ დასდევთ და ხოცავთ, გერმანელებთან რომ ვაჭრობენ? აი, თუნდაც იმათ, ვისგანაც გერმანელები პაპიროსს და არაყს ყიდულობენ ხოლმე.

-მაშ, გერმანელი რომ იყო, ეს შენ ხელს არ გიშლიდა, არა? და არც ის, მისნაირები ყოველდღიურად ჩვენნაირებს რომ ხოცავენ?

-მე იმ ადამიანისთვის არაფერი გამომირთმევია და არც აუგი მითქვამს ჩვენზე რამე. რა ვუყო, თუ მაინცდამაინც გერმანელი შემიყვარდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ადამიანმა ცხოვრებაში სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს!

-არა! საბედნიეროდ ყოველთვის ასე არ ხდება!

-მოდით რა, სხვანაირად გავუსწორდეთ, - თქვა წითურმა.

ფანჯარას მიუახლოვდა. ეზოში დაჩოქილები ამასობაში უკვე „სპილოს ძვლის კოშკს“ გალობდნენ. ღვთისმშობლის თაბაშირის ფიგურას მოჰკრა თვალი და მისი თავის გარშემო შემოვლებულ მავთულის შარავანდედს. მავთული ერთიანად გაშავებულიყო. ჩანდა, პირვანდელი ოქროს საღებავი წვიმებს ჩამოერეცხათ. ბიჭმა პირი იბრუნა, კედელს შეხედა და იქ დაკიდებულ კალენდარს დღის შესაფერისი ფურცელი ჩამოახია - ათას ცხრაას ორმოცი წლის შვიდი მაისის. მერე კი ისევ ოთახში შეგროვილებს მოუბრუნდა:

-იჩქარეთ! ლიტანია სადაცაა დამთავრდება და ამის კივილს გაიგონებენ.

-აღარ მეტყვით, რას მიპირებთ? - ისევ იკითხა გოგომ.

-ესროლეთ რა, ღვთის გულისათვის, უბრალოდ ესროლეთ და მოკალით, თორემ ავდგები და მე თვითონ ვესვრი, გაიგეთ? - თქვა წითურმა.

-მე ვარ აქ ჯგუფის მეთაური, - მიუგო უწვერულმა და ლოყები შეეფაკლა. - ბრძანების პირნათლად შესრულებისთვისაც მე ვაგებ პასუხს. შენი რჩევა თუ დამჭირდება, მე თვითონ გკითხავ, გასაგებია?

-ჰოდა, იჩქარეთ-მეთქი. ჭირსაც წაუღია ეს ყველაფერი! - თქვა წითურმა. - მორჩით და გაათავეთ, სანამ ისინი ქვემოთ ჯერ კიდევ ლიტანიობენ.

მერე ისევ ფანჯარასთან მივიდა და მჭიდროდ დახურა. ქვემოდან ტალღასავით ამოდიოდა საგალობლის ექო. ბიჭმა ფანჯრის მინაში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრა თვალი. შეუხედავი იყო, დამშეული. პიჯაკის მოკლე სახელოები ჭორფლიან მაჯებს ვერ უფარავდა.

-გაიხადე! - უბრძანა გოგოს ჯგუფის მეთაურმა. - ყველაფერი გაიხადე. სულ გატიტვლდი.

-ამას იმიტომ მიკეთებთ, რომ ჯერ კაცები არ ხართ! არაფრის აზრზე არ ხართ და ამიტომ მიკეთებთ ამას!

გოგომ ტანსაცმელი გაიხადა და იატაკზე დაყარა, ისინი კი იდგნენ და შეჰყურებდნენ მის მკვრივ, მოყავისფრო სხეულსა და თმის მუქ სამკუთხედს.

-არაფრის აზრზე არ ხართ თქვენ! წარმოდგენაც არ გაქვთ, როგორ შეიძლება გიყვარდეს კაცი, და რომ ამ დროს მარტო იმას აქვს მნიშვნელობა, რომ ის კაცია, უბრალოდ კაცი და არა მუნდირი, რომელსაც ატარებს. თქვენ კი რა გესმით, ბავშვები ხართ, რომლებსაც იარაღი დააჭერინეს ხელში და თამაშის უფლება მისცეს, სანამ თავებს თვითონვე არ დაიხოცავენ. საიდან უნდა იცოდეთ, რომ სწორედ ახლა, ომის დროს, უფრო მეტად ფასობს სიყვარული. და თანაც, ნებისმიერი სიყვარული!

-დაწექი!

გოგო საწოლზე დაწვა. ერთი მკერდზე გადააჯდა, მეორემ კი ფეხები გააშლევინა და მის ოფლით დაცვარულ, მკერივ მუცელს დააშტერდა, ცახცახით რომ ადი-ჩადიოდა. პისტოლეტით თავზე რომ ადგა, იმან მაგიდიდან ბოთლი აიღო და წითურს მიაწოდა, რომელსაც ის გოგოსთვის ფეხებშუა უნდა შეერჭო. პირველ მცდელობაზე ხელი მოეცარა. მკვრივმა მუცელმა წინააღმდეგობა გაუწია. თან ხელებიც მთლად გაოფლიანებოდა. გოგოს ფეხებს შორის დაჩოქილმა, ამჯერად მუხლით შეტენა ბოთლი, მერე რევოლვერის ლულა გამეტებით დასცხო ძირზე და ჩაამსხვრია. ფეხზე წამომდგარმა სისხლით დასვრილი ხელისგულები საბანს შეაწმინდა.

-მეტ გერმანელ კაცებს ველარ იყოლიებ, - დაჰყვირა გოგოს და თვალებში ჩახედა.

-თურმე ქალწულებს ემართებათ ხოლმე ასე, - თქვა წითურმა. - ცხვირიდან სისხლი მოსდით. ჩემმა ძმამ მითხრა.

-შენ მაგაზე ნუ იდარდებ! ეს ქალწული არ ყოფილა.

დერეფანში გასულებმა სამზარეულოს კარი შეაღეს და დამფრთხლებმა უკან დაიხიეს. გოგოს დედა გაზის მილზე ეკიდა. ჩანდა, სულ ცოტა ხნის წინ ჩამოეხრჩო თავი, მისი ხელზე გადახვეული კრიალოსანი ჯერ კიდევ ქანაობდა.

-წესით, ექიმს უნდა დავუძახოთ, მაგრამ ახლა ამას ვერ გავაკეთებთ, - თქვა იმან, რომელიც მეთაურობდა. სადარბაზოში გავიდნენ და კარი წყნარად გაიკეტეს. ფანჯარასთან მომლოდინემ ჩანთა გაუწოდათ. გამოართვეს და შიგ იარაღი ჩააწყვეს.

-პირველი შენ გახვალ!

-კარგი, - უპასუხა.

დაბლა ჩასულებმა ქუდები მოიხადეს და ფრთხილად გაიარეს დაჩოქილთა შორის. წითურმა უკან მოიხედა, ჯერ თაბაშირის ღვთისმშობლის სათნო სახეს შეავლო თვალი, მერე მის ფერხთით დაწყობილ, მისივე მოსასხამივით ქათქათა ყვავილებს. „ღვთისმშობელო, ქალწულო, კოშკო სპილოს ძვლისაო, შეგვიწყალენ ჩვენ“, - გალობდა მრევლი.

-ნეტავ ომი რომ დამთავრდება, მაშინაც თუ ილოცებენ ასე, - თქვა.

-მაისი პოლონეთში ყოველთვის ღვთისმშობლის თვე იქნება.

-ეგ მეც ვიცი. მე იმას ვგულისხმობ, ომის მერეც თუ ასე ილოცებენ-მეთქი, როცა შიში და უბედურება აღარ იქნება.

-მოდი რა, ამ ომს ვინც გადაურჩება ამაზე იმან იფიქროს. წავედით. პირველი შენ გახვალ, მერე მე მოგყვები, მერე - შენ. აბა, კარგად!

წითურმა ისევ მოიხედა და ღვთისმშობილის უმანკო სახეს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი. უცებ დასცხა, პიჯაკის ღილები შეიხსნა, პერანგის საყელოც. გოგოზე ფიქრობდა, მის მკერივ, მოყავისფრო სხეულზე, მოკლე თმაზე, რომელიც ბიჭს ამსგავსებდა. იმაზეც ფიქრობდა, რომ გოგოს ერთი კვნესა არ დასცდენია, და კიდევ იმაზე, რომ ის, რაც მის სახეში დაინახა, აქამდე მხოლოდ თაბაშირის მოოქროული ღვთისმშობლის სახეზე ჰქონდა ნანახი.

-არ მინდა, ამ ომს გადავურჩე, - ხმამაღლა თქვა თავისთვის წითურმა ბიჭმა, - იმიტომ, რომ რამდენჯერაც ღვთისმშობლის წინ ლოცვას დავიწყებ, იმდენჯერ იმ გოგოზე ვიფიქრებ და მათ სახეებს ერთმანეთს მივამსგავსებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარეკ ჰლასკო**

# ჭვარი

*პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა*



კარმა გაიჭრიალა და საკანში ზედამხედველი შემოვიდა. მაღალი, გამხდარი კაცი იყო, მუქი, გაცრეცილი კანით, ჩაცვენილი თვალებით და ჩაშავებული უპეებით. ყველამ, ვინც იქ დიდხანს იჯდა, იცოდა, რომ ღვიძლს უჩიოდა; ესმოდათ, როგორ კვნესოდა ხოლმე ტკივილისგან გატანჯული. ზედამხედველმა ჩაახველა. ნარზე მჯდარმა მომლოდინე თვალებით გახედა.

-შენი მშობლები ჩამოვიდნენ, - უთხრა ზედამხედველმა. ცხვირში ლაპარაკობდა. - ადექი, წამოდი და დაემშვიდობე!

ნარზე მჯდარი ხელებზე იყურებოდა და ხმას არ იღებდა; უშველებელი ხელის მტევნები ჰქონდა, მსხვილი და დახეთქილი თითები. თავიდან ასეთი ხელები მოუხეშავი და გამოუსადეგარი გეჩვენება, სანამ საქმეში არ ნახავ და არ დარწმუნდები, რამდენი რამის გაკეთება შეუძლიათ.

-ხო, - გაიმეორა ზედამხედველმა და ფეხი იცვალა. - უნდა წამოხვიდე და გამოემშვიდობო. დილიდან იცდიან. პირველივე მატარებელს გამოჰყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან. ნარზე მჯდარი წამოდგა და წელში გაიმართა. მაღალი იყო, ბრგე, მრგვალი პირისახე ჰქონდა; გადახოტრილი მუქთმიანი თავი ზურთს მიუგავდა.

-ცივა დღეს? - იკითხა პატიმარმა და ხელები მოიფშვნიტა.

-ეზოში გასვლა არ მოგვიწევს, - მიუგო ზედამხედველმა და ხელითაც ანიშნა, ამაზე არ ინაღვლოო. - უბრალოდ, დაბლა ჩავალთ. შენები იქ გელოდებიან.

დერეფანში გამოვიდნენ. ზედამხედველმა კარი გადაკეტა. დერეფანს გაუყვნენ. პატიმარი წინ მიდიოდა. დიდი ხელები ზურგს უკან მორჩილად გადაეჯვარედინებინა. გზად ორი პატიმარი შემოხვდათ, სათლები მოჰქონდათ. ერთმა მათგანმა შემხვედრს ხელი აუწია, თვალი ჩაუკრა და უთხრა:

-აბა, მემამულევ, როგორა მყაეხარ?

-ქსტ, - წაუსისინა ზედამხედველმა, - ლაპარაკი!

სათლიანმა წაუსტვინა. გზა განაგრძეს. მრგვალთავიანმა იკითხა:

-ეზოში აღარ გამიშვებენ, ხო?

-არა მგონია, - მიუგო ზედამხედველმა. სახეზე წამებულის იერი ედო. დილიდანვე გრძნობდა, რომ ღვიძლის მწვავე შეტევა ეწყებოდა. სხვა დერეფნისკენ შეუხვიეს. ნელა მიდიოდნენ. პატიმარი გადაჩვეული იყო სიარულს, ქოშინით მიათრევდა მძიმე ხის ქოშებში ჩადგმულ მტკივან ფეხებს და წამდაუწუმ ბორძიკობდა.

-საშინლად მეწვის ფეხები!

-ხო? - გაეპასუხა ზედამხედველი და მხრები აიჩეჩა. - აქვეა, მივალთ სადაცაა.

პატიმარმა გაუგებრად ჩაიბურტყუნა რაღაც. ტერფებს გვერდზე ბრეცდა და კედლებს უაზროდ მიშტერებული მიიწევდა წინ. ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

-ერთი ნათურა გადამწვარა.

-სადა, აბა? - ჩაეკითხა ზედამხედველი. შეჩერდნენ.

-აგე, - თქვა პატიმარმა და უზარმაზარი ხელის მტევანი მაღლა ასწია.

ზედამხედველმა თვალი ააყოლა. მართლაც. ზედამხედველმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

-მითხარი ერთი, - თქვა, - ნათურებია ახლა ეს? ჩემმა სიძემ წინა კვირას სამი ცალი იყიდა და ორი მაშინვე გადაიწვა. უკან მიიტანა მაღაზიაში, გამოცვლა უნდოდა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს, შენ კარგად ხარო? როგორსაც გვაძლევენ, ისეთს ვყიდით, ჩვენი რა ბრალიაო. სადღა იშოვი ახლა კარგ ნათურებს.

-რა ღირს ნათურა?

-არ ვიცი, - უხერხულად შეიშმუშნა ზედამხედველი. მერე კი მოულოდნელად ჰკითხა:

- და შენ რაში გაინტერესებს?

-რა ვიცი, ისე.

ზედამხედველმა დაკვირვებით შეათვალიერა პატიმარი და დაუცაცხანა:

-გამოადგი ფეხი დროზე, გამოადგი-მეთქი! ნაბა აქ ოხუნჯობისთვის დრო და ადგილი!

ისევ ჩარაზული კარების რიგს ჩაუარეს. კიბესთან, მოსახვევში, მორიგე პატიმრები იატაკს რეცხავდნენ. მოკლე ტარებზე წამოცმულ უხეშ ჯაგრისებს ლონივრად უხახუნებდნენ ფილებს; ირგვლივ ცხელი წყლისა და სარეცხი საპნის სუნი იდგა. მიუახლოვდნენ თუ არა, ერთ-ერთმა ოფლიანი სახე ასწია და წაიჩურჩულა:

-სიგარეტი გექნება, ძმაო, გავალ გარეთ და დაგიბრუნებ.

-ქსტ! - ისევ წაისისინა ზედამხედველმა, - ლაპარაკი!

-ვინ ლაპარაკობს რო? - თქვა იატაკის მრეცხავმა. - მე ვთქვი რამე? ვთქვი რამე? - ჯაგრისი ხმაურით დააგდო იატაკზე და ვედროც იქვე დაახეთქა. ზედამხედველმა და მრგვალთავიანმა სწრაფად აუარეს გვერდი. პატიმარს სიფრთხილე გადაავიწყდა, თამამად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ტკივილისგან წამოიყვირა.

-კარგი, ხო, მივედით და ეგ არის, - დაამშვიდა ზედამხედველმა,- მართლა აღარაა შორს.

ჯერ კანცელარიაში შევიდნენ, მერე ოთახში, სადაც პატიმრის მშობლები იცდიდნენ. მერხზე ჩამომსხდრები შემოსულების დანახვაზე ფეხზე წამოხტნენ.

-შეგიძლიათ ერთმანეთს მიესალმოთ, - თქვა ზედამხედველმა და გამხდარ სახეზე რაღაც ღიმილის მაგვარი გაუკრთა, რასაც მხოლოდ ისინი თუ აღიქვამდნენ ღიმილად, ვინც მისი ავადმყოფობის ამბავი იცოდა.

-შეგიძლიათ დასხდეთ, - დაამატა, თვითონ კი იარაღით დამძიმებული ქამარი შეისწორა და ფანჯარასთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა. პატიმარი შუა ოთახში იდგა და წარამარა თვალებს ახამხამებდა; აქ ბევრად მეტი სინათლე იყო, ვიდრე საკანში. მერე მშობლებს მიუახლოვდა. ჯერ მამას აკოცა ხელზე, მერე დედას.

-დღეს დილით ჩამოხვედით, არა? - იკითხა.

-ხო, - მიუგო მამამ. მაღალი, ზორბა კაცი იყო, სქელი კისერი ცომივით ამოყაჭყაჭებოდა ვიწრო საყელოდან. მჭექარე ხმა ჰქონდა ახლაც კი, როდესაც, ვინ იცის რატომ, ცდილობდა, ჩურჩულით ელაპარაკა. შვილი ოდნავაც არ ჰგავდა მამას, არც ქცევით, არც გარეგნობით.

-მთელი ღამე გზაში ვიყავით, - დაიქუხა მამამ.

-იოდლოვოში გადაჯდომა მოგიწიათ, არა?

-ახლა როსტაშევოში გვიწევს ხოლმე გადაჯდომა, - თქვა დედამ.

-ჰო, - ამოღერღა პატიმარმა. ცდილობდა ისე დამჯდარიყო, რომ დაღლილ, მტკივან ფეხებს ცოტა შვება ეგრძნოთ. ხელისგულებით კედელს მიეყრდნო და ფეხები გამართა. უცებ გულმა გამეტებით დაუწყო ცემა: შეეშინდა, რომ ყოველთვის ზედმეტად მკაცრი მამამისი ეტყოდა, ფეხზე ადექი და ისე მელაპარაკეო. იცოდა, არ უყვარდა, როცა შვილებს უპატივცემულობას ამჩნევდა. ამიტომ დაასწრო მამას და თვითონ განაგრძო საუბარი:

-სიდოროვიჩისა რა ისმის?

-სიდოროვიჩისა? - შეყოვნდა მამა. ერთხანს ფიქრობდა, თითქოს საჭირო სიტყვებს ეძებსო, და თქვა: არც არაფერი. ერთი ეგ არი, ცხენი მოუკვდა.

-ცხენი მოუკვდა? - ჩაეძიმა პატიმარს. გულში კი საკანში დაბრუნებას ნატრობდა, რომ რაც შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება ჩქარა გაეძრო ფეხსაცმელი.

-ცხენი რაღამ მოუკლა?

-აბა, მე რა ვიცი? მოუკვდა და მორჩა, - მიუგო მამამ. - ვეტერინარიც მოიყვანეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო, - თავი მოიქექა და ისევ გაჩუმდა. - ცხენს ალერსიანად უნდა მოეპყრობა, - გააგრძელა ცოტა ხანში ბრძენი კაცის იერით.

-თქვენი დრო იწურება, - თქვა ზედამხედველმა და მათკენ შემობრუნდა,- ხუთი წუთიღა დაგრჩათ.

-ხო, ცხენი, - სასწრაფოდ წამოიძახა პატიმარმა და ცოტათი კიდევ უფრო გამართა ფეხები. - ხო, ხო, აბა რა, ცხენს...ცხენს ალერსიანად უნდა მოეპყრო. ხო, ახლა, თუ მოკვდა... თუ მოკვდა, რაღას იზამ. ხო, მაშ! ცხენს გულისყურით უნდა მოეპყრო. ეგრეა.

უცებ გაახსენდა, რომ დამშვიდობებისას აუცილებლად ფეხზე უნდა წამომდგარიყო და კვლავ ამოიკვნესა. ამოიკვნესა და ისევ სწრაფად იკითხა: ჩვენთან რაღა ხდება?

-ჩვენ, მადლობა ღმერთს, არა გვიშავს, - თქვა მამამ. - თუ ყველაფერი კარგად იქნება, გაზაფხულზე ძროხას ვიყიდით.

-მორჩა, დრო ამოიწურა! - თქვა ზედამხედველმა, წამოდგა და ქამარი შეისწორა. პისტოლეტის მოზრდილი კაბურა სასაცილოდ ეკიდა გამხდარ სხეულზე.

-ეგრეა, - თქვა მამამ. - ხო, ახლა ლაპარაკის დრო აღარ არის, შვილო. ახლა ღმერთს უნდა დაელაპარაკო. შენ ახლა თითქმის უკვე მისი ხარ. აბა, ილოცე! - ხელი რომ ასწია, ზედამხედველმა პირი იბრუნა.

-უფლის ჯვარს გადაგსახავ, - საზეიმო ხმით წარმოთქვა მამამ, - დაიჩოქე.

პატიმარი დუმდა. მერე თქვა, რომ დაჩოქება აუტანელ ტკივილს მიაყენებდა.

-დაიჩოქე-მეთქი, შვილო, - გაუმეორა მამამ, - ჯვრის წინაშე უნდა დაიჩოქო!

არაო, პატიმარმა უარის ნიშნად თავი გააქნია. მერე ხელი მამის ხელს სტაცა და ემთხვია. დედაც ნაჩქარევად გადაკოცნა და ზედამხედველთან ერთად დატოვა ოთახი. მშობლებიც გარეთ გავიდნენ. ჯერ ეზო გადაკვეთეს, მერე ქუჩაში გავიდნენ და სადგურის გზას გაუყვნენ, საიდანაც ორიოდ საათში მათი მატარებელი გავიდოდა. ისე მიდიოდნენ, როგორც სოფელში ჰქონდათ წესად: მამა წინ, დედა რამდენიმე ნაბიჯით უკან.

-ველარ ვცნობ ამ ბიჭს! ჯვრის წინაშეც კი არ დაიჩოქა, - ამოისლუკუნა დედამ და ბებრული სახე კიდევ უფრო დაეღმიჭა. - ვინ იცის, ღმერთიც კი აღარ სწამს.

-პირველად მოხდა, - თქვა მამამ ისეთი ტონით, თითქოს საკუთარ სიტყვებში თვითონვე ეპარებოდა ეჭვი, - აი, პირველად მოხდა, რომ არ დამემორჩილა. საერთო ჯამში, რას ვერჩი, კარგი ბიჭია!

ცოტა ხნით რომელიღაც პატარა სკვერში ჩამოსხდნენ. თბილი დღე იყო. თოვლი დნებოდა. ცის ფერში, ხეების ოდნავ შებერილ კვირტებში, ქუჩაში მიმავალი ცხენების მბზინავ ბეწვში, მზეზე აბრჭყვიალებულ სველ რელსებში გაზაფხულის მოახლოება იგრძნობოდა. გამვლელები პალტოებს იხსნიდნენ. ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად გამორბოდნენ სკოლის შენობიდან, წყლად ქცეული ჭუჭყიანი თოვლი ნადნობი ხმაურით ჩაედინებოდა კანალიზაციის არხებში.

-ეგეც ეგრე! - თქვა მამამ. შემოდგომაზე მეტე კი დაბრუნდება ჯარიდან. იანეკის შარვალ-კოსტუმსაც ის გაცვეთავს. შემოდგომამდე კიდევ როგორმე გავიტანთ თავებს.

-იანეკი უფრო სრული ტანისა იყო, - თქვა დედამ.

-სრული ტანისა, სრული ტანისა, - გამოაჯავრა მამამ, - მეტეკიც მოიმატებს ჯარში. იქ ისე აჭმევენ, რო...

მერე გაჩუმდა, თავის გაპრიალებულ ფეხსაცმლის ჭვინტებს დააშტერდა.

-არა, რას ერჩი, - თქვა ცოტა ხნის შემდეგ, - კარგი ბიჭი იყო. სიტყვაც კი არ დაუძრავს, რო მე დავაძალე. აი, ერთი სიტყვა რა არის, ისიც კი არ დასცდენია!

-შენ დააძალე? - იკითხა დედამ.

-ეგრე გამოდის. ეგრე გამოდის, რო მე დავაძალე. კაცი უეცრად კეფაზე წამოჭარხლდა. - მე ეხლა ბალღი არა მჭირდება სახლში! - თქვა და ჰაერში მუშტი დააღერა. აი, ამ ხელებით მოვიქონიე ყველაფერი: მიწაც, სახლიც, კარიც და ცოლიც. ჰოდა, ამ სიბერის ჟამს სირცხვილს ვერა ვჭამდი, გაიგე? შეცოდეს? რა ვუყოთ, ეგრე მოხდა, მაგრამ ცოლად რატომღა უნდა მოეყვანა? რა მექნა? დამენებებინა, რომ ის უქონელი გომბიო ცოლად დაესვა? გალეტილი და ცარიელ-ტარიელი! აბა, მიწის უქონელ ადამიანს რა ფასი აქვს? სიკვდილი რო სიკვდილია, იმადაც კი არა ღირს. კარგი მინდოდა ჩემი შვილისთვის, ცუდი ხო არა? ვუთხარი, წაიღე და თავლაში, ცხენის გვერდით დააწვინე-მეთქი. ვიტყოდით, ცხენმა ჩაწიხლაო. ამას კიდე შეეშინდა, გამოიქცა და ის ნაჯახიც იქ დატოვა. ზავოდოვოში ქალიც კი მყავდა შეთვალიერებული მისთვის. სახლიც ექნებოდა, კარიც და მიწაც. ამან კიდე ის ამოიჩემა. ჰოდა, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მე ვუთხარი და... ეჰ, კარგი ბიჭი კი იყო. კრინტი არ დაუძრავს. მამის მორჩილება და პატივისცემა იცოდა.

-ოღონდ კი ძალიან ნუ დაიტანჯება, - ამოისლუკუნა დედამ.

-კარგი ერთი, - გაეპასუხა მამა და მღელვარებისგან ჩახრეწნილი ხმა ჩაიწმინდა. სიკვდილი სიკვდილია. მორჩა და გათავდა! რა, ცოტანი იხოცებიან? ან თვითონ რა, სიკვდილი არ უნახია? დემოკრატიის შემოღებამდე ერთ ზამთარში გლუხოვიცეში ნახევარი სოფელი დაიყინა. ზავოდოვოში? იანოვიცეში? იგივე არ მოხდა? განა შიმშილით და სიცივით სიკვდილი უფრო ძნელი არ არის? კარგი ბიჭი იყო და სიკვდილიც იოლი ექნება. თანაც იქამდე კიდევ სამი დღეა. აი, ჩავალთ თუ არა სახლში, წავიდეთ და ვილოცოთ, რომ ბიჭს სიკვდილი გაუადვილდეს.

-კარგი იყო, ხო, კარგი, - თქვა დედამ. - კარგი იყო, მაგრამ, - მრგვალ, დანაოჭებულ სახეზე მაინც დაეტყო ცოტაოდენი ჭოჭმანი, - კარგი თუ იყო, - ჩაიბუზღუნა უცებ, - ჯვრის წინ რატომ არ დაიჩოქა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნანა კობაიძე

# ქეთი ქანთარია - მთარგმნელები და სხვა დანარჩენები



ლევან ხერხეულიძის ფოტო

**ხანდახან ასეც ხდება: გგონია, დიდხანს, ამომწურავად ისაუბრეთ, ტექსტთან პირისპირ დარჩენილი კი აღმოაჩენ - რაღაცეები გამოგრჩენიათ. მაგალითად, რატომ გადაწყვიტა გაგანია 90-იანებში, მთელი ქვეყანა რომ ინგლისურს ეძალებოდა, პოლონურის სწავლა ქეთი ქანთარიამ; ანდა, რა უთხრა შეხვედრისას დიბისი პიერმა, მოლოდინი თუ გაუმართლა; რომელს გამოარჩევდა მის მიერ თარგმნილი პოლ ოსტერის რომანებიდან... ვიღაცისთვის შეიძლება არც ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტია, ამ ყველაფრის გარეშე ამბავი არ ლაგდება. მოგვიანებით, როცა შეკითხვებზე პასუხს იღებ, ხვდები, უკმარობის განცდა ტყუილად არ გაგჩენია. იმასაც ხვდები, რომ მთარგმნელის ცხოვრებაში უმნიშვნელო დეტალები არ არსებობს - ყველაფერი გადამწყვეტია.**

ერთი შეხედვით, თავდაპირველ სპეციალობას მის დღევანდელ საქმიანობასთან საერთო არაფერი აქვს - აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ძველ სომხურს ეუფლებოდა. დღეში ხუთსაათიანი მეცადინეობების დასრულებისას ის და მისი ჯგუფელები უკვე ამ ენაზე ფიქრობდნენ. გული წყდება, რომ ახალ სომხურს მაშინაც ცუდად სწავლობდა. დღეს ველიც ალარ ახსოვს, თუმცა იმ პერიოდმა თავისი მისია შეასრულა - სულ სხვა კუთხით დაანახა კავკასიური ურთიერთობები.

თავის დროზე ეს განხრა ქართველებსა და სომხებს შორის სადავო საკითხებზე სამუშაოდ ჩაიფიქრეს, თუმცა რამდენიმე თვეში მიხვდა, რომ სომხებთან დავა, მით უფრო, როგორც ეს ქართველებს წარმოედგინათ, არ აინტერესებდა. **„ბავშვობაში სადაც მიცხოვრია, ყველგან უსაყვარლესი სომეხი მეზობლები მყავდა. ჩარიცხვის შემდეგ ბებიაჩემის ეზოში შესულს შემომეხვივნენ და მკოცნეს, მკოცნეს - ხელებზე, თავზე, ცხვირზე. მგონი, იმ მომენტში გამინათდა გონება. მერეც სულ ვგრძნობდი, რომ კავკასიაში ჩვენგან პირველ ნაბიჯს მოელიან... ის, რომ სომხურის სწავლა დავიწყე, ერთგვარ ჟესტად აღიქვეს. დავაზე როგორღა ვიფიქრებდი?! პირიქით, ველოდები, როდის გადავალთ თვისობრივად ახალ ურთიერთობაზე - როგორიც ალბათ უამრავი საუკუნის წინ გვქონდა".**

ეროვნული

## პოლონური სენტიმენტები

პოლონური კულტურა მის ცხოვრებაში ადრეული ასაკიდან შემოვიდა. პატარა იყო, როცა გარდაცვლილი დედის დანატოვარ ნივთებს შორის პოლონურის პატარა ლექსიკონი აღმოაჩინა. ჟურნალებიც. პროპოლონური სენტიმენტები ბაბუასაც ჰქონდა. ალბათ, ახალგაზრდობის, სტუდენტობისდროინდელი - ძალიან ბევრი ქართველი სწავლობდა დამოუკიდებლობის პერიოდში ვარშავის უნივერსიტეტში. თუმცა მხოლოდ ეს არ ყოფილა. მისი ბავშვობა ანტენებაწეული რადიოების ხანას დაემთხვა, გდანსკის ვერფში დაწყებული მოძრაობით აღფრთოვანების წლებს. **„შინ თუ გარეთ, ყველგან ეს რადიოხმები და გიჟური აღტაცება მხვდებოდა - პოლონელები ისე ლაზათიანად აკეთებდნენ იმას, რისი გაკეთებაც თავად გვინდოდა და ვერ ვახერხებდით. პოლონელებისგანაც მსმენია პოლონური ფენომენის მიმართ ქართველების გამორჩეული თანაგანცდის შესახებ. ალბათ ქვეცნობიერად ვგრძნობთ იმ ჰეროიკას, სიგიჟეს, დაუმორჩილებლობის სულისკვეთებას, რომელიც ამ ქვეყანას უმძიმესი ისტორიის ნაკვალევად დარჩა და ძალიან საინტერესო კონფიგურაციები შექმნა ხელოვნებაში. ეს თანაგანცდა, როგორც ჩანს, მეც დამყვა. ხშირად პირველივე კადრებიდან ვცნობ პოლონურ კინოს, პოლონური მოქუფრულობის ატმოსფეროს. ქალაქი, რომელიც მიწასთან გასწორებული ვარშავის ნანგრევებზეა აშენებული, ჩემთვის ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე პრაღა ან პარიზი. კრიტიკული დამოკიდებულების უფლებასაც ვაძლევ თავს - ხანდახან მგონია, დავიმსახურე, იმდენად ძველია ბმა".**

ამ ძველ და მრავალკომპონენტიან ურთიერთსიმპათიას ბოლომდე ვერ ხსნის, თუმცა ფიქრობს, რომ პოლონეთი ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც ქართველებს მხოლოდ კარგი სახელი დაუტოვებიათ. მათ კი ჩვენი სამხედრო ემიგრაცია შეიფარეს წოდებების შენარჩუნებით და ვიდრე პოლონეთის რესპუბლიკა არსებობდა, პატივს არ აკლებდნენ. მოგვიანებით ზოგიერთმა პოლონეთის ტრაგიკულ ბრძოლას შესწირა თავი. და ისევ, ეს იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ქართველებისგან ამას იმსახურებდა. ამიტომაც გადაწყვიტა გამგზავრება. არადა, 90-იანები იდგა და ყველა ამერიკაში ან გერმანიაში მიდიოდა სასწავლებლად. მას კი იქ მოუნდა ყოფნა, საიდანაც თვით პოლონელებიც გარბოდნენ. **„სინამდვილეში ასეთი, ვითომ აუხსნელი საქციელი საკუთარი ცხოვრების გაუცნობიერებელი ნაწილისათვის კუთვნილის მიგებას ჰგავდა - ყოველთვის კარგად მესმოდა ეს არჩევანი სხვა, თითქოს უფრო მიმზიდველი პერსპექტივების ფონზე. მაგრამ მერე უფრო აუხსნელი რამ მოხდა - დარჩენა არ მომინდა, რამდენიმე თვეში დავბრუნდი: რაც იქ მიყვარდა, პოლონურობის კვინტესენცია იყო და შორიდან უკეთ იგრძნობოდა".**

მოგვიანებით ამ ყველაფრის მიმართ ინტერესი გაუნელდა: საქართველოში დაწყებულმა პროცესებმა გადაფარა სხვა ამბები, თუმცა მანამდე ახალჩამოსულმა ჩესლავ მილოშის „მშობელი ევროპის" თარგმნა დაიწყო. პირველი ოცდაათი გვერდი, რომელიც იმ პერიოდში გადმოაქართულა, დაკარგა. - ეს ფაქტი რომ არა, ვინ იცის, ეგებ წიგნების თარგმნა გაცილებით ადრე დამეწყო, რამდენი დიდი ნაწარმოები იქნებოდა უკვე თარგმნილი - ამბობს დღეს, მაგრამ უკვალოდ არაფერი იკარგება და წლების შემდეგ ისევ მიუბრუნდა პოლონეთს. ბრუნო შულცი აღმოჩნდა მწერალი, ვის გამოც ეს ენა ხელახლა შეისწავლა, თუმცა მანამდე ინგლისურენოვანი ავტორების ეპოქა ჰქონდა გასავლელი.

## „ამრევი ტიპის" ნაპერწკლები

„ინგლისური ხანა" დიბისი პიერით დაიწყო, რომელსაც „ბუკერის" პრემია ახალი მიღებული ჰქონდა (2003). მისი რომელიღაც ინტერვიუ წაიკითხა, ავანტიურისტული ბიოგრაფია გამორჩევით დაამახსოვრდა და იგრძნო, რომ წიგნიც არანაკლებ საინტერესო იქნებოდა. არც შემცდარა, თუმცა გარკვეული რისკი არსებობდა - როგორ მიიღებდა ამ ტექსტს მკითხველი. მით უფრო, დასაწყისში თვითონაც გაუჭირდა - პირველი გვერდები ძნელად იკითხებოდა. ზოგადად, დიბისი პიერი ერთ-ერთი იმათგანია, საწყის ეტაპზე რომ ანებებენ თავს. თავადაც ამბობს, რომ იმ დროს არ იცოდა, რა უნდოდა - წიგნის დაწერის სურვილის გარდა. ამას მკითხველიც ხვდება, თუმცა ორმოციოდე გვერდის შემდეგ სურათი რადიკალურად იცვლება.

**„ისეთი წიგნია, ცხადად რომ შეგაგრძნობინებს მასზე მუშაობის პროცესს. თითქოს სარკის მეორე მხარეს დგახარ და იმ ატმოსფეროს ხედავ, რომელშიც რამდენიმე წლის წინ წერდა ავტორი.**

**პირველად მქონდა მწერალთან სიახლოვის ასეთი განცდა.ზოგ ეპიზოდში გგონია, ჩაეძინა, მერე უცებ გამოფხიზლდა და ძილბურანში განაგრძო მუშაობა, ისეთი ბუნდოვანია ნაწერი. კითხვისას შესაძლოა, ვერ შეამჩნიო, თარგმნისას კი შედარებით დიდხანს ჩერდები. შენსა და მწერალს შორის არსებული სივრცე მისგან მომავალ ტალღებს თუ ფლუიდებს ატარებს. ლიტერატურულის გარდა, ეს კიდევ სხვა პროცესია, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მეტაფიზიკური. თავად მწერალი ცალკე პერსონაჟია - მისსავე წიგნებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი. პიკარესკული რომანის გმირს მაგონებს, რომელსაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე რაღაც გამოსავალი უნდა მოეძებნა და წერა გადაწყვიტა. თან მგონია, რომ თავიდანვე იცოდა, კარგად გამოუვიდოდა - ძალიან ნიჭიერი ადამიანია და გუმანით იგრძნობდა".**

ნიჭიერმა ადამიანმა არც შეხვედრისას გაუცრუა იმედი. როცა თბილისში ჩამოსული დიბისი პიერი გაიცნო, მიხვდა, რა იყო „ვერნონ გენიოს ლით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის“ საიდუმლოს გასაღები: მწერალი ისევე განსხვავდებოდა ყველასგან, როგორც მისი დაწერილი წიგნი. რაღაცნაირად ნაპერწკლებს ყრიდა - ეს იყო „ამრევი ტიპის“ მიერ გამოშვებული ნაპერწკლები. ორჯერ ნახვაც კი საკმარისი აღმოჩნდა აღფრთოვანებისთვის. **„ამ კაცის ძნელად აღსაწერი, ნატიფი იუმორი იმის ნიშანია, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი და შეფარულად ღრმა კულტურის ადამიანი გავიცანი - ბუნებრივად თავმდაბალი, ძალიან სასაცილო, ამავე დროს, გამოცდილი და ჭკვიანი, უშუალო და მსუბუქი. თითქმის გამქრალი კატეგორია - ფათერაკების მოყვარული, მოხულიგნო, ახლა უკვე ერთ ადგილზე დამკვიდრებული, რომელიც პოლიტკორექტულობის სამყაროს ვერ ერგება, იმიტომ, რომ რაღაც უფრო საფუძვლიანი ახსოვს და ამაში მხოლოდ მის, „ფეშენებელურ“, ბედნიერ მექსიკურ ბავშვობას არ ვგულისხმობ - რაც უნდა საკვირველი იყოს, აწეწილ ცხოვრებასაც. „ისტებლიშმენტში შესასვლელად მზად არ ვარ“ - ასე იგერიებდა ინტელექტუალებს, „ბუკერის“ მიღების შემდეგ თავიანთ წრეებში რომ უპირებდნენ „შეთრევას“. ოღონდ ეს არ არის სელინჯერის ტიპის განდეგილი. სხვა ყალიბის მწერალია. გული მწყდება, რომ მასთან უფრო საფუძვლიანი ურთიერთობა არ მოხერხდა. იმედი მაქვს, ამ მაგარ ადამიანს ოდესმე კიდევ გადავეყრები“.**

## გამეორებები და დამთხვევები

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელია, მისთვის პოლონური „ნადავლი“ აღმოჩნდა პოლ ოსტერი. 1996 წელს სწორედ იქ ნახა ფილმი სახელწოდებით - „ბოლი,“ რომლის სცენარისტიც ეს არაჩვეულებრივი მწერალი გახლდათ. მერე „ილუზიების წიგნის“ თარგმნა დაიწყო. ტრილოგია - სამი ტექსტისგან შემდგარი რომანი ოსტერის ნაწერებიდან მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თარგმნიდა დიდხანს, დაახლოებით ორი წელი, ძირითადი საქმიანობისგან თავისუფალ დროს. მათ შორის უხილავი ძაფები გაიბა, რაღაც თვალსაზრისით, მეტაფიზიკურიც.

**„არ ვიცი, იმის გამო, რომ ოსტერი განსაკუთრებით მიყვარდა თუ სხვა მიზეზით, მისი ტექსტებიდან რაღაცეები ჩემს ცხოვრებაში მეორდებოდა. თავადაც უყვარს ეს თემა - გამეორებები და დამთხვევები. „ნიუ-იორკული ტრილოგიის“ მეორე ნაწილს, „აჩრდილებს“ ვთარგმნიდი, რომელიც ქუჩის ორ მხარეს მცხოვრებ ადამიანებზე მოგვითხრობს, ერთმანეთს რომ უთვალთვალებენ. 2007 წელია, ივნისი. ცხელა, ფანჯრებს აღარ ვკეტავთ. ვზივარ სამზარეულოში ჩემი მასწავლებლის, გოგი კუჭუხიძის ნაჩუქარი ძველი ლეპ-ტოპით და კლავიატურაზე ვაკაკუნებ. თავზე დამათენდა. რაღაც მომენტში ვიფიქრე, ვინმე რომ მიყურებდეს, ამ დრომდე ვბეჭდავ, გიჟი ვეგონები. მერე ფიქრი გავაგრძელე - ის დროა, ქურდები რომ მოძრაობას იწყებენ. ვინმემ არ მომპაროს, დისკზე უნდა გადავწერო ტექსტი-მეთქი. მსგავსი სიფრთხილე აზრადაც არასდროს მომსვლია.**

**თარგმანი გადავწერე და მეორე დღეს სამზარეულოს ფანჯრიდან თვალწინ ამაცალეს ლეპტოპი. 16-17 წლის ბიჭი იყო, ცოტათი სპაიდერმენი. როგორც ჩანს, გადაღმა სახლის აივნიდან მითვალთვალებდა, სხვაგვარად ვერ დაინახავდა, რომ ზედ რაფასთან მედო ლეპ-ტოპი. უცნაური რამ მოხდა - თვალთვალის სცენის მატერიალიზაციით, ფაქტობრივად, სიტუაცია მოვიზიდე. როგორც ვფიქრობდი, ზუსტად ისე აეწყო ყველაფერი. წიგნებს მთარგმნელის ცხოვრებაზე გავლენა აქვთ იმის გამო, რომ თვეობით თარგმნი“.**

თარგმნა მართლა მეტაფიზიკური პროცესია. რაც უფრო მაღალი რანგისაა მთარგმნელიც და ავტორიც, მით უფრო მძაფრდება ეს ყველაფერი. შესაძლოა, ამიტომაც ჰქონდა ბავშვობიდან მათ მიმართ გაუცნობიერებელი მოწიწება და რიდი. **„ჩემთვის ჯერ იყვნენ მთარგმნელები და მათ მოსდევდნენ მწერლები, პოეტები და სხვა დანარჩენები. მთარგმნელს ჰქონდა ფუფუნება, შეექმნა დიდი ხელოვნება ისე, რომ საკუთარი თავი არ გაეშიშვლებინა. იყო ამაში რაღაც განსაკუთრებული. მოგვიანებით, როცა დრო გავიდა, აღმოვაჩინე, რომ ყველა ჩემსავით არ ფიქრობდა: უმეტესობისთვის ჯერ იყვნენ მწერლები, პოეტები და მერე - სხვა დანარჩენები, მათ შორის, მთარგმნელებიც. გაოცებული ვიყავი. ეს განცდა დღემდე მომდევს“.**

## ცხოვრება სიცარიელის შეგრძნებით

მთარგმნელების მიმართ პატივისცემა უფრო გაუმძაფრდა, როდესაც ოცი წლისამ ოსკარ უაილდის ერთ-ერთი ტექსტიდან მოზრდილი აბზაცი თარგმნა და თავი ისე იგრძნო, როგორც სპილომ - ტანვარჯიშის დარბაზში. მერე და მერე, როცა ამ სფეროში არსებულ რეალობას შეეჯახა, მიხვდა, რა რთულია თავის გატანა საქმიანობით, რომელიც ბოლომდე ჩართულობას, ბოლომდე გაცემას მოითხოვს. მთარგმნელთა უმეტესობისთვის ეს პროფესია ძირითადი არ არის. უფრო ჰობია, რომლის გარეშე ცხოვრება ძალიან უჭირთ, თუმცა სირთულეების გადალახვა ყველას არ შეუძლია. ეს ყველაფერი ხელს უწყობს, კარგი მთარგმნელი ჩამოშორდეს ამ საქმიანობას ან მინიმალური დრო დაუთმოს. ზოგიერთმა თარგმნაზე პრინციპულად თქვა უარი, რადგან ვერ მიიღო ის ემოციური და მორალური უკუკავშირი, რასაც მუშაობისას გასცემდა. ამას სხვა ფაქტორებიც ემატება, მაგალითად, თარგმანის სპეციფიკა. ყველა ერთი ტემპით ვერ თარგმნის: ზოგი უფრო ნელია, ზოგი - სწრაფი.

**„მე პირველ კატეგორიას მივეკუთვნები, თუმცა მქონდა შემთხვევა, როდესაც ორ თვეში დავასრულე რომანი. ძალიან კარგი ტექსტი იყო,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნითაც ვისიამოვნე, მაგრამ ბოლოს გამოწურულ ლიმონს ვგავდი. რამდენიმე თვე ველარაფერი გავაკეთე. ადამიანი არ არის პერპენტუმ მობილე - ასეთი დატვირთვის შემდეგ ენერგიის აღდგენა სჭირდება. სიტყვა „ხელობას" არაფერს ვერჩი, მაგრამ ეს არაა ხელობა იმ გაგებით, საქმის ავტომატურად კეთებას რომ გულისხმობს. ძალიან დიდ ენერგიას გასცემ და მუშაობის დასრულების შემდეგ რაღაც პერიოდი ამ ენერგიის გარეშე, სიცარიელეში გიწევს არსებობა. სხვათა შორის, პოლ ოსტერი (თავადაც ყოფილი მთარგმნელი) წერს და შეიძლება აქედანაც გაჩნდა ეს დამოკიდებულება: როცა რომანს ვამთავრებ, დიდხანს, დაახლოებით ერთი წელი მაქვს სიცარიელის შეგრძნებაო. ოსტერი შეიძლება ძალიან პროდუქტიულად არ მივიჩნიოთ, მაგრამ არც არაპროდუქტიული ეთქმის - რამდენიმე წელიწადში ერთხელ ახალ რომანს გამოსცემს. ალბათ, ამ სიცარიელესთან შესაბრძოლებლად".

## თარგმანის „უპირატესობანი"

ბევრ რამესთან ერთად, თარგმნა წაკითხვის საუკეთესო ხერხიც აღმოჩნდა. „ყველაზე კარგი მკითხველი, ჩემი აზრით, მთარგმნელია. ისეთ რაღაცეებს ამჩნევ, რასაც სხვა შემთხვევაში ვერ დაინახავდი. ყველაზე მეტად ეს დიბისი პიერს ეხება. თარგმნისას მის ხასიათს და განწყობას ვგრძნობდი სხვადასხვა მომენტში. მაინც მგონია, რომ ჩემი თაობის მთარგმნელებს პირველ ტექსტებთან უფრო ფაქიზი დამოკიდებულება გვქონდა. ენთუზიაზმიც მეტი იყო და არც ენერგია გვაკლდა. იმ პერიოდში ჰონორარზე საერთოდ არ ვფიქრობდი. ის უფრო მაღელვებდა, ჩემთვის მონდობილი ნაწარმოები მკითხველამდე როგორ მიმეტანა. ამის დაკარგვა ძალიან რთულია. ნარკოტიკივითაა - სულ ფიქრობ, შეძლებ კი იცხოვრო უამისოდ, ჩვეულებრივ მკითხველად გადაიქცე, რომელმაც წიგნი ჩაათავა და არაფერი გამოსცა, საკუთარი თავიდან გამომავალი ძაფები არ მოქსოვა ობობას ქსელივით?!"

სურვილის მიუხედავად, ბევრს ვერ კითხულობს. ამას მთარგმნელების „სენს" ეძახის. მათ ცხოვრებაში იმდენად უხვადაა ტექსტები, თავისუფალ დროს რადიკალურად განსხვავებულ ცხოვრებას ამჯობინებენ. იმაზე აღარაფერს ამბობს, როგორ არღვევს მუშაობისას სხვა ნაწარმოების შემოჭრა მთარგმნელის შინაგან რიტმს. „ყველა მწერალს თავისი სტრუქტურა აქვს, თავისი მდინარება და ნებისმიერმა ტექსტმა შეიძლება უცხო სხეულის როლი ითამაშოს, რომელსაც ორგანიზმი მექანიკურად, ინსტინქტის დონეზე აძევებს. მსგავსი რამ სხვა სფეროებშიც ხდება, მაგრამ შედარებით მსუბუქად: კინოსა და თეატრში - საათნახევარს გრძელდება, აქ კი - თვეობით და შეიძლება უფრო აგრესიულად შეგიცვალოს ბიორიტმი".

## თარგმნა თუ წერა

მწერალი რომ იყოს, ალბათ ბევრს იკითხავდა, დააინტერესებდა, რას წერენ სხვები. თუმცა აპრიორი არც ეს არის - ფოლკნერი, მაგალითად, ბევრს სულაც არ კითხულობდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია საუკეთესო რომანების შექმნაში.

ერთხელ ნაცნობების კამათს შეესწრო - რა უფრო რთულია, თარგმნა თუ წერა. მნიშვნელობაზე არ საუბრობდნენ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობა, გაღება იგულისხმებოდა. რომ დააკვირდა, მთარგმნელებთან ეს მომენტი ყველაზე მძაფრადაა გამოხატული. ძალიან რთული პროფესიაა - ადამიანის ცხოვრების მრავალ ასპექტზე ზემოქმედებს. „ზოგჯერ ტექსტს პირდაპირ „გადაუვლია" ჩემთვის და ეს არ ყოფილა მხატვრული ლიტერატურა. ორლანდო ფაიჯესის „ნატაშას ცეკვას" ვთარგმნიდი, სადაც ცალკე თავი ეძღვნება მეოცე საუკუნის ავტორებს. ლაპარაკი იყო ცვეტაევაზე, ახმატოვაზე, მანდელშტამზე, რომელიც ძალიან მიყვარს. მუშაობისას ლაპალუპით ჩამომდიოდა ცრემლები. თან ფაიჯესი მშრალად წერს, ემოციების გარეშე და ეს სიმშრალე სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს.

ომი დამთავრდა. ქუჩაში მიდიან ახმატოვა და მისი მეგობარი. ლაპარაკობენ იმაზე, რაც იმ საზარელ წლებში გადაიტანეს. ლაპარაკობენ შეკვეცილად, ზედმეტი სიტყვების გარეშე, რადგან არ არსებობს სიტყვა, რომელიც მათ ემოციებს გადმოსცემს. ახმატოვას საყვარელი ჰყავდა, პროფესიით - ექიმი, კორონერი. გადასახლებიდან დაბრუნებულს სადგურზე დახვდა. ხმა ამოიღო თუ არა, პოეტი მიხვდა, რომ ამ კაცს ფსიქიკა შერყეოდა. კულტურული ადამიანი გახლდათ, პეტერბურგში გაზრდილი, ადეკვატურად ახერხებდა ურთიერთობას, მაგრამ რეალურად, შეშლილი იყო - გარემოებათა მსხვერპლი: ბლოკადის დროს გვამების გაკვეთისას კანიბალიზმის იმდენი შემთხვევა ნახა, მისმა ფსიქიკამ ვეღარ გაუძლო და გაგიჟდა. შეიძლება ასეთი მძაფრი რეაქცია მკითხველსაც ჰქონდეს, მაგრამ როცა თარგმნი, უფრო დიდხანს ხარ ტექსტთან და მთელი არსებით, ბოლომდე შეიგრძნობ ტრაგედიას. ამ დროს ნაწერიდან დისტანცირება არ გამოდის, ბოლომდე ხარ ჩართული".

## მთარგმნელების გამომცემლობა

ერთ დღესაც იმ პრობლემებით დაღლილმა, პროფესიული უფლებების არდათმობას რომ ახლავს, „მთარგმნელების გამომცემლობა" დააარსა - საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ მთარგმნელთა ერთობა. უნდა, რომ ყველა მთარგმნელს, ვინც მათთან ითანამშრომლებს, თავისი ხაზი ჰქონდეს. თავად პოლონური მიმართულება აირჩია. სერიას „გედროიცის ციკლი" უწოდა. „იეჟი გედროიცი ლიტვის მმართველების შთამომავალი იყო, თავს პოლონელებად რომ თვლიდნენ - პოლონური ემიგრაციის არისტოკრატიული ნაწილის

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა, რომელმაც აღმოსავლეთთან ურთიერთობა მთლიანად კონსტრუქციულ კულტურულ ურთიერთობებზე ააგო. ომისა და პოლიტიკის ენა კულტურულით ჩაანაცვლა, რაც ძალზე ჭკვიანური სვლა იყო მისი მხრიდან. ეს ადამიანი თავისი ღირებულებებით ჩემთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია, ამიტომაც ვუწოდე ციკლს მისი სახელი".** სწორედ ამ სერიით გამოსცა პოლონურიდან თარგმნილი პირველი წიგნი - ბრუნო შულცის „დარიჩინისფერი მაღაზიები".

ბრუნო შულცი ებრაული წარმოშობის პოლონელი მწერალი და მხატვარი იყო, ხატვას ასწავლიდა დროჰობიჩის გიმნაზიაში. თავის ქალაქში იმდენად მწერლად არ იცნობდნენ, რამდენადაც მხატვრად. ომის დროს გერმანელები პოლონეთში რომ შევიდნენ (ახლანდელი დასავლეთ უკრაინა), შულცი ერთმა ოფიცერმა, ლანდაუმ დაიქირავა. მის შვილებს ხატვას ასწავლიდა, თან სახლში ბავშვების ოთახის კედლები მოუხატა. 1942 წელს შულცი ქუჩაში მოკლეს. წლების მანძილზე არავის მოსვლია თავში, ლანდაუს ვილა დაეთვალიერებინა და მისი კვალი აღმოეჩინა. უკრაინისთვის ეს ადამიანი საერთოდ არაფერს ნიშნავდა. არ აინტერესებდათ - არც უკრაინელი იყო, არც მათთვის გასაგებ ენაზე წერდა, მაგრამ დასავლეთში, ამერიკაში და სხვათა შორის, იაპონიაშიც, ძალიან პოპულარული გახლდათ. წლების წინ ერთ-ერთი გერმანელი ჟურნალისტი, რომელმაც მწერლის ისტორია იცოდა, დროჰობიჩში ჩავიდა და მისი კვალის ძებნას შეუდგა. რასაკვირველია, ლანდაუს ვილაშიც მივიდა, რომელიც იმ დროს კომუნალურ ბინებად იყო გადაკეთებული. საკუჭნაოს კედლებზე, სადაც ბევრი ნივთი ელაგა, ალაგ-ალაგ შენარჩუნებული კედლის მხატვრობა აღმოჩნდა - გრიმების ზღაპრების მოტივებზე შექმნილი პერსონაჟები. დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ეს ყველაფერი ასევე დარჩა - პოლონელები სანახავად ჩადიოდნენ, უკრაინელებს არ აინტერესებდათ, მაგრამ მერე უცნაური რამ მოხდა: ერთ-ერთმა ებრაულმა ოგანიზაციამ (შულცი წარმოშობით ებრაელია), რომელიც ჰოლოკოსტიდან შემორჩენილ ებრაულ მემკვიდრეობას აგროვებდა, 90-იან წლებში ფრესკებიანი კედლის ფენა ჩუმად მოხსნა და ისრაელში გაიტანა. დღეს ის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება. სხვათა შორის, პოლონელებს, რომლებიც შულცს პოლონელ მწერლად მიიჩნევენ, მსგავსი ქმედება აზრადაც კი არ მოსვლიათ.

## ჩაკეტილი სამყაროს ენა

შულცს დიდი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია - მოთხრობების ორადორი კრებული. ერთი დაუსრულებელი რომანი დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ უშიშროების არქივებშია ჩაკარგული და შესაძლოა, ოდესმე ამოტივტივდეს. „დარიჩინისფერი მაღაზიები" და „სანატორიუმი კლეფსიდრის ქვეშ" ომის შემდეგ დაიბეჭდა და მოგვიანებით არაერთ ენაზე ითარგმნა.

ამ ავტორს შემთხვევით ვერ გადააწყდები. ვილაცამ ან რალაცამ უნდა გიბიძგოს, თუმცა მარტო ეს არ კმარა. შეიძლება წაიკითხო და ვერ გაიგო, არ აღმოჩნდეს შენი. ტექსტის აღქმას არ ვგულისხმობ, მწერლის სიერცეზეა ლაპარაკი. ჩაკეტილი სამყარო აქვს შულცს. ჯადოსნური სასახლესავითაა, შეიძლება უარო, უარო და შესასვლელი ვერ იპოვო, თუმცა, თუ მიაგნებ, უცნაური მოგზაურობა გელის.

ოცი წლის იყო, „დარიჩინისფერი მაღაზიები" რომ წაიკითხა - „ინასტრანკაში" იბეჭდებოდა. ახლაც ახსოვს ის განცდა - როგორ აღმოაჩინა ჟურნალში ძალზე მდიდარი, ამასთან, რთულად აღსაქმელი ტექსტი. პირველ ჯერზე ბოლომდე ვერც გაუმკლავდა - იმდენად მძიმედ მოეჩვენა ნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წლების შემდეგ ამ წიგნის თარგმნა გამომცემლობა „დიოგენემ“ შესთავაზა. იცოდნენ მისი პოლონური გამოცდილების შესახებ, თუმცა ოდესღაც ნასწავლი პოლონური შულცის ენისგან სრულიად განსხვავდებოდა, ამიტომ თარგმნა ინგლისური ვერსიიდან ამჯობინეს. დროდადრო სამი თარგმანის ტექსტს იხმარებდა: ინგლისურს, რუსულს და უკრაინულს.

მუშაობის დაწყებიდან ძალიან მალე უკრაინაში, შულცის მშობლიურ ქალაქში მოუხდა ჩასვლა. დროჰობიჩში ესტუმრა ფესტივალს, სადაც მწერლის თაყვანისმცემლები - ნამდვილი „შულცმანიაკები“ იკრიბებიან. ქართულად თარგმნის ამბავი ძალიან გაუხარდათ და უამრავი საჭირო რჩევაც მისცეს. იქ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მხოლოდ პოლონურიდან უნდა ეთარგმნა ეს ავტორი. **„ახალი დაწყებული მქონდა თარგმნა, როდესაც ფესტივალზე დამპატიჟეს. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მომეწონა და გამორჩევით წავიკითხე, როგორც მთარგმნელს, ძალიან გამიჭირდა შულცთან კონტაქტი. რაღაც დრო იყო საჭირო მის სამყაროში შესასვლელად, ამიტომ დროჰობიჩში ჩასულს საოცარი უხერხულობის განცდა მქონდა. რამდენჯერმე უარიც შევუთვალე, მაგრამ არ გაჭრა. სწორედ იქ მითხრეს, არ მეთარგმნა ეს ტექსტი ინგლისურიდან. არ შეიძლება ამის გაკეთებაო. ისედაც მაწუხებდა განცდა, რომ არასწორად ვიქცეოდი და დროჰობიჩის მერე ფიქრიც აღარ დამჭირდა“.**

## გაჭიუტებული თარგმანი

გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო, თუმცა განხორციელება გაუჭირდა. „დარიჩინისფერ მაღაზიებს“ ორი წლის განმავლობაში აბზაც-აბზაც თარგმნიდა. ტექსტი მთარგმნელს ჯიუტად უძალიანდებოდა. **„ზოგადად, მწერლისა და მთარგმნელის ურთიერთობა ცალკე თემაა - რომელ წიგნთან როგორ შედიხარ კონტაქტში, „გიშვებს“ თუ არა ავტორი. პოლ ოსტერთან და დიბისი პიერთან არანაირი ბარიერი არ შემქმნია, შულცი კი - ერთი შეხედვით, ჩუმი, თავმდაბალი, უპრეტენზიო ხატვის მასწავლებელი, ყველაზე მძიმედ დასაძლევი აღმოჩნდა. გარემო, რომელსაც ის აღწერს, ჩვენი მენტალობისთვის უცხოა, რთულია შეღწევა მისი ქალაქების ატმოსფეროში. ეს წიგნი დახურული სამყაროს კანონებითაა დაწერილი და მის გახსნას დიდი დრო სჭირდება“.**

ისე მოხდა, რომ პოლონეთის ძველ სახელმწიფოში ებრაელებს ცხოვრების საკმაოდ კარგი პირობები ჰქონდათ. ამიტომ აქ ბევრმა მათგანმა მოიყარა თავი. დროთა განმავლობაში ამ ადამიანებმა პოლონიზაცია განიცადეს - გვარები შეინარჩუნეს, მაგრამ კათოლიციზმს ილებდნენ, ძალიან კარგად იცოდნენ პოლონური. ბრუნო შულციც პოლონური კულტურის ნაწილია. ყველაზე კარგად ეს მის ნაწერებში გამოჩნდა, რომლებმაც იმდროინდელი პოლონეთის პატარა ქალაქის სული შემოინახა. ავტორმა „მოჭრა“ და თავის ტექსტებში გადაიტანა ის ეთნოგრაფიული სურათი, რაც დღეს ხელიდან გვეპარება, გაგვირბის. თანამედროვე დროჰობიჩში ძველი ქალაქი აღარ არსებობს, დაიკარგა. **„იქ ყოფნისას სულ მინდოდა შემეგრძნო შულცის ტექსტებში არსებული გარემო და განწყობა, მაგრამ ვერ შევძელი. თითქოს ყველაფერია - ძველი შენობები, ლამაზი ცენტრი, მაგრამ ის სული არ იგრძნობა. ძალი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ნატანჯი ტერიტორიებია, მეორე მსოფლიო ომის დროს აქ საშინელება ხდებოდა. მერე პოლონელები გაასახლეს, კანტიკუნტად დარჩენილი ებრაელები ნელ-ნელა თავისით წავიდნენ. ფაქტობრივად, ყოფილ აღმოსავლეთ პოლონეთს შინაარსი გამოაცალეს და უკრაინულ ნაციონალისტურ ტერიტორიად აქციეს. უცნაურია, მაგრამ ამ გარემოს ვერც მუზეუმები აცოცხლებს, ვერც ებრაული მუსიკა, რომელიც მსგავს ვითარებაში ცოტა ხელოვნურია. ომამდელი პოლონეთის ატმოსფერო სამუდამოდ დაიკარგა“.

ორმაგად რთული იყო ამ ყველაფრის გადატანა თარგმანში: ეთნოგრაფიული გარემოს გარდა თარგმნა სჭირდებოდა შულცის ენასაც - მძიმეს, ცოტა გაპრანჭულს, ებრაული სიბრძნით გაჯერებულს, ჯერ კიდევ ბიბლიიდან რომ მოსდევთ, და ამავდროულად, ელეგანტურს. ‚ქართული რეალობისთვის უნდა მოერგო ლათინიზმებიც, რომლებიც ტექსტში ასე უხვადაა, თუმცა პოლონურში ბუნებრივად ჯდება, როგორც ევროპული საუნივერსიტეტო სივრცეების დანალექი, ქართულ ვერსიაში კი ცოტა ხელოვნურია. „სხვათა შორის, პოლონურ-ებრაული ქალაქების გარემო რუსულად უფრო კარგად გადადის, რადგან ჩვენ არ გვყავდა იდიშზე მოლაპარაკე ებრაელობის ფენა. ენობრივად ისინი უფრო ქართველები იყვნენ. რუსულ გარემოსა და ლიტერატურაში ეს ხაზი უხვადაა - მაგალითად, ისააკ ბაბელი, ქართულში კი ანალოგიური სივრცე თავისუფალია. წარმოიდგინეთ, რა საინტერესო იქნებოდა, ქუთაისის ებრაელობაში ვინმე შულცის მაგვარი რომ გამოჩენილიყო“.

ორი წლის თავზე სირთულეები დაძლია და ბოლომდე მიიყვანა თარგმანი. „დარიჩინისფერ მაღაზიებზე“ გადატანილი წვალების მიუხედავად, შულცის მეორე წიგნის თარგმნასაც აპირებს. „სანატორიუმი კლეფსიდრის ქვეშ“ პირველის მსგავსად, მოთხრობების კრებულია და როგორც წესი, ერთად გამოსცემენ, მაგრამ ჯერჯერობით შულცისგან დასვენება ამჯობინა.

შულცზე სვენებ-სვენებით მუშაობას კიდევ ერთი გამორჩეული პოლონელი ავტორი მოჰყვა - ვიტოლდ გომბროვიჩი. „წიგნები ბათუმში“ მალე გამოსცემს გომბროვიჩის „პორნოგრაფიას“ და ჩვენც პოლონური კულტურის „უფრო ნამდვილ“ მხარეს დავინახავთ. მიკვირს, რომ ღრმა კავშირების მიუხედავად, ასე ზედაპირულად ვიცნობთ ამ კულტურას. გომბროვიჩი გიჟი გენიოსია, რომელიც თავდაყირა აყენებს პოლონელის თვითიდენტიფიკაციას - იმას, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე. მისი თარგმნის შემდეგ პოლ ოსტერის „უხილავი“ (Invisible) წავიკითხე. მართალია, ჩემი, როგორც მთარგმნელის თვითიდენტიფიკაცია ყველაზე მეტად ოსტერს ეფუძნება, მაგრამ მივხვდი, რომ სწორ გზაზე ვდგავარ: ძალიან კი მაკლია ეს რიტმი და თხრობა, რითაც ოსტერი ნათარგმნ მწერლებს შორის ყველაზე მეტად ემთხვევა ჩემი შინაგანი თხრობის დინამიკას, მაგრამ რამდენიმე პოლონელმა, რომელთაც სიამოვნებით ვთარგმნიდი, თუ ეს საქმიანობა (უფრო ცხოვრების წირი) არ მომბზერდა - დაჩრდილა ეს ავტორი. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ „ტრილოგიის“ თარგმნა ყველაზე დიდი სიამოვნება იყო ჩემს პროფესიულ გამოცდილებაში“.

## უკვალოდ ჩავლილი ტექსტები

ნათარგმნ ტექსტებს ორ ნაწილად ყოფს: ის, რაც თავად აირჩია და რაც გამომცემლობებმა დაუკვეთეს. არიან მწერლები, რომლებიც შეიძლება თარგმნო და ძალიან კარგადაც, მაგრამ ვერ გაითავისო, ვერც მათზე საუბრის უფლება მისცე საკუთარ თავს. ასეთები აღმოჩნდნენ კურტ ვონეგუტი, ფილიპ როთი და ჩარლზ ბუკოვსკი. ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი ცუდია ან არ მოსწონს, უბრალოდ, მისი გონება იმ ეტაპზე სხვა მწერლებისკენ იყო მიმართული. „შეიძლება მშვენიერი ავტორის, მაგალითად, როთის რომანი დაგიკვეთონ, მაგრამ შენ ამ დროს გომბროვიჩის თარგმნა გინდოდეს. მის ხსენებაზე სულ მქონდა განცდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი სახელი მესმოდა. მეგონა, გომბროვიჩის არჩევით ცხოვრებას დადებითი მიმართულებით წავიყვანდი. შულცის წლები ჩემთვის მძიმე აღმოჩნდა, დანარჩენებზე ვერაფერს ვამბობ - ვთარგმნე და ჩაიარა, განსაკუთრებული კვალის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო იყო მუშაობის პროცესი. განსაკუთრებით როთის თარგმნისას ვიხალისე, თუმცა ამის გამო მასზე ლექციას ნამდვილად ვერ წავიკითხავ. იგივე შემიძლია ვთქვა ვონეგუტსა და ბუკოვსკიზე“.

## Et cetera

ჯერჯერობით აქტიურადაა ჩართული მთარგმნელობით საქმიანობაში, თუმცა რაღაც ეტაპზე ცვლილებებსაც არ გამორიცხავს. „ბოლო დროს მსოფლიოში ასეთი ტენდენციაა - ასაკოვანი ადამიანები ახალ, ძველისგან სრულიად განსხვავებულ საქმიანობას იწყებენ. თავიდან დიდ უგუნურებად მეჩვენებოდა პროფესიის მიტოვება, რომელშიც უფრო და უფრო იწაფები, მაგრამ მერე მივხვდი: ამას იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ სხვა რამე უკეთ გამოუვათ, უბრალოდ, ადამიანი არ უნდა მოკვდეს თავის პროფესიაში, ახალი მიმართულებაც უნდა მოსინჯოს, ერთგვარად თავიდან დაიბადოს. სულ მეჩვენება, რომ ეს სფერო რაღაცნაირად ამოვწურე. როცა შენი საქმე ისეთ სიამოვნებას აღარ განიჭებს, როგორც დასაწყისში, ახლის კეთების მოთხოვნილება გიჩნდება. ამ ეტაპზე პოლონურიდან რამდენიმე წიგნის თარგმნა მინდა, მერე კი მაქვს გეგმები, რომელიც თარგმანს არ უკავშირდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანა ქელეხიძე

***

ჩავედი და მაღაზიიდან მორიგი გემრიელი შხამები ამოვიტანე. ტკბილი, ფაფუკი კრემით -
ძალიან მჭირდებოდა.
ვიცი, გვკლავს ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიყვარს. ბევრი რამ გვკლავს ნელ-ნელა.
დინჯად, გადაკიდებით, თავს არ გვანებებს.
ცუდად ვარ, მგონია, რომ მოვკვდები. -
შევჩივლე მეგობარს.
არაუშავს, მეც ცუდად ვარ. სიკვდილით კი ყველა მოვკვდებით - დამამშვიდა მან.
ვხვდები, ქვასავით აუღელვებელი უნდა ვიყო.
მტკიცე და შეუვალი.
ქალაქის ცენტრში ჟანგბადის ნატამალი არ იყო დილით.
ვგრძნობდი როგორ ჩადის ფილტვებში ქიმიური ელემენტები. მძიმე მეტალები, მინერალები და
ორგანული შენაერთები.

კარგია, რომ ტოქსიკომანი ვარ. - გავიფიქრე.
ღრმად ჩავისუნთქე სიამოვნება, რომელიც ვიცი, საზიანოა.
დილის რიჟრაჟი, ჩიტების საამო გალობა და მისთ.
უკვე რაღაც ახლით უნდა ჩანაცვლდეს -
აღარ თენდება ლამაზად და რომანტიკულად, მონაბერი გრილი ნიავით.
მაგრამ პლუსი ყველაფერს აქვს - მთავარია, ვიყოთ ოპტიმისტები.
ალკალოიდები ძალიან საჭიროა - მიხსნიდა ავტობუსში ერთი ბებია -
მორფი საჭირო დოზით წამალია, ეს, ადამიანები იყენებენ გასამდიდრებლად.
გუშინ საღამოს ერთი საათით მეგობრებთან გავიქეცი.
ჩვენს მკვდარ მეგობარზე სასაუბროდ. მერე ბევრიც ვიცინეთ.
საერთოდაც, სასაცილოა ცხოვრება, თუ დაუკვირდებით.
ტირილად არ ღირს. კი, დრო და დრო, ადამიანები დაგვკარგავენ, მოგვიკვდებიან. მერე რა მოხდა?
გადავავლე თვალი და მივხვდი,
სინამდვილეში ყველანი სიყვარულის და სითბოს მათხოვრები ვართ.
ვდგავართ ხელგანვდილები და ღრმად ვისუნთქავთ იმას, რაც გვკლავს.

* * *

ერთი ადამიანიც კი არ გადარჩა
ჩემი ამბავი მოგიტანოს.
მე გავწყვიტე მეგობრები,
მოვკალი შესაშური სიდინჯით.
ზოგს ცეცხლი მივუკიდე,
ზოგს სანამლავი ჩავუყარე ცხელ ჩაიში.
ზოგიც თავისით გადნა, თოვლივით.

ერთი მეგობარიც არ შემომრჩა,
მოვიდეს შენამდე და ჩემზე მოგიყვეს,
რომ ზამთარივით თეთრი გახდა ყველაფერი.
რომ ყოველი დილით ეზოში თოვლის კაცი
ქვის თვალებით დაჟინებით მიყურებს,
მსაყვედურობს,
რომ არავინ დავტოვე.
მხოლოდ თეთრი თოვლი.



* * *

რომ არსებობდეს მიწის ზემოთ მკვდრების ქალაქი,
მიასვენებდა შესასვლელთან ყველა თავის მკვდარს,
მერე - ისინი ჩაიბარებდნენ.
უპატრონებდნენ ახლად მოსულს.
მიუჩენდნენ ბოლო სამყოფელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგს ალბათ ეზოც ექნებოდა.
გამოვიდოდა თვალდახუჭული,
დაიწყებდა აალებას მიწის პირიდან,
ჩრდილებიდან ცოცხლების ყნოსვას.
ზოგჯერ, ალბათ, ძველ ნაცნობსაც აღმოაჩენდა,
საქმიანად რომ მიაბიჯებს.
დაუძახებდა.
გაუცინებდა მკვდრების უხმო, მუნჯი სიცილით.
გაიხსენებდა,
როგორ იყო ცოცხლადყოფნები,
როცა თავადაც,
თუ შემთხვევით ჩაუვლიდა უხილავ ქალაქს,
ქარის მოყოლილივით გაიგებდა საკუთარ სახელს,
ტრიალდებოდა მხრებაწურულ გამვლელებისკენ
და ფიქრობდა,
რომ ალბათ, ისევ მოეჩვენა.



ნეტავი იყოს მკვდრების მიწისზედა ქალაქი.
ეცდებოდი შესასვლელთან შენით მიხვიდე,
შემთხვევით, უცხო სტუმარივით
შეერიო სხვის წვეულებას.
როცა მკვდარი ხარ,
ყველაფერი პირიქითაა:
სიხარულია ყველა ახალი მიცვალებული,
მონატრებული სხეულების ბოლო შეხვედრა

* * *

ძნელია გადაშალო ბოლო გვერდი,
სადაც წესით უნდა ეწეროს:
დასასრული.
ზიხარ და უაზროდ დაჰყურებ ფურცლებს,
ამბავი კი რახანია წაიკითხე.
რახანია გაიქცა ყველა გმირი,
მეორე, თუ მეათეხარისხოვანი,
ყველა მოვლენა, დღეები, ღამეები.
ხედავდი კიდეც როგორ გარბოდნენ -
უკანმოუხედავად,
სულმოუთქმელად,
ფეხებს კისერზე ირტყამდმენ.
სახეები აწითლებოდათ და გულები ამოვარდნაზე ჰქონდათ.
ერთი გზისპირასაც კი ჩამოჯდა და
ზურგჩანთიდან წყლით სავსე ბოთლი ამოიღო.
- არ დალიო! -
დაუძახა ვიღაცამ,
- არ შეიძლება ასე დაღლილზე!
ის გაფრთხილებაც კი წავიდა ამ ამბიდან.
ის თავიც გაქრა,
ღლისით სარდაფში ღამურები რომ ეკიდნენ და
შეღამებულზე შურდულებივით დაქროდნენ ჰაერში.
წვიმდა კიდეც რომელიღაც გვერდზე.
იმდენ ხანს წვიმდა -
ფურცელი გაიჟლინთა და ერთ ასოსაც ვერ გაარჩევდით.
მერე ვიღაც მოადგა ხის კარს და დააკაკუნა.
მაგრამ აღარავინ იყო წიგნში, კარი რომ გაეღო,
ხმაც კი არ იყო,
ფანჯრიდან გადაეხედა და გადავარდნილიყო -
სახლში არავინაა! ნუ აკაკუნებთ!
ყველაფერი მანამდე ჩაკუჭეს ზურგჩანთაში წყლიან ბოთლთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ნათურაც მოხრახნეს გულაბი მსხალივით.
ერთი კალათი ვარსკვლავებიც ჩამოკრიფეს ციდან თეთრი ბლებივით და მერე ვილაცამ თქვა:
შორი გზით მოუარე და მგელს არ დაელაპარაკო.
მგელი კი იჯდა და მოკლე გზაზე იცდიდა.
და საერთოდაც აუტანელი იყო ეს ყველაფერი,
რომელშიც ნათქვამს,
პირველსა თუ მეასეხარისხოვანს,
ფეხები გამოება და გაიქცა.
და ბოლო ფურცელზე,
ნაცვლად -
„დასასრული“,
დარჩა -
„დაეიწყება“, -
ყველაზე ერთგული სიტყვა,
რომელიც აგდია საფლავის ქვასავით,
ზედ არაფერი აწერია და
ვერავინ ხვდება, ვინ დაიმარხა.



როდემდე მეყურა ცარიელი ფურცლებისთვის?
რა აზრი ჰქონდა გამხსენებოდი?!

***

ჩემი სამსახურიდან ჩემს ტელევიზორამდე
4022 მეტრია.
ასე მიჩვენებს ტელეფონში ჩამონტაჟებული მართვის პულტი.
მე შემიძლია მხოლოდ საგნები ვაკონტროლო.
„თუ ქართველი სვამს ჩაის - მხოლოდ ამხელა ჭიქით“. -
ატრიალებს ნახევარლიტრიან ჭიქას ქერათმიანი გიდი ამაყად.
მაოცებს ყველა სტერეოტიპი:
როდის ჩატარდა სოც. გამოკითხვა ჭიქის ზომებთან დაკავშირებით? მე არასოდეს მეკითხებიან.
მხოლოდ: როგორ ხარ? - ზრდილობის გამო.
წუხელ ისევ მხოლოდ ოთხი სთ. მეძინა.
ვიღვიძებ. სამი წუთი საწოლის პირას უხმოდ ვზივარ: გამოფხიზლება.
ჩემმა პაპამ და ბებომ დაამარცხეს ფაშიზმი და რაღაც „იზმები“.
დედა და მამა აშენებდნენ კომუნიზმს და ნათელ მომავალს.
მე მხოლოდ პატარა სახლი მინდა.
საკუთარი. რძისფერი ჭერით. ხის იატაკით. ადამიანით.
უნდა ვიყო ძლიერი ქალი, რომელსაც სძინავს ოთხი საათი.
სწორედ იმდენი, მოასწრო და რომ არ მოკვდე - გამოიძინო.
დროც ზუსტად მყოფნის, ფულიც, ნერვებიც.
მეგობრებსაც ესმის ჩემი: არ მემდურიან.
მე კი მაშინებს, რომ თანდათან ყველა დამტოვებს.
თუ ვერ მხედავენ - აღარ ვახსოვარ.
გაჩერებაზე რკინის კედელს მიყრდნობილი ვდგავარ და ვუსმენ
ყურსასმენებში საკუთარ გულის ბაგაბუგს.
ვერ გაექცევი, პათეტიკა ერთხელ მაინც მოგერევა. ვერსად წაუხვალ.
სულ უფრო ხშირად ვფიქრობ მათზე ვინც წავიდა, ან არ მოვიდა.
ვისაც ყოველდღე ვხედავ და ან ვესაუბრები.
მე მხოლოდ საგნებს ვაკონტროლებ.
ვუჩენ ადგილს ქურთუკს, ჩანთას, ტელეფონის დამტენს, ფეხსაცმელს.
ვხურავ კარს და მუყაოსგან გაშენებულ ტყეში შევდივარ.
მარტოობა სითხესავით უფორმო და წებოვანია. ლამაზ, მყარ ხაზებს ვერასდროს მისცემ.
მთელი ცხოვრება არის თითო დღის ქრონოლოგია.
ორ დღეს თანაბრად ვერ იცხოვრებ.
ვერც ორ ცხოვრებას, ან ადამიანს.
ჩვეულებრივი დღე იყო დღესაც.
ვზივარ საწოლზე,
ტელევიზორს ახლა 20 მეტრი მაშორებს.
მხოლოდ საგნებს ვუახლოვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდრო დადიანი

## ქალაქი

1
ქალაქში ტლანქი სიკვდილია გაჩხერილი, მდორე მოძრაობით ირხევა მისი ტანი და როცა ყველას მოგვინელებს, მზე და ვარდები იხარებსო მერე, ამბობენ

2
ხე რომლის ქვეშაც ჩემმა შეყვარებულმა პირველად გამყიმა ვეღარ ვნახეთ. ხეებზე მონადირეს უთხარით: იმას, რომელზეც „დათოს + ანდრო" ეწერა, ჩვენი სიყვარულის ხეა. წყალი არ მოაკლოს და ვიტამინები ფესვებდაგლეჯილს

3
ჩემი საყვარელი პოეტის ქუჩაზე, ჩემი საყვარელი პოეტის სახლთან ძველი, ყვითელი ბულდოზერები დგანან...

4
ტელევიზორი შიშინებს.
შიშინებს...
შიშინებს...
ევროპის დროშისფრად ანათებს
ქალაქის თავზე ანძა,
ტელევიზორი არაფერს შიშინებს
შიშინებს, შიშინებს, შიშინებს...



5
ქალაქი ველარ იზრდება
უჭერს შენობები ქალაქს
ქალაქი თავში ჩაიზარდა
აფარებული აქვს ხელები სახეზე ქალაქს
ქალაქი თავს გაიგუდავს, ქალაქი იგუდავს თავს



6
ქალაქს ეშმაკის ბორბლები გასძვრა,
ანგელოზების იმედზეა დარჩენილი ის ახლა,
გზა თუ იპოვეს გამურულ ცაში

7
სიტყვებმა დაგვტოვეს, მდუმარების ყლორტები იწვერება ჩვენი ტუჩებიდან, იოგებში იხლართება და სასას გვიპობს მისი ფესვები
(სად არის ქალარა მთაწმინდა?!)

8
ქუჩიდან რომელსაც სახელი არ აქვს, სახლიდან რომელსაც ნომერი არ აქვს, გამოასვენეს თითებდაჭრილი, ტყვედჩავარდნილი ჯარისკაცი. მისი ფანჯრის ქვეშ წარწერა დარჩა - „მე გადავცურავ ზღვას"

9
ჯერ, სამუშაოზე დამაბრუნეთო, მარტო იდგა ტრანსფარანტით თბილისის ცენტრში, მერე პარლამენტის წინ აძვრა და დროშით თავი დაიხრჩო ტყიბულელმა მეშახტემ

10
დედა ქართლისა ძუძუებს უწვდის,
ცინკის ძუძუებს ქალაქს,
რკინა და ტროტილია ცაში,
ქალაქს გაეყინა ნაბიჯები,
კვალი გაუშეშდა ქალაქს

11
ახალგაზრდა შეიძლება მოკვდეს, ბებერი უნდა მოკვდესო, ქალარა თბილისო ჩემო.

12
გველეშაპივით გდია მიწაზე ქალაქი და ცეცხლის ენებს უნთებს საკუთარ მოქალაქეებს.
ვაი შევჩივლო, გიორგიც და რუსთაველიც მკვდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3
ალო, ალო, ალო,
შენ ხარ უფალი?
ტუ, ტუ, ტუ...

14
უჰაერობა მახრჩობს...
ჩამეხუტე, უფრო ჩამეხუტე,
მომეკარი, უფრო მომეკარი,
შენი კუჭიდან ამოსულმა შიმშილის სუნმა გამგუდოს
ამ უნაყოფო ქალაქის ნაცვლად.
ჩამეხუტე, უფრო ჩამეხუტე,
მომეკარი უფრო მომეკარი.



* * *

ნივრის სუნია,
დედაჩემი მოვიდა!
როგორც დისტანციური პულტით
ტელეფონით მართავს მამას:
- მიხვედი სახლში?
. . . .
- წყალი გადაიღე?
. . . .
- ასე რად აწველებ?
. . . .
- დაგავიწყდა ჭამა?
. . . .
- ბადრიჯანია ნიორწყალში.
. . . .
- მაცივარშია, დაბლა...
კიდებს ყურმილს
და იწყებს დაგვას.
მამაჩემი მასტურბირებს ან
შეექცევა კლასიკურ ლიტერატურას
დანტეს, ტაბიძეს, რემბოს ან ბალზაკს.
(ნივრის სუნი დგას ქალაქში)
დედაჩემს სძაგს კლასიკური ლიტერატურა და
გულისრევამდე კითხულობს ეგზისტენციალისტებს,
მერე ისე უკვირდება ყველაფერს,
რომ იმისი მზერა ძვლებამდე ატანს.
ბაზრიდან ბრუნდება
ტკივილებით სავსეს შემოდგამს კარებში კალათს,
ფეხსაცმელს იხდის,
წუწუნებს და
მიწვავს ქათმს,
- ხორცი უნდა ჭამოს ახალგაზრდა კაცმა!
(მისი საყვარელი სოუსია - ნიორწყალი)
ქათმის ფრთები ნიორწყალში!
მამაჩემი მასტურბირებს,
ან კითხულობს ახლა ბალზაკს.
(ქალაქში დგას ნივრის სუნი!)
ამ ჩემს კუტუს ნიორწყალში,
ეს მე ზუსტად ვიცი,
არასოდეს არ მოვიყვან ცოლს და
არვისაც არ გავუყოფ საბანს.

## ანუბისის ღიმილი

სასჯელი მირონივით მორაკრაკებს ქუჩებში,
მეტროებში და მარშუტკებში
თეატრებში და სამინისტროებში,
ეკლესიებში და სასამართლო დარბაზებში.
ერთიდაიგივე ილეთებს იმეორებს ყოფის პლასტიკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძების ილლიების სუნი უდის თავზე თანამდებობის პირებს,
მე გავგუდავ მათ დაუსრულებელი ნეპოტიზმისთვის,
თანამშრომლებს ყბებში ამოკერებული ენებისთვის,
პათოლოგიურად უუნარო,
ვარა ვამბობ პირად ჰიგიენაზე,
არ ვიპარსავ წვერს,
არ ამოვიბან წირპლებს,
არ გამოვიცვლი ტრუსიკს,
ჩავიფსამ სადაც მომეფსმება
და არავის მოვუხდი ბოდიშს.
მეჩვიდმეტე დღეა
აღარ ვიბან ტანს,
არ ვიხეხავ კბილებს.
ავალ ავტობუსში და მივუჯდები ქალს
400 ლარიანი ხელფასით კმაყოფილება რომ აწერია სახეზე,
მივიმწყვდევ კუთხეში და არ გავუშვებ სანამ არ დაიხრჩობა.
ჩემის ტრაექტორია A წერტილიდან A წერტილის გათვლით
A წერტილისაკენ მოძრაობაა.
ვიხრჩობი,
ოფლის სუნია,
ოფლის სუნში ვიხრჩობი,
მე თავს ვუშველი,
ნინას გავყვები ცოლად.
შენ კი,
გამოწველე ფაიფურის ძუძუები მაგ შენს ქვეყანას!
გამოწველე ფაიფურის ძუძუები მაგ შენს ქვეყანას!!
გამოწველე ფაიფურის ძუძუები მაგ შენს ქვეყანას!!!



* * *

*პოეზიის საზღვრები დღეს უფრო ფართოა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. პოეტობა ჩვენს დროში სამყაროს უმნიშვნელო ნიუანსების პოეზიად აღმოჩენასა და სახელდებაში ვლინდება. ფრაგმენტები ტექსტებიდან, რომლებიც თავის დროზე პოეზიად გამოქვეყნდა, მაძლევს საშუალებას, პოეზიად გამოვაცხადო, მათ პოეტურ თანაავტორად მოვიაზრო თავი და ამით მათ მეორე სიცოცხლეც მივცე ლიტერატურულ სივრცეში.*

* * *

(კარლო კაჭარავა - დღიურიდან)

ის მუდამ მოწყენილი დადიოდა;
უკანასკნელად ვიღაც ცალფეხა კაცი მოსწონდა,
რომელიც ხის პროთეზში ინახავდა
თავის ლექსებს და ჟურნალებიდან ამოჭრილ ფოტოებს.
მანამ ვიღაც ჰომოსექსუალისტი,
რომელიც რატომღაც მუდამ კისერს ულოკავდა.
უფრო ადრე ერთი ახალგაზრდა კაცი,
რომელიც მატოციკლეტით დასეირნობდა და
მერე იმ მოტოციკლეტით დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

* * *

(ჩაკ პალანიკი - „ძილისპირული"
მთარგმნელი გია მურაძე )

ხშირად ხდება ხოლმე ასე.
სიცილი და მუსიკა ფიქრებს შთანთქავს.
მათ ხმაური ახშობს.
ყველა ხმა ყურადღებას გიფანტავს,
ხელს გიშლის აზრების კონცენტრირებაში.
ნებო თავს გტკენს.
ჩვენი აზრები უკვე ჩვენი აღარ არის,
იმიტომ, რომ შეუძლებელია საკუთარ თავში ჩაღრმავება,
უბრალოდ დაჯდომა და ფიქრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაური საიდანღაც მაინც აღწევს.
მომღერლები ხმის ჩანყვეტამდე გაჰყვირიან.
მკვდრები იცინიან,
მსახიობები ტირიან.
ყველა ეს ემოცია - მცირე დოზებით.
ვიღაც აუცილებლად აშხეფებს ჰაერში თავის განწყობილებას.
მაგნიტოფონები მანქანებში ვიღაცეების მწუხარებას, ბოღმას თუ დარდს აფრქევევენ.

* * *

(ფილიპ როთი - „პორტნოის სინდრომი"
მთარგმნელი ქეთი ქანთარია)

დედაჩემი საკუთარ თავს ივიწყებდა
უფრო სწორად საკუთარ თავს თავფეხიანად მოყვასს უძღვნიდა.
მიცვალებულებს სანთელს ახლაც უნთებს ხოლმე,
(რაც სხვებს აზრად არ მოსდით).
დედაჩემს რელიგიური თარიღები ყოველთვის ახსენდება
და ამისთვის კალენდარი არ სჭირდება.
წესების გულმოდგინედ დაცვა სისხლში აქვს გამჯდარი.
როგორც ამბობს ხოლმე, სასაფლაოზე იმისთვის დადის,
რომ „სალი აზრისა" და „ღირსების გრძნობის" კარნახით,
ჩვენი ნათესავების საფლავები სარეველას არ დაანებოს.
გაზაფხულის პირველ დღეს დადგომას არ აცლის.
შალის ტანსაცმელს ამზეურებს,
ნოხებს თოფებად ახვევს, და შემოსასვლელში აბინავებს,
მამაჩემის სიგელ-მედლებით დაფარულ კედლებზე.
დედაჩემი ის ქალია,
სახლში უცხო ადამიანის შეშვებისა რომ არ შერცხვება.
რა დროც არ უნდა იყოს,
იმ უცხოს ნებისმიერ კარადაში ნებისმიერ უჯრაში ჩაახედებს
და მისი თვალი იქ ისეთს ვერაფერს დაინახავს, რომ დედაჩემს შერცხვეს.
სააბაზანო ისე აქვს დაწკრიალებული,
საჭირო რომ გახდეს იატაკის ფილებს ალოკავ.
მაჯონგის თამაშის დროს რომ აგებს,
ამ ამბავს სპორტსმენივით უყურებს,
აბა, თავს ხო არ მოიკლავს ზოგიერთებივით,
სახელს და გვარს არ დაასახელებს და არც ტიპი პოხწანს ახსენებს,
საერთოდაც ისეთი სისულელეა ეს ყველაფერი,
სათქმელადაც არ ღირს.
დედაჩემი ჭრის და კერავს,
ქსოვს და კემსავს,
უთოობით ხომ შვარცზე უკეთესად აუთოებს.

* * *

(ზურაბ ქარუმიძე - „მელია-ტულეფია")

სასტუმრო „გრანდ-ოტელის" ყველაზე დიდ ნომერში,
მტკვარს რომ გადაყურებს,
ორნი არიან - შაქრო და მერიონ.
შუა ოთახში მრგვალ მაგიდაზე დევს ხილით სავსე ლარნაკი,
შუშის გრაფინით - ლიმონათი,
ორი თეფში და ჩაროზის დანა-ჩანგალი.
კუთხეში კონსოლის პატარა მაგიდაზე დგას პატეფონი
და გამოსცემს ჯაზურ ბგერებს,
ფანჯრიდან შემოსული ცხელი ჰაერის თანხლებით:
გარედან მონაბერი სიო ვარდებით მოქარგულ ფარდებს ბერავს
და აფრიალებს.
თეთრებში ჩაცმული ქალი და შავწვერა მამაკაცი,
შავ ახალუხსა და გალიფეში ლიმონათს წრუპავენ,
თან ბაასობენ:
- ეს ჯაზია, შაქრო,
მუსიკა, რომელიც ნიუ-ორლეანელმა ზანგებმა
და კრეოლებმა მოიგონეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატა ვარადა

# გვიანი ზაფხული. ახლებიდან

### სათხოვარი

ღმერთო, დააძინე ბუკიოტი, შუაღამისას კვნესის სიმარტოვის გამო.
ღმერთო, დააძინე ღამურა, ფრენს ნერვიულად, უმისამართოდ.
ღმერთო, დააძინე ბუ, მისი დაყუდება და თვალებისბრიალი.
ღმერთო, დააძინე ერთადერთი ვარსკვლავი ცაზე, რადგან ახლა შუაღამის ხუთია და
ყველა სულიერს სძინავს, თუ მოსწყდა და კუდიანივით გაქრება, ვერავინ მოასწრებს სურვილის
ჩაფიქრებას.
ღმერთო, დააძინე ჩემი მეზობელი ძაღლი, გერმანული ნაგაზი აგატა, რომელიც მიყურებდა დილით
სკოლის ეზოდან ზავშვის თვალებით.
ღმერთო, დააძინე ეს ღამე, რომელიც ილევა ნელ-ნელა და თვლემს ბერიკაცივით.
ღმერთო, გააღვიძე ჩემი ეზოს ვარდების ბულბული, რათა ვარდებმა დეკემბრამდე იხარონ.
ღმერთო, გააღვიძე დედა მერცხალი, გამოძვრნენ ჭიაღუები მიწიდან.
ღმერთო, გააღვიძე მამაჩემი, უთენია თურქულ ყავას რომ იდუღებს თავისთვის, თან ჩარლი ჩაპლინს
ეძებს პულტით, კედელზე ჯვარივით გაკრულ ტელევიზორში და მისი ძაღლი, მგლისთავა ბიმი,
როგორც ფოლკნერის წიგნებშია ზღურბლთან უზის, რათა თხილების ბაღის გზას გაუყვნენ.
ღმერთო, გამაღვიძე მეც, კანონები მსურს გამოვაქვეყნო, მაცნე ვარ ჩემი დედა თბილისის, არ დამრჩეს
რამე ძალადაკარგული, ასამოქმედებელი ანაც კი სადავოდ.

### ახალი ამბავი



ეს პოეზია ჩემი არ არის, ჩემი არ არის სხვა ფესტივალი,
ჩემი არ არის საერთაშორისო შეხვედრები, ვორქშოპები,
თავპირისმტვრევა.
ჯერ მე უნდა გავიზარდო, ჯერ მე უნდა მოვიცადო
დავწურო სათქმელი პოეზიაში და ლექსად ვიქმნა ჩემში ყოველი.

ჩემი არ არის ეს პოეზია, გარს რომ მომეკრა დაბადებისთანავე,
რადგან დედაჩემი გაეპარა მამას გინეკოლოგთან აბორტზე და
ბებიაჩემმა გამოგვიჭირა გაჩერებაზე.
რადგან, მეოთხე გოგო ეს იმედგაცრუებაა ქართველი მამის და
სამშობიაროს N პალტაში აღარ მოვიდა მამაჩემი ჩემს ნასაყვანად.
რადგან, ხუთი წლისას დედაენის წიგნი მომიპარა ავეტირე უფროს დას
და აღარ შემხვდა ნოლჯგუფში ძალით მისულს, არც წიგნი, არც ადგილი,
მხოლოდ მაღალი კლასელების ზემოდან ცქერა.
და დედაჩემის ხელით შეჭრილი თმა იმსახურებდა მუდამ ქილიკს
მათი მხრიდან, თვალებიდან.
რადგან, ყველა ბიჭი გამირბოდა, თმაში უხვი მოსავლის გამო,
ტილების ფერმა ხარობდა ჩემი ხვეული თმის გაუვალ ტევრით.
მე მათ არ ვხოცავდი და არ ვტოვებდი მათ სისხლს რვეულების თეთრ ფურცლებზე,
რადგან სისხლით ნაწერი მეზიზღებოდა.
მე ხომ ათთერთმეტი წლისა სოფელში, მხოლოდ ქართან ვდაქალობდი.
მთელი ორლობე შემალული საკუთარ უსახურ კედლებში,
მე კი ქართან დაჭერობანას აკიდებული,
ხანდახან ცხენის ურემზე ამხედრებული თეთრი პაპა გადმომხედავდა,
ქუდი გვერდზე უცურდებოდა და თვალებით ცას ახედავდა,
ალბათ გულში ევედრებოდა თავის გამჩენს: არაფერი აღარ მინდა,
ამ ბალღ უშველე.

არ არის, არა, გასწი-გამოსწი ჩემთვის
ეს პოეზია.
მე აკვანთან უნდა დავართო ბალღი, სამშობლოს გამოვუზარდო ვაჟი,
რომელსაც დაუნანებლად გამოვიბამ კალთაზე,
რომელიც 20 წლის შემდეგ გარდაუვალ სამოქალაქო ან ერთმორწმუნე ომში
უნდა შევაგდო დაუზარებლად.
არ არი, არა ჩემთვის საერთაშორისო ფესტივალები,
უცხოელ მაგარ პოეტებთან პირისპირ დგომა,
სამარცხვინოა, მინდა დავმალო ხელისგულები, ჭუჭყიანი, ტალახიანი და ქვიანი.
ჯერ უნდა მოვკვდე...
ეს პოეზია გარს შემომერტყას, შემომისახლდეს,
გამწიოს და გამხრას ძვლამდე, სადმე გულამდე,
კაპილარების ამოჭმამდე, შემომიხორცდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქეთი გზირიშვილი

## მარცვლის სიმღერა

არ გაიმხილო, რომ მკვდარი ხარ,
თუკი გინდა, რომ გაგაცოცხლონ.

თუ გინდა, აღდგე სიკვდილისგან,
არ დაიჯერო, რომ მკვდარი ხარ.

არ შეეგუო, რომ მკვდარი ხარ,
რადგან მოვა შენთან სიცოცხლე

და მკვდრად მანამ ვერ ჩაითვლები,
ვიდრე იგი მოსვლას აპირებს.



* * *

ერთ დღესაც თავდაყირა დგები.
უცებ აღმოაჩენ, რომ სხვა ადამიანად გიცხოვრია,
სხვა ყოფილხარ მანამდე.
ჯერ ფრთხილად ეხები საკუთარ თავდაყირა თავს,
თვალს უსწორებ,
უღიმი დაძაბულობისგან მობრეცილი ტუჩით.
მერე იძინებ.
დგება სხვა დღე და ხვდები, რომ ისევ თავდაყირა ხარ,
ოღონდ ხელები აღარ გაქვს, რომ თავს შეეხო -
აღარ გჭირდება მოსინჯვა და ტუჩის გასწორება,
რადგან ხელები, რომლებსაც თავისკენ ინვდენდი,
შენს ტანს სწევენ ცისკენ
და ისე მოგწონს ეს მდგომარეობა,
რომ გავიწყდება შენი გაწონასწორებული,
ფეხებზე დაყრდნობილი წარსული.
მერე იძინებ.
და იძინებ.
დრო მხოლოდ ღიმილია მოუბრეცავი.
რჩები თავდაყირა, თითქოს ასე ჩამოეზარდე ხის ვარჯს,
ასე გამოისხი, გაზარდე და დაიცვინე ყველა ფოთოლი,
ასე გამონასკვე ყლორტის ბოლოში ყვავილი
და უშლი თავს მზის ამოსვლისას,
როცა გულზე ჩიტი გიმღერის.

## CORPUS

როცა აღმიქვამს, ჩემკენ ბრუნდება და ლაპარაკს იწყებს.
მიყვება, როგორი სუსტია, როგორ სტკივა.
აი აქ, აი აქ.
მიყვება, როგორ ახსოვს.
აი აქ, აი აქ.
შუა საუბრისას ჩუმდება და ზურგით დგება.
ამ დროს არაფერს ვეუბნები.
საერთოდაც არაფერს ვეუბნები -
მე ხომ მხოლოდ მსმენელი ვარ,
ვინც ვტირი მისივე თვალებით,
ვიჭამ მისსავე ტუჩებს,
ვიხვევ მისსავე ხელებს ამოჩრილ ნეკნებთან და ვიხუტებ.
ის კი მოულოდნელად ითავისუფლებს თავს,
მიდის ფანჯარასთან და იყურება სივრცეში,
რომელიც კედლებით მთავრდება,
როგორც ჩვენი კომუნიკაცია.
მომდევნო კავშირი მექანიკურია -
ვაგრძელებ მის მოწესრიგებას,
გამოკვებას,
წაყვანას სავალდებულო ადგილებზე,
მისი ხმით ლაპარაკს - თუ სურთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩისი სახით გალიმებას - თუ სურთ,
მის უკან წამოყვანას, სადაც საწოლია,
სადაც ვაწვებ და ვაცდი -
იქნებ იქამდე, ვიდრე შესცივდება,
გულისცემა შეუნელდება,
კენთები მოუდუნდება,
მოიკუნტება რომელიმე გვერდზე და უწონო გახდება,
რამის თქმა მოუნდეს.
მითხრას - აი სად, აი სად,
მე კი არაფერი ვუპასუხო
და მასივე იმედით მეგონოს,
რომ ძილში უკეთესია.

## SPIRITUS

უჩემოდ აზრს დაკარგავდა.
არ ექნებოდა სახე და საზღვრები,
რომელშიც ჩაიძახებდა,
არ ექნებოდა დრო.
მოქცევისას მისკენ ვბრუნდები.
ვუყვები, სად მეკვრის
გამორიყული მკვდარი უჯრედები, ქაფი.
როგორ მიბრწყინავს თვალში ქვირითი,
რა ბასრი პირები აქვთ უნერილო ბოთლებს,
რა მყრალია განავალი სიტყვები,
რომლებიც ბოთლებში არ დალუქეს,
რა მძიმეა თევზის დუმილი.
როცა მიიქცევა,
ვუყურებ დასკინტლული კლდისკენ,
რომელზეც არ დგას
ბავშვი - მასში ჩასახტომად მომზადებული,
არცერთი მეოცნებე,
არცერთი ხე.

* * *

სიყვარულს არ სჭირდება მოპოვება.
ის ჩნდება და კვდება,
როგორც ადამიანი.
შეიძლება გული ატკინო,
არსი დაუმახინჯო,
ან ისე იზრუნო,
რომ მასში და მასთან ერთად
სიხარული ისადგურებდეს.
შეიძლება მოკლა,
ან მარტოობისგან მოკვდეს,
როგორც საბოლოოდ კვდება
ყველა ადამიანი
და მისი ბოლო იმედი ის იყოს,
რომ კიდევ დაიბადება
სხვა ცხოვრებაში.



* * *

მთელი ცხოვრება სიხარულს ვეძებდი:
მშობლებთან, რომლებიც ავირჩიე,
სოციალურ ჯგუფებში, რომლებშიც მშობლები შემიძლვნენ,
სოციალურ ჯგუფებში, რომლებშიც შემთხვევით მოვხვდი,
გათენებებში, რომლებიც თავისით დგებოდა,
დაღამებებში, რომლებსაც ველოდი,
მიწაზე, რომელზეც ვრგავდი,
წყალში, რომელიც მეპკურებოდა,
კანში, რომელშიც გამოვიკეტე,
კანში, რომელიც მეხებოდა,
სივრცეში, რომელსაც თვალის დახუჭვისას ვხედავდი,
გემოში, რომელიც საბოლოოდ დამრჩა
და ვერც ვაფურთხებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დაბადება

ჩემში მცხოვრები ბიჭი მონყენილია.
ის დარჩა პატარა ბიჭად,
გოგოსგან განსხვავებით,
რომელმაც ზრდა განაგრძო.
ხანდახან ეხუტება გოგოს და ეკითხება,
რატომ ვერ მიდის სათევზაოდ,
ან რატომ ვერ სვამს გათიშვამდე.
უყურებს გოგოს თვალებიდან ლამაზ გოგოებს
და უსმენს გოგოს ყურებით კაცების საუბარს.
ყველაზე მეტად კაცებთან ლაპარაკი სურს
და გოგოს პირით მეტყველებს,
კაცებს კი ყოველთვის აინტერესებთ გოგოს აზრი.
სწყინს, როცა გოგოს ტკენენ
და მუშტებს კრავს,
მაგრამ არ იცის, როგორ დაარტყას
ან ვის ჩახედოს თვალებში - კაცმა.
ბოლო იმედი დაბადება იყო.
რამენაირად გაჩენა სხეულიდან,
სადაც გამოუმწყვდია და იყურება
გოგოს თვალსაწიერში,
რომელსაც ის ორისთვის იფართოებს.
გოგო დაპირდა.
მას სჯერა.
პერიოდულად გოგოს სიზმრებში ჩნდება.
გოგო გარბის და ის მისდევს,
ეწევა და მკლავზე ეხება.
- მერე მე? - ეკითხება გაოცებული.
პასუხი არცერთმა არ იცის.
ხან პირიქით, ზურგით დგას
და გოგო მიდის მასთან,
კისერში უყოფს ცხვირს და
მისი თმის სუნი ცხადამდე გამოაქვს.
ბიჭი მოწყენილია.
ბიჭი, რომელსაც ვატარებ, მონყენილია.
მე მას სურვილებს ვუსრულებ,
რამდენადაც ამის საშუალებას
ჩემი თვალები, ხელები და პირი მაძლევს.
ყველაზე მთავარს კი ველით.



* * *

ჩემი ობლის კვერი არასდროს ცხვებოდა,
ეგ კიარა, ჩაკვრითაც არავის ჩაუკრავს.
ყველას ეგონა, რომ საკმარისად ძლიერი ვიყავი
და არ მჭირდებოდა არც მოფერება, არც მხარში დგომა.
არასდროს მომირგია უსუსური კნუტის სახე,
საწყლად რომ კნავის ადამიანის ფეხთან მანამ,
სანამ ხელში არ აიყვანენ და რძეს და ბინას არ მისცემენ,
და თუ მაინც კნუტი,
ალბათ ველური კატისა ვჩანდი,
ყველას რომ ჰგონია -
ადვილად გაიტანს თავს,
რადგან ძლიერია და ნადირობა გენში აქვს.
როგორ ვისწავლო კნავილი,
რომ თავზე ხელი გადამისვან და ჩემი დაცვა მოუნდეთ
(რადგან ყველა ობოლს სჭირდება ხანდახან თავზე ხელის გადასმა),
მე კი იმ კატასავით,
ვინც სახლი იპოვა თავის შეცოდებით,
ვთვლიდე, რომ ეს მე უნდა მიმადლოდეს
ხელქვეითი ადამიანი თავის კარგად ყოფნას,
მაგრამ არ ვამჟღავნებდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიგება

იმისთვის, რომ გათავისუფლდე, ტკენა უნდა შეძლო,
დარტყმა სუსტ წერტილში,
გარღვეულ ჯაჭვის პერანგში შეღწევა -
საკუთარი თავის მოსაჭრელი დანის პოვნა და კისერზე დასმა,
საკუთარი თავის მოჭრა,
საკუთარი თავის ბასრად წამახვა,
გაისრება და ტყორცნა.
უძილო ღამეების მერე,
მლაშე წყლით სახის დალბობის მერე,
კედელზე თავის ცემის მერე,
ბნელი სიზმრიდან გამოსვლის მერე,
დგება დღე,
როცა წყვეტ კავშირს ორ დღეს შორის.
ამბობ: ეს მან მოკლა ჩემში სიყვარული,
რაც ჩასახა, ულვივებდა მიწას და უსხამდა წყალს,
რაც ააყვავა.
და ახლა შენ,
ვისწიც გაზაფხული ჩარეცხეს მეწყრებმა
და ჩაიტანეს აყვავებული ხეები,
ბუდეები, რომ მორჩა,
გაქრა ჩიტი,
რომელიც ხტოდა შენს გაზაფხულში.
მხოლოდ მორი დარჩი,
ტალახმოვლებული
და ინჯებ თლას თავისას
და გაქვს ახალი ლოცვა
მონილე თვალებისთვის -
ლოცვა ბრძოლის წინ სათქმელი.
და ვიდრე ესერი,
კიდევ ერთხელ ჩაგირბენს შერჩენილ თვალში ტკივილი:
დაუკლაკნება ელვა -
მეწყრამდე გავარდნილი მოწმენდილ ცაზე.
თქვი, სანამ მიხვალ:
მხოლოდ იგი კლავს, ვისაც მოუკლეს.
მხოლოდ მას კლავენ, ვინც აღარ უყვართ.
მხოლოდ მაშინ, როცა სიყვარული კვდება.
მხოლოდ მაშინ, როცა სიყვარული კვდება.

* * *

ყოველთვის, როცა რაღაცის მოთმენა ძალიან მიჭირდა,
ან ძალა არ მყოფნიდა საბრძოლველად,
მაშინვე ვაქცევდი პირობად
და ვიტყოდი:
ამას თუ მოვითმენ,
ე.ი. ჩემი სანუკვარი სურვილიც ახდება,
ე.ი. კიდევ უფრო ახლოს მივალ მასთან,
დარწმუნებით შემეძლება ვთქვა,
რომ სასწაული არსებობს.
ყოველთვის ვფიქრობდი, რომ
შესაშური მოთმინება მქონდა -
ჩემი ერთ-ერთი აღსანიშნი თვისება,
მონაზონი ინატრებდა, ანდაც მოწამე.
მაგრამ თურმე ყველაზე დიდი გამოწვევა სხვა ყოფილა.
არა ცალ ფეხზე დგომასავით დათქმული პირობები,
არამედ თავზე გადაბიჯება.
და ეს ყველაზე სულელური პირობაა,
რომელსაც, ალბათ, ღმერთიც არ უყენებს
თავის მხევლებს,
რადგან თუ თავი არ გიყვარს,
ვერც ის გეყვარება საკუთარ თავში,
ვინც თავი გაჩდო.
როგორ უნდა შეიფარო მგზავრი სახლში,
თუ სახლი არ ხარ.
თუ დაუშვებ, რომ ჩამოინგრეი -
მგზავრმა ხომ გვერდი აგიარა.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## დიმიტრი წიკლაური

# ვალენტის შვებულება



### 1.

ძველდაბაში თითქმის მისულები იყვნენ, ძრავა რომ გაფუჭდა. მძღოლმა დაიჩემა, კარგა ხანს მოგვიწევსო დგომა, თუმცა გაგვიმართლა, ეს ამბავი ზედ პროფილაქტიკასთან რომ შეგვემთხვაო. ჯანდაბას ასეთი გამართლება, ავტობუსი ექვსი საათის განმავლობაში მიინჯღრეოდა ოღროჩოღრო გზაზე, რათა აგარაკი, საითაც მიეშურებოდნენ, მგზავრებს კიდევ უფრო დიდებულად მოსჩვენებოდათ.

ვალენტის მოგრძო, ყვითელი ჩემოდანი ფერხთით ედო, საბარგულში განზრახ არ მოათავსებინა, თუმცა წუხდებოდა. სამაგიეროდ გული მშვიდად ჰქონდა. მძღოლის მოგრძო სარკეში ავტობუსის მთელი ინტერიერი მოჩანდა. რამ შეგვყარა ერთად ამდენი სხვადასხვა ხვედრის ადამიანი, გაიფიქრა მან. მგზავრები მართლაც უცნაურად გამოიყურებოდნენ. ფამფაშა ქალები კალათებით და სათვალიანი, მოუსვენარი მოხუცები, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც კომბინეზონში გამოწყობილი წვერებიანი კაცი არ მოსდიოდა თვალში, ნამდაუწუმ ჯიბეს რომ იმოწმებდა, გეგონებოდა მჭიდი ედო. რაც არ უნდა ჰქონოდა, სად უნდა დაეჰკარგვოდა, ელვაშესაკრავით ჰქონდა დამაგრებული. ფანჯრისკენ ბიჭი იჯდა დაღვრემილი სახით, მშობლების მაგივრობას სოციალური დახმარება რომ უწევს. ვალენტის წამოსვლა დილითვე უნდოდა, მაგრამ ავტობუსმა ფეხად გაასწრო. დასტვენას რომ შეეცადა, საწყალობელი ბგერები თვითონაც ძლივს გაიგონა. ისე დაბერდა, სტვენა ვერ ისწავლა. რამდენ სამგზავრო მანქანას ჩამორჩენილა, მის თვალწინ რომ დაძრულა სწორედ. იძულებული გახდა, შემდეგს გამოჰყოლოდა.

მგზავრებიდან, ვალენტის ჩათვლით, ბევრს სტკიოდა თავი. ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა - ავტობუსში, ზედ შუა კარებთან, ვერტიკალური მილი იყო დამონტაჟებული მომცრო გამონაშვერებით. ყოველმა მეორე მგზავრმა ამოსვლისას ამ მილს თავი რეხვა, მძღოლი კი ამშვიდებდა, ეს დამატებითი უსაფრთხოებისთვის მოვიფიქრეთო, იმ შემთხვევისთვისო, მგზავრობის დროს მოულოდნელად კარები რომ გაიღოსო. დაზარალებული მგზავრები მძღოლს შეჩერებოდნენ, მაგრამ მისი ახსნა-განმარტებიდან ინჩი-ბინჩი არ ესმოდათ, რადგან თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდათ. ტკივილს მდუმარედ ითმენდნენ და თავიანთ სკამებზე რომ ჩამოსხდებოდნენ, ერთმანეთს დაზიანებულ თავებს უჩვენებდნენ. ვალენტიმ კიდევ ერთხელ ინანა, თავის დროზე სტვენა რომ არ ისწავლა, ციტრამონი დალია, რომელიც მუდამ ჯიბით დაჰქონდა და აბები სხვებსაც გაუნაწილა. გზაში თუ მგზავრი შეემატებოდათ, ციტრამონის აბი მისაწოდებლად წინასწარ ჰქონდა გამზადებული. ზოგიერთები ნიძლავსაც დებდნენ, თავს მიარტყამს

თუ არ მიარტყამსო, მაგრამ ესეც მობეზრდათ, მთელი გზა ტანჯვაში და მოწყენილობაში განვლეს, ბოლოს კი ძრავაც გაუფუჭდათ უმოწყალოდ დათარსულებს.

პროფილაქტიკა ერთი შეხედვით გარნიზონს ჰგავდა მიჯრით განლაგებული ფარეხებით. შეკეთების პროცესი გაჯანჯლებულ სხდომას დაემსგავსა, რომელიც მხოლოდ იმიტომ ტარდება ხოლმე, განრიგით რახან უწევს. ვულკანიზაციასთან ტალახით გაზეპილი ნაფეხურები ისე გაქვავებულიყო, მაზუთით სავსე ცისტერნაც ვერ გადატკეპნიდა. ჩაშავებული ავზები შემოღობილ ტერიტორიაზე სხვა ხარახურასთან ერთად ეყარა. ჭაობიანი მხარე ჩანდა, ქინქლები და კოღოები მოსვენებას რომ არ მოგცემენ. ჭავლების მომცრო წრეებით თუ შენიშნავდი მწერების ფრთხიალს წყლის ზედაპირზე. ვალენტის რეზინის შლანგები მახრჩობელა გველებად ესახებოდა, ხოლო შუადღის მზე მინავლულ ნაკვერჩხლად. არხში ისედაც ბინძური წყალი მიედინებოდა, მუშები კი დასვრილ სათლებს ზედ აცლიდნენ, ბარემ მღვრიეა და ჩვენც მიეუშვათ ჭუჭყიანი ნაკადებიო. ეტყობა, ასეთ რამეებს დიდად არ აქცევდნენ ყურადღებას. მდიდრებს არ ბაძავდნენ, სიმყრალე პარფიუმერული სურნელებით გადაეფარათ. დაქცეული ზეთი ლაქებად მრავალგან აჩნდა ისედაც გაშავებულ და ადგილ-ადგილ ამოტეხილ ასფალტს. რა საჭირო იყო ზედმეტად თავის გამოდება, მომსვლელი ისედაც არ ელეოდათ. ჰაერში ნაცარი ფარფატებდა ჩავლილი ცეცხლის მოგონებად. ჩამქრალი ნაკოცონარი დაზინზლულ ღველფად ქცეულიყო. შორიახლო, სალებავისგან გათეთრებულ გუბეს, ორთქლი რომ ასდიოდა, ღორები დრუნჩით მიდგომოდნენ, თითქოს თბილ რძეს სვლეპენო და გამდინარე წყლის ზედაპირიც გულისამრევად ჭუჭყიანი ჩანდა. ეტყობა, აქ მომუშავე პერსონალის ბედს უზენაესი გამრიგენი ყველაზე უვარგისი უროებით ჭედდნენ და გრდემლსაც გრდემლი აღარ ეთქმოდა. ისინი მანქანის საწვავზე და მუხრუჭის სარქველებზე გაცილებით მეტად დარდობდნენ, ვიდრე იმქვეყნად თავიანთ ხვედრზე, თითქოს მარადიულები ყოფილიყვნენ. თუმცა ალალი ხალხი ჩანდა, კარიერის თვალუწვდენელი კიბის საწყის საფეხურებზე ამძვრალნი მყისვე რომ იწყებენ უკან გამობრუნებას. ვალენტის ადამიანებიც და ტექნიკაც მარტივი უყვარდა, მსგავსად უბრალო ნათურებისა, უცებ რომ მიახრახნი, ინოვაციურ გამოგონებებს გაურბოდა, რომელთა ინსტრუქციის წაკითხვაც კი მთელ დავიდარაბას გადაგყრის.

ცოტა ხანში ვალენტის მოუსვენრობა დაეტყო. მერე ჩემოდანი ძირს ჩამოილო, დარჩენილ გზას ფეხით განვაგრძობო. შენი საქმის შენ იციო, დიდად არ შეწუხებულა მძღოლი, ისე, მოკლეებზე თუ ივლი, ორი კილომეტრიც არ უნდა იყოსო დარჩენილი, ტყეზე მიუთითა. გზის ახსნაში სხვა მუშებიც ჩაერთვნენ, მაგრამ ვალენტი იმათსას ვერაფერს იგებდა, ხმოვნებს ყლაპავდნენ და ყრუ თანხმოვნებილა ჩაესმოდა, თითქოს ძველ შუმერთა სხდომას ესწრებოდა. მუსაიფში პაუზებს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხაპასხუპით ლაპარაკს, ღრმა აზროვნების შთაბეჭდილებას მაინც დატოვებს. ავტობუსში ერთხელაც შეიხედა, სკამიდან წამოდგომისას, ხურდები ხომ არ ჩამეპნაო. მერე მძღოლს ცივად გამოემშვიდობა, რადგან უმნიშვნელო ურთიერთობებს დიდად არ განიცდიდა. მცირე საიდუმლოებანი ადამიანს თუ ნაღველს მატებს, დიდი საიდუმლოებანი გულჩათხრობილს ხდის, ვალენტი კი სევდიანი კაცი იყო. რამდენჯერაც რეალობიდან გაქცევა სცადა, იმდენჯერ ეს გაქცევა ექცა რეალობად. სასაცილოდ გამოიყურებოდა შუაგულ ტყეში მიმავალი ვეება, ყვითელი ჩემოდნით. მზერა ისეთი დაღლილი ჰქონდა, მაშინვე შეატყობდი, ნჯღრევა-ნჯღრევით მომავალ ავტობუსით რომ ემგზავრა. ირგვლივ ყველაფერი შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ყოველი მორიგი შთაბეჭდილება წინას აეიწყებდა და უკანასკნელი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. შორიახლო ცხენი შენიშნა, ნესტოები კვიცთან მიეტანა და დაბალ ხმაზე ჭიხვინებდა. კვიციც ისეთი ინტერესით უსმენდა, თითქოს რაღაც ძველსა და მნიშვნელოვან ცხენურ ამბებზე უამბობენო. სადღაც შორს, ჩავლილი მატარებლის ხმაზე ორივენი დაფრთხნენ და ტყის სიღრმეს მიაშურეს. ხავერდოვანი ხარაჩოები და ცისაბო დეკორაციები ერთმანეთს ცვლიდა, სიმჭიდროვის მიზეზი კი გვიმრები გახლდათ, ჩრდილებს რომ წარმოშობდა ფართო ფოთლებით, თითქოს შეზღუდვებს აწესებსო. იქნებ ჯობდა, ვალენტი წყალსატევთან მისულიყო და ვინმესთვის გზის შესახებ გამოეკითხა, მაგრამ არავის გადაწყდომია. მთელი შემოგარენი სევდიან სიმარტოვეს მოეცვა და კლდის ნაშალი ფერდობიც ჩამონგრეულ სასახლეს ჰგავდა, თავზე ფერადი პეპლები რომ დაფარფატებდნენ, ხბორები წკარუნა ეჟვნებს აჟღარუნებდნენ, ხოლო სანახები ღერღილის ისეთ მწირ მოსავალს წარმოაჩენდნენ, თითქოს უნაყოფო მინამ ორიოდე სიტყვა ძლივს ამოღერღაო. მერე როგორც იქნა ძველდაბას მიაღწია და ბინების გამქირავებელ პუნქტს ესტუმრა. სახლის მეპატრონეები ჭადრების ჩრდილში ისხდნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ. ერთ მათგანს, რომელმაც თავისი ბინა ძალიან უქო, ეთამაშა კიდეც, მერე ბინის ფასზე მოურიგდა და როცა ჩემოდანს დაავლო ხელი, მაშინღა შენიშნა, თითებზე სახელურის ფორმა ნაჭდევებად რომ დამჩნეოდა. ზღვა ხელის განვდენაზე გვაქვსო, უკანასკნელი კოზირიც დაახეთქა სახლის მეპატრონემ და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით წაუძღვა ვალენტის. სახლს რომ მიადგნენ, მიღრეცილ-მოღრეცილი კიბეებით აქოშინდნენ მეორე სართულზე და სანამ სხვენთან მდებარე ოთახს მიუახლოვდებოდნენ, იმდენი ბრუნი გააკეთეს, დარეტიანებული ვალენტი კიბის ბოლო საფეხურზე ჩამოჯდა. ცოტას დავისვენებო, ხელსახოცით შუბლი შეიმშრალა.

გარეთა კედელი ნარეცხ წყალს გაეშავებინა, საკვამური მილები მთელ ჩაყოლებაზე იყო გამოჩრილი და საწვიმრიდანაც რუხი შეფერილობის წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჟონავდა, გეგონებოდა ქვარტლი და მური იფილტრებაო. ოთახებში ყვავილები ბევრგან ელაგა, ლარნაკებშიც ენყო და იისფერ კოლბებშიც. ჩახჩახა ჭაღიდან არეკლილი სხივები მეტ ელფერს მატებდა მათ სიფერადეს. შროშნები ჭარბობდა, რადგან კეთილსურნელოვან ედელვაისებს მთებში კრეფდნენ და მოლიპული გზებით ჩამოჰქონდათ. და რამდენადაც ძნელი იყო მოსაპოვებლად, იმდენად მეტად ფასობდა მისი სილამაზე. ყვაეილების სიფაქიზის მიუხედავად, დიასახლისი უჟმური ქალი აღმოჩნდა.

-გაიცანით, ჩემი ცოლია, ვალენტინა, ეს კი ჩვენი მდგმური იქნება - ვალენტი! - თქვა მამასახლისმა.

-ჩემ ქმარს ჯერ ამ სახლში ნორმალური არავინ მოუყვანია, სად გპოულობთ ნეტავ? - მკვახედ განაცხადა ქალმა, მაგრამ ვალენტის სადღაც ესიამოვნა კიდეც, ექვმიტანილებში მარტო რომ არ დასახელდა და დანარჩენი მდგმურების გაცნობის სურვილი აღეძრა.

-ან ეგ ჩემოდანი საიდანღა მოათრიეთ? - განაგრძობდა ქალი - ისეთი ჭყეტელა ფერისაა, პირველი მსოფლიო ომის დროს დაბომბვებში მოყოლილი ექსპონატი გეგონება... ცოლი მაინც არა გყავთ, მარტო რომ გვესტუმრეთ, გირჩევდათ რამეს.

-არა, არა მყავს!

-ქვრივი ხართ?

-არა! არც მყოლია!

-მაშ კისერს ვინ გპარსავთ?

-დალაქი! - საიდუმლოდ ამოღერღა ვალენტიმ და მხრები აიჩეჩა. აყოლა არ ღირდა ნერვების მოშლად. თან სახლის მეპატრონემაც ანიშნა, ყურადღებას ნუ მიაქცევო. ოთახის დათვალიერებით ისეთი კმაყოფილება გამოხატა, ვაჭარი რომ ამაყობს შენაძენით. ბინას ყველა საჭირო ატრიბუტი გააჩნდა - კარადა, ლოგინი, მაგიდა, ორიოდე სკამი და ფართო ფანჯარა, ვერაფერს დაუწუნებდი. მხოლოდ ოთხი დღით მინდა, თქვა ვალენტიმ და ბინის ქირა წინასწარ გადაუხადა. მერე ერთხანს ტანსაცმელს კარადაში აწყობდა, ხოლო თავი მარტო რომ დაიგულა, ფული შუაზე გაყო, ნახევარი თანხა ჩემოდანში ჩამალა და ლოგინის ქვეშ ღრმად შეჩურთა. თან ბუტბუტებდა, ათასი ჯიბგირი დადის, ფრთხილად უნდა ვიყოო. ტანსაცმელი ამინდის მიხედვით განაცალკევა. ბინის მფლობელი იმედოვნებდა, დილით გამოიდარებსო, მაგრამ ისევ მოღრუბლულად გათენდა და დიასახლისიც მხნე დოინჯით ზღურბლთან გამოეჯგიმა.

-ბედი გქონიათ! მაგ ოთახს იშვიათად ვაქირავებთ, მაგრამ შეგვატყობინეს, რომ წელს შვილიშვილი ვერ ჩამოჰყავთ! - მიახალა როყიოდ და მკაცრად გააცნო მოძრაობის ინსტრუქცია:

-სახლში ზღვის ფლოსტებით ნუ ივლით, სანაპიროს ქვიშა რომ არ შემოზიდოთ! ხელებს ნიჩბებივით ნუ იქნევთ სიარულისას, ეს ვაზა ჩინური ფაიფურისაა, რომ გამოედოთ, სახლის გაყიდვა მოგინევთ, თუ გაგაჩნიათ საერთოდ!

-გამაჩნია! წამოსვლის წინ გავარემონტე სხვ-რედ! - მაკლერის შემართებით გააპროტესტა ვალენტიმ, მაგრამ ვალენტინა ყურს არ უგდებდა და თავისას მიერეკებოდა - ხელები რომ უძრავად გქონდეთ და ისე იაროთ, არა? რა უცნაური მანერა გაქვთ, სად დაეჩვიეთ? ეტყობა, თავიდანვე არასწორად დაგაყენეს ფეხზე! ან ეს რა სამართალია, შენც ვალენტი გერქვას და მეც ვალენტინა?

ასე ჩაიარა დილამ.

-წვიმების გამო ამინდს გვიწუნებთ?! - მიედავა მორიგი გადაწყდომისას.

-საიდან მოიტანეთ? - აღმოხდა ვალენტის.

-რა ვიცი, სახე კი ჩამოგტირით! - ფამფამა მხრები აიჩეჩა ქალმა - ზღვის ტალღები იოდს გამოყოფს, ნაპირის გასწვრივ გევლოთ და ღრმად გესუნთქათ ამდენ ლაპარაკს!

ვალენტის ხმა არ გაუღია, მხოლოდ მშვიდობიანი ინტერესით ჰკითხა შემრიგებლური ტონით - დასათვალიერებლად რაიმე ღირშესანიშნაობა ხომ არ გაქვთო დასახლებაში, რამაც დიასახლისის მორიგი აღშფოთება გამოიწვია:

-ძალიან გთხოვთ, თქვენს ბრიყვულ აზრებს თავზე ნუ მოგვახვევთ, თქვენამდეც მშვენივრად ვცხოვრობდით და არც თქვენს მერე გაგვიჭირდება! თქვენი მდგმურობა ჩვენ მდგომარეობას მნიშვნელოვანს არაფერს მატებს! ღირშესანიშნაობის მეტი კი რა გვაქვს, ყოველი ჩვენთაგანი ღირშესანიშნავია, მინდა გითხრათ!

შეკამათება მამასახლისმაც გაიგონა. როგორ უძლებდა ეს თვინიერი კაცი თავის კაპას ცოლს, თითქოს გვერდიგვერდ ეცხოვროს ომსა და მშვიდობას. კიდევ კარგი, ცოლი არ მოვიყვანე, გაიფიქრა ვალენტიმ, არიან ადამიანები, რომელთანაც არაფერი გინდა გქონდეს საერთო, მაგრამ ყოველდღიურობა გაიძულებს იურთიერთო.

-ნუ მიაქცევთ ყურადღებას! - დაამშვიდა მამასახლისმა - ზღვის მარილიანი ანაორთქლი მასზე დამთრგუნველად მოქმედებს!

-ეს ანაორთქლი ზაფხულობითაა? - დაინტერესდა ვალენტი.

-მუდმივად, თორმეტივე თვეს წელიწადში!

იმ ოთხი დღის განმავლობაში, სანამ იქ იყო, მამასახლისს ასჯერ მაინც მოუწია ამ სიტყვების გამეორება, ყურადღებას ნუ მიაქცევთო და ასჯერვე სულელური ღიმილით განუმარტავდა, გჯეროდეთ, კეთილი გული აქვსო. ავი ხასიათის მიუხედავად, მოსწონდა ვალენტინა, მისი დანახვისას აღტაცებას ვერ მალავდა, ბრჭყვიალა ქაღალდში შეფუთულ უტკბეს კანფეტად აღიქვამდა.

-იქით მხარეს რა არის? - თემა გადაიტანა ვალენტიმ, რომელიც ყველაზე მეტად კამათს ერიდებოდა.

-ძირითადად ჭაობი!

-რამხელა ადგილი იკარგება უქმად!

-ძველები ამბობდნენ, მაქეთ მოჩვენებები სახლობენო, დარაბების ჭრიალიც კი გულს მიხეთქავდა!

-რატომ, აქაც არიან მოჩვენებები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

-არა, რას ამბობთ, ჩემმა ცოლმა ლამის მდგმურებიც გააქციოს და მოჩვენებებს გააჩერებს?! - ალმოხდა მამასახლისს - თქვენ რას საქმიანობთ?

-კვლევებს ვწერ! - თქვა მოჩვენებების საკითხით დამშვიდებულმა ვალენტიმ.

-ალბათ წიგნებიც გექნებათ გამოცემული!

-მაქვს!

-როგორი წიგნებია?

-მაგარყდიანი... გავიგე წელს შვილიშვილი ვერ ჩამოჰყავთო! - თემა კვლავ გადაიტანა ვალენტიმ.

-ჰო; ვერ ჩამოჰყავთ! გადაყვნენ მის აღზრდას, თან ფორტეპიანოს კურსებზე დაჰყავთ, ფაქიზი სმენა განუვითარდესო, თან ცეკვებზე დაატარებენ - აღმოსავლურ, დასავლურ, ევროპულ, ადგილობრივ და კიდევ ვინ მოსთვლის. ერთხელ მის კონცერტსაც დავესწარი, ფადიშაჰების ხანა გეგონებოდა, გოგონები მაქმანებში იყვნენ გამოწყობილნი, თითქოს მფრინავ ხალიჩებს მოჰყვნენო. სცენაზე ცეცხლის წვიმები ცვიოდა. ნიჭიერი თაობა მოდის, განსაკუთრებით ჩემი შვილიშვილი - განაგრძო მიკერძოებით - ერთხელ ასე იკითხა, ზანგები ღამით დაიბადნენ და ჩვენ კი დღისითო? ერთი სიტყვით ძალიან დაკვირვებულია!

-ნყნარი ბავშვი იქნება!

-პირიქით, საშინლად ცელქია!

წინამდებარე სახლის აივანზე მოხუცები ისხდნენ, ზღვიდან მონაბერ ნიავს სახეს უშვერდნენ და უშველებელ სივრცეს შეჩერებოდნენ. პრიალა მოაჯირები ლამპიონის შუქზე ირეკლებოდა. პეიზაჟებმა რუხ ბინდბუნდში გადაინაცვლეს. მნათობები ჭაობის თავზე აენთნენ, ალბათ მოჩვენებებისთვის, იმათაც რომ ეჯერათ გული. ხეების იქით შორეული პლანეტები ციმციმებდნენ, თითქოს დედამიწელებს ატყობინებდნენ, აქ უკეთესი ამინდები გვიდგასო. სახლები ძირითადად ორსართულიანი იყო და ისეთი მჭიდრო განლაგება ჰქონდათ, გეგონებოდა, ერთმანეთს ეყუდებიანო. მათ შორის არსებული ვიწრო სივრცეები კაფეებით ამოევსოთ, ხედ ქვაფენილზე განლაგებული მაგიდებით და მაღალსაზურგიანი სკამებით, ხოლო თავზე ვეება სტაფილოსფერი ქოლგები კაპიუშონებივით ჰქონდათ გადმომხობილი, თეთრად შეფერადებული კოპლებით. მკაფიოდ ისმოდა, კაფეტერიის მენეჯერი მზარეულს როგორ უჯავრდებოდა:

-აწითლებული სახე რატომ გაქვს, გეძინა?

-რას ამბობთ, სადაც საჭმელია, იქ რა დამაძინებს, გავცივდი!

-იმიტომაც გაცივდი, რომ ფეხშიშველს გეძინა! - თავისას არ იშლიდა მენეჯერი.

მერე მთავარი მომმარაგებელი გამოლანძღა, წარილი იმისთვისაა, რომ უნდა გაიხსნას, ქვამარილი ხომ არ ჩამოფხიკე ნაჯახით? ეს შენ უპასუხისმგებლობაზე მეტყველებსო. ის კი პასუხად ბურტყუნებდა, თემას ცვლიდა, რაღაცეების განთავსებისთვის დამატებით ადგილს მოითხოვდა, მომავალში ფართი დაგვჭირდებაო. მენეჯერი სასტიკ უარზე იყო, რის მომაავალი, ჩვენ აწმყოსათვის ვზრუნავთ, ზედმეტია ყოველი საგანი, რომელსაც არ ვიყენებთო. ირგვლივ მართლაც ბევრი გამოუსადეგარი ნივთი ეყარა.

აივნის მეორე მხარეს, ძველი შენობის მომიჯნავედ, ინვალიდ ბავშვთა პანსიონატი მოჩანდა. იქით გახედვაც კი სინანულის მომგვრელი იყო. შორს, სივრცეში, პატარა ხმაურს დიდი ხმაური ახშობდა, მერე მინყდებოდა და სიჩუმე ისადგურებდა, თუმცა არც ის გასტანდა დიდხანს. ღამით ხრიგინით ჩაივლიდნენ ძველდაბის შორიახლოს უგრძესი სავაჭრო ეშელონები.

## 2.

შვებულების ამბავი დიდხანს გაეწელა ვალენტის, მანამ კი უმუშევრობამ გასტანა ასევე დიდხანს. დროს გაწელვა სჩვევია, ადამიანებს კი მოუთმენლობა. ხშირად ადგილს, რომელსაც სთავაზობდნენ, ვინმეს ჩანაცვლებას გულისხმობდა, ეს კი არ უნდოდა. ადრე, აკადემიაში როცა მუშაობდა, უმნიშვნელო ლექციების კურსს ატარებდა, კვირაში ხუთ საათს. დასწრება თითქმის ნულოვანი ჰქონდა, სასოებით თუ შემოეხეტებოდა სესიებით გადაღლილი რომელიმე საშუალო მოსწრების სტუდენტი დასაძინებლად, ლექცია იქნებ ხმადაბლა წაგვეკითხათო, მუდარით აღსავსე მზერით. არადა ვალენტის მშრალი მიმოხილვით ფონს გასვლა არ უყვარდა, დეტალებს და წვრილმანებს ზედმიწევნით განიხილავდა, როგორც თავის საგანზე ფანატიკურად შეყვარებულ ლექტორს შეჰფერის. აკადემიის შენობა ვეება სკას ჰგავდა, ხოლო შიდაakadემიური ფუსფუსი ფუტკრების ბზუილს, თითქოს თაფლის ზოდებს აგროვებდნენ. ხუთი საათი კვირაში დაცინვა იყო. მეტი ერგებოდა, რაც მოსვენებას უკარგავდა და პარალელურად სამუშაოს ძებნას აიძულებდა, მაგრამ ძლიერნი ამა სოფლისანი ადამიანების დაცინვას განაგრძობდნენ, რომ ყველასთვის ეჩვენებინათ, ეს ქვეყანა დაცინვის ობიექტებს კი არ ეკუთვნის, არამედ იმათ, ვინც დასცინისო. დამცინავთა რიგებს დანარჩენები ისე ერიდებოდნენ, როგორც ეშმაკთა საბუდარს, მოჩვენებითი ქცევების გამომუშავებით რომ ცდილობენ, უბრალო კაცი ათას დავიდარაბას გადაჰყარონ.

ვალენტი გასაუბრებაზე რამდენჯერმე დაიბარეს. ერთგან მისი მონაცემებით კმაყოფილება გამოთქვეს, დერეფანში დაალოდინეს პასუხისთვის. კედლებზე გამოფენილი რეპროდუქციები, მოოქრული ჩარჩოებით, ძირითადად ზღვის თემებით იყო გამსჭვალული და ისეთი განცდა გეუფლებოდა, თითქოს ღელვის მერე ნაპირზე გამოირიყე. რეპროდუქციებს დიდი საფასური არ გააჩნდა, მაგრამ განწყობას კი საუცხოოს ქმნიდა. ველური სილამაზით აღბეჭდილი პეიზაჟები თვალს გტაცებდა. დერეფანი უგრძესი იყო. თითო სართულზე სამი განყოფილება განეთავსებინათ, რომელთაც, შესაბამისად, სამი საპირფარეშო ჰქონდა. თითოეულს თავისი დამლაგებელი ჰყავდა, გრძელი ჯაგრისებით ჯადოქრებს რომ ჰგავდნენ და სხვა განყოფილების თანამშრომლებს მათი დაქვემდებარება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ტუალეტებში არ უშვებდნენ, იმუქრებოდნენ, ბოქლომით დავკეტავთო. ხშირად საქმე გაწევამდეც მიდიოდა. შენობას პირველად ვინც სტუმრობდა, ეს დამლაგებლები გაფიცულები ეგონათ, პროტესტის ამ ფორმით გამომხატავენი, და შიშისგან ხმას არ იღებდნენ. ოღონდაც შარში არ გავებათო და, ყველაფერს დაითმენდნენ გატანჯულ სახეებით. გარეთ კი, დღის სინათლეზე, მტვერი ისე ციმციმებდა, თითქოს უნდა შეგემტერია, შიგნით რომ აღმოჩენილიყავი. მთავარი გამსაუბრებელი დიდი მიზნებით გამსჭვალული კაცი აღმოჩნდა. ექიმად რომ ემუშავა, მიმართულების სისწორეში დასარწმუნელად, ალბათ საკუთარ ტყავზე ჩაიტარებდა საცდელ ექსპერიმენტებს, მაგრამ სავალალოდ, ვალენტიმ საშინელი ცემინება იცოდა, ექვს-შვიდჯერ ზედიზედ. ჰოდა, მოსაცდელში ცემინება აუტყდა და შეშინებული თანამშრომლები დერეფანში გამოცვივდნენ.

-რა ხმა იყო? - იკითხა გარეთ გამოვარდნილმა პასუხისმგებელმა პირმა.(პ.პ.)

-ვაკანსიაზე მოსულმა დააცემინა! - აუხსნეს ერთსულოვნად, ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

-მეგონა ჭერი ჩამოინგრა! - თქვა პ.პ-მ. - მაგას ვერ მივიღებთ!

-მონაცემები დამაკმაყოფილებელი აქვს! - უგულოდ გამოესარჩლნენ.

-შენობა ისედაც ავარიულია, კატეგორიულად ვერ მივიღებთ! - გაჯიუტდა პ.პ.

შინ რომ დაბრუნდა, ვალენტი დიდხანს მისჩერებოდა სარკეში საკუთარ ცხვირს საყვედურით აღსავსე მზერით. ამ მიზეზით სამუშაოს დაკარგვა გაგონილა? ცხოვრება უგრძესი ჩიხია, სადაც კაცმა არ იცის, რა გამოუხტება, მაგრამ იმ მიზეზით, რომ გზას მაინც ვაგრძელებთ, გვგონია, რომ სადღაც გაგვიყვანს. რახან დავიბადე, რაიმე მნიშვნელოვანიც უნდა შევქმნა, დაბეჯითებით ამტკიცებდა ვალენტი. გულგატეხილობამ მხოლოდ მაშინ მოიცვა, როცა თავისი მსგავსი და ხელმოცარული სხვაც ბევრი აღმოაჩინა. უმეტესობა სასმელს მისძალებოდა, რომ განელებული ცეცხლ[...]წვა ნაკლებ მტკივნეულად განეცადათ. ყოველდღიურობა თვალუწვდენელ ტრამალებს ჰგავდა, ერთ დროს მჩქეფარე ნაკადულები მის მდელოებზე დაჭაობებულ ტბორებად რომ ქცეულიყო და ხმაურსაც ეკლო. არადა, მანამ ვალენტის ამ სამყაროში საკუთარი თავი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ეგონა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ უმისოდაც მშვენივრად თენდებ-ღამდებოდა, ცხოვრებაზე გული აიყარა. მარტო გამკლავება შეუძლებელია, ხოლო ვინც გამოგექომაგება, თავის გავლენაში მოგიქცევს.

ახლობლებმა სამსახურის თემაზე ორი ნაცნობი გაუხერხეს. ერთმა რაღაც მიზეზები მიკიბ-მოკიბა, საპენსიო ცნობა მოსთხოვა, აქაოდა, ბებერი ჩანხარო. რა ცნობასა მთხოვ? აღშფოთდა ვალენტი, პენსია რომ მქონოდა, განა სამუშაოს ძებნას დავიწყებდი?

-მეორესთან სცადე! - დაიჟინეს ახლობლებმა.

ნეხვის გროვას საიდანაც გინდა მიადექი, რა მნიშვნელობა ექნება ამას? ვალენტის საბუთების შეგროვებამ ისედაც ქანცი გაუწყვიტა, მაგრამ ხათრით მეორესთანაც გამოცხადდა. განცხადება თავისი სიტყვებით დაწერა, ბლანკის სტანდარტული ტექსტით არ უსარგებლია. ფურცელზე პოეტური ეპითეტებით გამსჭვალული ბარბაცა წინადადებები მძიმე ეშელონებივით ჩაალაგა, არსებით სახელებს ეპოლეტები უბრჭყვიალებდა, ხოლო ზმნები ისეთი გმირული და პათეტიკური ელფერით შემოსა, თითქოს ბრძოლის ველზე დაჭრილი მეომრები ეს-ესაა ჰოსპიტლიდან გამოწერესო. განცხადების მოტივაცია მოეწონათ და ვალენტი სამსახურში მიიღეს. იგი არქივში გაანაწილეს, სადაც ხელფასი ორნახევარჯერ მეტი ექნებოდა ლექტორობასთან შედარებით, მაგრამ უფროსების შემყურე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებდა. ამიტომაც მორჩილი ხასიათი ჩამოუყალიბდა. არადა,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიკები ხომ უგზოუკვლობამ გაკვალა, ჰოდა, აჯობებდა, თავიდანვე თავისი გზა და სავალი ენახა, დავიდარაბის ატეხვად ღირდა.

როდის-როდის შვებულებასაც შეჰპირდნენ, თუმცა ამისთვის მივლინებით უნდა წასულიყო ცენტრალური არქივის რომელიმე ფილიალში. იქნებ ჩემ მაგივრად შენ წასულიყავი, სთხოვა ლავრენტიმ, არქივის მუდმივმა წევრმა, რომელიც მივლინებით ხურმეთში გაენაწილებინათ. საგზური მაქვს, განაგრძობდა ხვეწნას, ცოლ-შვილი მინდა დავასვენო და მეც მათთან ერთადო. ვალენტი დათანხმდა, მაგრამ შემდგომ ლავრენტის ზედაც აღარ შეუხედავს. ეტყობა, იმ ფაქტმა, რომ ვალენტის დახმარება დასჭირდა, მის თავმოყვარეობაზე ცუდად იმოქმედა. დირექციის რეაქცია, როცა მოახსენეს, მივლინებით ვალენტი წავაო, ამგვარი იყო:

-ლავრენტი წავა თუ ვალენტი, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ვინმე მივავლინოთ!

ეს ნათქვამი ანდაზად იქცა - მაგალითად, თუ იკითხავდნენ, სამკითხველოს კატალოგით ისარგებლებთ თუ ბიბლიოთეკისო, ასე პასუხობდნენ, რა მნიშვნელობა აქვს, მივლინებით ლავრენტი წავა თუ ვალენტიო. ხურმეთის შესახებ ბევრი არაფერი სმენოდა, გარდა იმისა, რომ შორს მდებარეობდა და საკუთარი ინიციატივით იქ წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს. ვალენტი უმნიშვნელო და წვრილმან საკითხებსაც პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და სანამ საქმეს არ გაასრულებდა, გული ამოვარდნას ჰქონდა, ამიტომაც მივლინებაში ერთგვარი სიხარულითაც კი გაემგზავრა. რა უნდა დამართნოდა, ბედზე რომ დაეჩივლა. წასვლის წინ ფინანსურ განყოფილებაში გამოცხადდა, სადაც მკაცრად ახედ-ჩახედეს, ეტყობა, დიდად არ მოუვიდათ თვალში. მაგრამ ვალენტი ასეთ დამოკიდებულებას შეჩვეული იყო, მხოლოდ თავისას ითხოვდა, მივლინების ფულს და სამგზავრო ბილეთს, საშემოსავლოს დაუკავებდნენ თუ არა, ამის გაანალიზების თავი სად ჰქონდა. როგორც იქნა ყველაფერი მოგვარდა.

ხურმეთის არქივის წარმომადგენელი სულაც ეზოში დახვდა, საცხოვრებელი სახლი არქივის გვერდით ჰქონია, სამეურნეო მიზნით არქივის ტერიტორიას იყენებდა და ახლაც სამკუთხა ჭურჭლით ნარგავებს რწყავდა. იმ დღის საქმიანობა ამით ამოიწურა, რადგან ვალენტის ყავით გამასპინძლება შესთავაზა. გული კი წყდებოდა, მორწყვა რომ მისი მიზეზით შეწყვიტა.

-ნახირი და ნახშირი! აი მთელი ჩემი დავიდარაბა! - წარმოთქვა მან და თავი იქითკენ გადაიქნია, სადაც ნახშირის გორებთან ორიოდე ძროხა გამომშრალ ბალახს ძოვდა.

-ეტყობა, თქვენ მხარეში ბევრი ხურმა ხარობს? - თქვა ვალენტიმ.

-ხურმა? საერთოდ არ ხარობს! დასახლებაში ვაჭრებს ჩამოჰქონდათ და როგორც არქივის წყაროები იუწყებიან, საკმაოდ ბლომად ეყიდებოდათ, ეს სახელიც იმათ გვინოდეს!

-რა უცნაურია, გინოდონ ის, რის ნაკლებობასაც განიცდი! - თქვა ვალენტიმ. - ეს იგივეა, მთელი ცხოვრება სერიოზულობაში გაატარო, მეტსახელად კი ხუმარა შეგარქვან, რადგან ამგვარ ეპოქაში სერიოზულობა მიიჩნიონ სწორედ უმაღლეს ხუმრობად!

-ხუმარა... ხურმა... რა მნიშვნელობა აქვს ამას! - ხელი ჩაიქნია არქივის წარმომადგენელმა.

ხურმეთი საკმაოდ მოზრდილი დაბა აღმოჩნდა, დაფხავებული სახლების უგრძესი მწკრივით. სახლების მაგივრად ასოები რომ ყოფილიყო, მთელი ტექსტი ნაჯღაბნს დაემსგავსებოდა. ზოგიერთ ქუჩაზე მხოლოდ ატელიები იყო განლაგებული, ზოგიერთზე - მხოლოდ საპარიკმახეროები და ა.შ. ქუჩებსაც ამის მიხედვით ერქვა სახელები. ცენტრალურ პროსპექტზე ტრამვაის ხაზი ეგო. სამუშაოს დამთავრებისას ქუჩაში გამოცვენილი ხალხი ძირითადად ამით მგზავრობდა. ტრამვაი ზიგზაგისებურად მოძრაობდა, მხეფებად მიამტვრევდა წვიმას ხრჭიალა ბორბლებით, ხოლო მოსახვევებში, რომელიც წამდაუწუმ გამოჩნდებოდა ხოლმე, ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა. ვატმანი ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს რომელიღაც მივიწყებულ მელოდიას ღიღინებსო.

არქივის კუთვნილი ერთადერთი მოსასვენებელი ოთახი ფერდობზე აეგოთ. ეტყობა, თავიდან რაღაც ორიგინალური ჩაიფიქრეს, მაგრამ გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანეს და ხელი ჩაიქნიეს. შენობას ყველაფერი დამრეცი და დაგრეხილი ჰქონდა. ვალენტი სკამიდან ცურდებოდა დაქანების გამო და იძულებული იყო, თავი ფეხებით შეემაგრებინა. წერის დროს იატაკს ებჯინებოდა ქუსლებით, პრეისტორიული კალამი კი თითებიდან უსხლტებოდა, თითქოს ზეთით გაპოხესო. საწოლი აქეთ-იქიდან ისეთი დაფერდებული იყო, როგორმე მაინც რომ ჩაგძინებოდა, დილით უთუოდ იატაკზე გაგეღვიძებოდა ლეიბთან ერთად. შენობას შედარებით ბრტყელი იატაკი ჰქონდა, რომელსაც აქა-იქ პარკეტი ამოჩროდა, რათა დაქანების გამო ესა თუ ის მომწყდარი საგანი შეეჩერებინა, კედელს რომ არ მიხეთქებოდა.

ვალენტიმ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შედგენა გადაწყვიტა, რათა საკითხები სისტემაში მოეყვანა, მაგრამ არქივის წარმომადგენელი ნერვიული ტიპი გახლდათ. ამას ბევრი დრო დასჭირდებაო, დაიჩემა. ვალენტის სტუმრობა ისედაც რეჟიმში ყოფნას აიძულებდა და ერჩივნა მისგან მალე დაეღწია თავი. წამლების ყუთი, წნევის აპარატი, რენტგენის სურათის ასლი და თერმომეტრი, მოკლედ მთელი ალჭურვილობა, მუდამ თან დაჰქონდა, ხოლო როცა შინ იყო, ერთთავად სამედიცინო ენციკლოპედიებში იქექებოდა. დაავადებათა მთელი ნუსხა გადაეკითხა, სიმპტომურ ნიშნებშიც ჩინებულად ერკვეოდა და დიაგნოზიც მედიცინის ბაკალავრის დონეზე შეეძლო დაედგინა. ეგ არის, პაპიროსს თავს ვერ ანებებდა და აივანზე გასული ზედ ქათქათა თეთრეულზე აფერფლებდა. თან უმიზნოდ მოყიალე გამვლელების თვალიერებით იყო დაკავებული და თავის გონებაში დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგნოზს უსვამდა. ზოგიერთ მათგანს დღეში რამდენჯერმე ჩაუვლია არქივის წინ და უკვე იმდენად ნაცნობი იყო, ლამის არის მისალმებოდა. გარეგნობაც უცნაური ჰქონდა - ცხვირი და ნამწამები აპრეხილი, შუბლი და საფეთქლები კი ფრიალო კლდესავით დაქანებული. მაშინვე მიხვდებოდი, ამ მხარის აბორიგენი რომ იყო. ხელნაწერებში ისე იქექებოდა, როგორც ოქროს მაძიებელი მდინარის შლამში და თუ რაიმე ახალ ინფორმაციას წააწყდებოდა, სიხარულს ვერ მალავდა, მაგრამ ვალენტის ისე მოაჩვენებდა, თითქოს ახლახან კი არ მიეგნოს, დაბადებიდან სცოდნოდა ამის შესახებ. ცოტა ხანს როგორმე გავუძლებო, სიმხნევე მოიკრიბა ვალენტიმ. სამაგიეროდ ხომ შვებულება ელოდა, სიმშვიდე დაღლილობით უნდა გამოიმუშავო. სამსახურის საათებში ერთთავად საქმეებში იყო ჩაფლული იმგვარი შემართებით, თერძი რომ ძაფის გამონასკვას ცდილობს. საკითხისადმი მიდგომას და ჯადოსნურ ხელწერას, რაც სხვებისგან განასხვავებდა, თითქოს სხვა განზომილებაში გადაჰყავდა.

-ერთ დღეში ვერაფერს მოასწრებ! - მრავალმნიშვნელოვნად გამოუტყდა მასპინძელი ვალენტის, თითქოს ცხოვრების მთავარ გამოცდილებას უზიარებსო.

-ჰო, ორი დღე მაინც უნდა! - დაუდასტურა ვალენტიმ, რაც მან დაცივნვად მიიჩნია, მაგრამ მკვახე პასუხისგან თავი შეიკავა. ვალენტიმ სრული ორი კვირა მოანდომა ნაშრომის დაწერას, რომელიც ბრწყინვალე გამოუვიდა, ამის გამო ხურმეთიდან დაბრუნებული დიდად არ შეუქიათ, ნანატრი შვებულება კი აღირსეს. ძირითადი დრო ყოფითი პრობლემების მოგვარებას მოახმარა, დაქირავებულ ხელოსანს ოთახის კედლები თეთრად გადაალებინა. შემანუხებელ მწერებს ბუზსაკლავით ზედვე ასრესდა ხოლმე და შავი წერტილებით ისე იყო დასვრილი, სტუმრის მიღების ერიდებოდა. პლინტუსები თვითონვე გააპრიალა, იატაკი საპნიანი წყლით მორეცხა და კარი გამოიხურა. წინასწარ უხაროდა, აგარაკიდან ჩამოსულს სუფთა სახლი რომ დახვდებოდა. მას შვებულების ოთხი დღეღა რჩებოდა, როდესაც ძველდაბას მიაშურა და, როგორც აღვნიშნეთ, ამინდიც ვერ დახვდა ხეირიანი. ამიტომაც შეშმუშნული და საყელოაქაჩული გადიოდა გარეთ. იქნებ ჯობდა სხვაგან წასულიყო, მაგრამ ცხოვრება არასოდეს იქნებოდა ისეთი, როგორსაც გონებაში წარმოიდგენდა და არც შვებულება ნიშნავდა სამუდამოდ თავის დაღწევას. ეს დროებით სულის მოთქმას ჰგავდა, სიჩუმეში განმარტოებას.

-იწვიმებს! - ჩაიჩიფჩიფა ვალენტიმ და საწვიმარს გადასწვდა. პირველივე დღეს გული იჯერა ქუჩებში სიარულით. ერთხანს ქოლგის ქვეშ შეყუჟულ სასიამოვნო წყვილს აედევნა, რუხ პიჯაკში გამოწყობილ, ლამაზი ცოლით გაამაყებულ კაცს შოლტივით ქალი მოჰყვებოდა, ცირკის ცხენივით აღკაზმული. ახალგაზრდები ბორცვებზე ლაღად სეირნობდნენ, ბებრები ეაკე ადგილებს ეტანებოდნენ ქოშინით, ვალენტის კი მეეზოვესთან გაება ბაასი.

-ერთი ძველი ტელევიზორი მაქვს, ჩართვისას კარგა ხანს ციმციმებს, სანამ ეკრანი გამოჩნდება, და გამორთვისასაც კარგა ხანს ციმციმებს, სანამ ეკრანი გაქრება. ეს ციმციმი დამჩემდა თვალწინ. დაბალი წნევა გექნებაო, ექიმებმა დაიჟინეს, არადა, ვიცი, ეკრანის ნათურის ბრალია! - ენად გაიკრიფა მეეზოვე.

-როდის იყიდე?

-კარგა ხნის წინ!

-შეცვლას არ აპირებ?

-რატომ? კარგა ხანს გამიძლებს კიდევ, უფრო ცოცხის საკითხი მაფიქრებს!

-ცოცხს რაღა ჭირს?

-წვიმაში ფუჭდება!

-შენც ახალი მოატანინე!

-კრიზისი აქვთ, ცოცხებს ზოოპარკის ბეჰემოთს აჭმევენ, რადგან იქაც კრიზისი ჰქონიათ!

-ეგ ვინ გითხრა, ვერ უნდა იყოს სრულ ჭკუაზე!

-მეც ეგრე მგონია, ცოცხი როგორ უნდა შეჭამოს ბეჰემოტმა? - მხრები აიჩეჩა მეეზოვემ, ვალენტის კი ახალი საკაცობრიო საფიქრალი გამოუჩნდა - ბეჰემოტის კვება. მან მარილის მთებში ჩაპირქვავებულ ღრუბლებს ნაღვლიანად გახედა, ასეთი ხასიათი ჰქონდა, როცა სიხარული ეუფლებოდა, მყისვე წუხილი იპყრობდა. აღფრთოვანებით არასოდეს ფურცლავდა ხოლმე ჟურნალებს ფერად ილუსტრაციებით, რადგან მალევე ბეზრდებოდა. ირგვლივ იმდენი რამ ხდებოდა, რა საჭირო იყო ახალი ამბების შეთითხვნა. კითხვაზე ამომწურავ პასუხს რომ გაიგებდა, მყისვე ახალი კითხვა უჩნდებოდა.

მომდევნო დილას ვალენტი სანაპიროს დაუყვა და მდინარეს მიადგა, რომელიც უკიდეგანო ზღვისთვის ხმელეთისგან მირთმეულ ძღვენის ხელში შეჩეჩებას ჰგავდა. ვალენტი გატრიალდა, ახლა მეორე მხარეს დავათვალიერებო. კარგა ხნის სიარულის შემდეგ იქაც მდინარეს მიადგა, რომელიც სისხლის გადასხმის პროცესს მიამგვანა, ტალღები კი დაჭრილის ბორგვას. ვალენტი თითქოს კუნძულზე იყო. სანაპირო მობეზრდა და უკან ჭადრების ქუჩით გამობრუნდა. ერთ დაფხავებულ ქოხთან ქალი შენიშნა, ბინას რომ აქირავებდა. ქმარ-შვილი მეთევზეები ჰყოლია და სულ მოლოდინში იყო - შუადღისას მდგმურების, ღამე მებადურების. მწვანედ გალებილ ძელსკამებთან წითელი ქვიშა ეყარა და ფერადი ნათურები ენთო. იქაურობა ათასფრად ელვარებდა. შეჭრილი კონცხი სევდით გაჰყურებდა უკიდეგანო წყალს, რადგან გვერდით თავისიანები არ ეგულებოდა, უკან გამოხედვა კი არ სჩვეოდა. იქნებ ჯობდა, ბინა აქეთ ამეღო, გაიფიქრა ვალენტიმ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა. სიხარულის შეგრძნება დაკარგული ჰქონდა. მისი გული მდიდრული დარბაზის ჩამქრალ ჭაღს დამსგავსებოდა, ინტერიერის ბრწყინვალება წყვდიადს რომ დაენთქა. გახსენებებს სევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰქონდა. ახლაღა მიუხვდა მოხუცებულ მამას, საბაზანოს კარებს რატომ არ კეტავდა შხაპის მიღებისას. შიშობდა, რამე არ მოსვლოდა და ოჯახის წევრებს შემტვრევა არ დასჭირვებოდათ. მამის დასაფლავების დღეს მხოლოდ ჩიტებსა და თვითმფრინავებს გაჰყურებდა ვალენტი. ქლალსა და მოღრუბლულ ცას უპასუხო ალერსით დაღლილი იერი აღბეჭდოდა. ალაპის სუფრა ეზოში გაშალა. ბაზრის მზიდავებს მძიმე კალოშები წამოეცვათ და ჩლახუნით მიაბიჯებდნენ, თითქოს უმადურობის გამო სათანადოდ დაისაჯნენო და წვრილმანები და ვაი-ვიში ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად ქცეოდათ. ვალენტი გულდამძიმებული ფიქრობდა განვლილ ამბებზე. მამის გარდაცვალების შემდეგ გულანთებულ ხალხს ველარსად აწყდებოდა, თითქოს სხვაგან გადასახლდნენო და ხელები, რომელთა მეშვეობითაც ოდესღაც მთების გადადგმას აპირებდა, სიცარიელეში გაეშვირა. იგი თვლიდა, რომ არასწორად იცხოვრა, ბევრი დრო გაფლანგა უქმად, მაგრამ აღარაფრის შეცვლა არ შეეძლო. დაუდევრობა ხასიათში ჰქონდა და თავს ვერაფერს უბერხებდა. გაახსენდა, მამა რომ არიგებდა, კარებს ღია ნუ ტოვებ და შუქს ანთებულსო. ნარჩენების გადაყრაც ავიწყდებოდა, რადგან წვრილმანად მიაჩნდა. ყველაზე მეტად მამამისი იმას განიცდიდა, ვალენტი ოჯახს რომ არ ქმნიდა. მას შემდეგ, რაც თავის მონოდებაზე უარი თქვა, გული აღარაფერზე მისდიოდა. არადა, რაც გააჩნდა, ყველაფერი წყალობა იყო, თავისად არც აღიქვამდა. მოთხოვნილებები ბევრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ ხვდებოდა უსიხარულობის მიზეზს. კინოფილმს თვალებდაჭყეტილი უყურებდა ხოლმე, რადგან ცდილობდა, ყოველ ეპიზოდში იმაზე მეტი ამოეკითხა, ვიდრე რეჟისორს ჰქონდა ჩაფიქრებული. მას ბევრი რამ არ მოსწონდა, მაგრამ ეუბნებოდნენ, კარგიაო, ეს შენ ვერ ერკვევიო. ალბათ ასეცაა, ფიქრობდა ვალენტი, შეუძლებელია, მე მართალი ვიყო, ამდენი ხალხი კი ცდებოდესო. მას ყველა ეპოქალურმა მოვლენამ გვერდი აუარა და საკანედ ჩრდილი დაუნესა, რაც რეალობის განცდას კიდევ უფრო უმძაფრებდა. ნუგეშად ისღა დარჩენოდა, რომ ყოველი ადამიანი თავისი თავისთვის ცენტრალური ფიგურაა და სულაც არ არის საჭირო, საზოგადოება განსაზღვრავდეს ასე. საქალალდეებში ქექვას ფიქრი უჯობდა, სხვა რომ არაფერი, დრო მაინც გაჰყავდა. თუმცა არც საქალალდეები აკლდა დიდად. ეცინებოდა, ქუჩის ბანერებზე რომელიღაც პარტიის რეკლამას რომ ნახავდა. ისტორიაზე თავისი წარმოდგენა ჰქონდა, სახელის მოხვეჭას ჯობს, კაცმა ცხოვრება უცნობად განვლოსო, რადგან ვინც ისტორიას შერჩა, ჩამოუკრეფავ ნაყოფს დაემსგავსა, რომელიც ტოტებზევე შეჭკნაო. როგორც კი მსოფლიო ამბები განვითარდა, ვალენტი სრულ გაუგებრობაში აღმოჩნდა. შფოთიანი ხალხია პოლიტიკოსები, ფიქრობდა იგი, სიმართლეს ვერ ქაჩავენ და ხალხს პათეტიკური მიმართვებით ნუსხავენ. მათი პატიოსნება იმაში მდგომარეობდა, რომ მხოლოდ იმ მიზეზით უნდოდათ მოსვლა მთავრობაში, მათზე უარესები რომ არ მოსულიყვნენ. ათასეული წლები ყალიბდებოდა საზოგადოება, რომელიც ყოველ მეამბოხეს სურდა შეეცვალა. განა ქვეყანა იმიტომ უნდა გადააქცეთ, უარესი რომ მიიღო? პროფესიონალები გაქრნენ, როგორც თავის დროზე სოციალისტებმა განდევნეს სპეციალისტები და რა გამოვიდა? ვალენტი ისეთ მთავრობას ელოდა, უყოყმანოდ რომ გასცემდა განკარგულებებს. ეროვნულობა ჯვრის ზიდვად მიაჩნდა და არა სამზარეულოს მენიუდ. თუმცა მჯილის ცემაც ეუხერხულებოდა იმ უსამველო ციცაბოებთან, რომელსაც მისი სამშობლო შედგომოდა. მოსწონდა ღამის ქალაქი, უზარმაზარი ფიგურების მუზეუმს რომ ჰგავდა, ცვილისგან გამოძერწილი გამვლელებით და მათი წაგრძელებული ჩრდილებით, შემოფლეთილი ბანერებითა და ლაპლაპა ბორდიურებით, რომლის გასწვრივაც ნაქცევი წყალი სანიაღვრე ჭებში ინრიტებოდა, მაგრამ ამდენი საკაცობრიო დარდისგან ვალენტის თავი ტკიოდა, თუმცა არც ეს აღელვებდა დიდად. ციტრამონი მეყსეულად შველოდა, რომელიც ცენტრალურ აფთიაქებში ყველაზე იაფფასიანი მედიკამენტი იყო. მზის ჩასვლას ზღურბლთან ხვდებოდა, მზე როგორც კი ჩავიდოდა, სახლის კარს შეაღებდა და ლოგინში შეწვებოდა, სხივები ჰორიზონტზე აბრეშუმის კაშკაშა ძაფებივით მცირე ხანს ისევ ეფინა ხოლმე და არც ვალენტი იძინებდა მეყსეულად. მას ადრევე აუცრუვდა გული ცხოვრებაზე, რომელსაც ისე განაგრძობდა, ცეცხლი რომ ჩაქრება და ნაკვერჩხლები ჯერ კიდევ ელავს.

## 3.

მთელი მომდევნო დღეები ქალაქის ქუჩებს კვეთდა. ცენტრალურ პროსპექტზე ისე დააბიჯებდა, როგორც წმინდად მცხოვრები ბერი საცდურებს შორის. საღამოს ზღვისკენ გაემართა და ნაპირზე დიდხანს იხეტიალა. წარმტაცი მხარეა, გაიფიქრა მან, ვერაფერს იტყვი. გალერეებში კეთილშობილი ხალხი დაიარება და მთელ დღეს ასეა, გაუთავებლად. ყველანი ზღვისკენ ისწრაფვიან, ბავშვები კი გარბიან, თუმცა ბანაობა ეკრძალებათ უამინდობის გამო. მიუხედავად წვიმისა, ცდილობდა გარეთ ყოფილიყო, ვიდრე დიასახლისის მკვახე საყვედურებისთვის ესმინა. ტროტუარებზე აღმოცენებულ კაფეებში ყავას უკვეთავდა და სველ ბორდიურებს დაჰყურებდა, ციმციმით რომ ირეკლავდნენ ლამპიონების ბრჭყვიალა შუქს. შვებულების მეოთხე დღეს რესტორნის სტუმრობა გადაწყვიტა. ჩამობურული ხეივანი ჩამობერებულ ბანოვანებს აგონებდა, ფოთლები - ურიცხვ მარაოებს. ვალენტი ზღურბლთან შედგა, რადგან თავისუფალი ადგილი ვერსად შენიშნა. მიმტანს ტუჩები აებზუა და ცხვირი აეპრიხა, ატუზული ვალენტი კი დგომას განაგრძობდა. შორიახლო ბანოვანებს მოჰკრა თვალი, სწორედ ისეთებს, მშვენიერ ხეებს რომ ამგვანებდა, მაგრამ ამას როგორ ეტყოდა გარდასული დროის ჩუქურთმებს, არქაულად რომ გამოთქვამდნენ უმნიშვნელო აზრსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, სიბერეს უკვე რომ შედგომოდნენ, მაგრამ ახალგაზრდობას ეპოტინებოდნენ და არავინ მიაჩნდათ თავის ტოლად და სწორად. ვალენტი რომ შენიშნეს, უბრალო ჩრდილად აღიქვეს ალბათ და დამცინავი მზერით გააბიაბრუეს:

-არის მასში რაღაც პირველქმნილი, ხმაც სტიქიების გადამფარავი და ჟღერადი ექნება, ზღვით თუ მოვიდოდა, ძველებური იალქნიანი ნავით, ნაპირთან დიდებული ეტლი ელოდა, და ახლაც, ალკაზმული რაშები რესტორნის შესასვლელთან ფრუტუნებენ! - თქვა ერთმა ვალენტის გასაგონად, რასაც დანარჩენთა ელეგანტური სიცილი მოჰყვა, სწორედ ისეთი სიცილი, უპირატესობის აღმნიშვნელი რომ იყო. ვალენტი კი ცივ კედელს უილაჯოდ მიყრდნობოდა და დიდხანს აღარ შორდებოდა, თითქოს რწმენის სიმხურვალეს განიცდისო. სინამდვილეში ყურყუტით დროს წელავდა, რადგან ვერ გადაეწყვიტა, დარჩენილიყო თუ წასულიყო, რასაც ბანოვანები უთუოდ უკანდახევად მიიჩნევდნენ. ვერაფერს გრძნობდა ისეთს, რაც გულს მოუფონებდა, თითქოს ცხოვრება საყრდენ კედელს უმალავდა, რადგან დარწმუნებული არ იყო, თუკი ვალენტი მას მიადგებოდა, ზედ აღბეჭდილი საიდუმლო ფრესკების გადაფხეკას არ შეუდგებოდა. სწორედ ამ დროს მანანწალა შენიშნა, კიბის საფეხურზე მჯდარი და უხერხულობა რომ გაეფანტა, გულითადად გამოელაპარაკა, სადმე ძველი ლუდხანა ხომ არ გეგულებაო, აქედან ცოტა მოშორებითაა, საუკეთესო ლუდი იხარშება, დღეში თითოოროლა კაცი თუ შედის, რაც მეპატრონეს ლუდხანის გაუქმებას გადააფიქრებინებს ხოლმეო, გაეპასუხა მანანწალა.

-ხალვათობა მირჩევნია! - დაიბუბუნა ძალამოკრეფილმა ვალენტიმ.

ლუდხანას რომ მიადგნენ, ძველი იატაკი ისე აჭრიალდა, გეგონებოდა ათასწლოვან სარკოფაგში მიცვალებული გაცოცხლდაო. სტუმრიანობის ხარისხზე ის ფაქტი მეტყველებდა, რომ თითოეული მაგიდის ზედაპირს შავ წერტილებად აჩნდა ნამწვავები, რამაც სახლის კედლები გაახსენა გარემონტებამდე. მერე მანანწალას გამოელაპარაკა. უყვარდა უცხო ადამიანებთან საუბარი, მაგრამ ზედმეტი გულახდილობაც სიყალბედ მიაჩნდა, იმ დღეს კი ძალიან გამოიდო თავი. მიმტანს ლუდი და მჟავეული მოატანინა, შემწვარი კარტოფილი და დაშაშხული ხორცი კი ბლომად შეუკვეთა. მანანწალა ლუდს ეძალებოდა, ძვლები გამჭოლმა ქარმა დაუზრო, ბუზღუნით კი თავს არავის გააბეზრებდა. მისი ცხოვრება ფონის ძებნას ჰგავდა, ხმაში ხვნეშა გარეოდა, თითქოს ხრეშიან გზას მიუყვებაო. ყოყმანიც ამიტომ დასჩემებოდა. ვალენტის კი მსმენელი ჭირდებოდა, უნდოდა თავისი ცხოვრება პოსტულატების სახით ჩამოეყალიბებინა, სიტყვების გამოგონება არ დასჭირდებოდა, ძველიც საკმარისი იქნებოდა. ფილოლოგი ხომ არ იყო, ახალი მიგნებებით გაემდიდრებინა ენა. უბრალოდ, მისთვის ძვირფას რაღაცეებს სურდა, შეხებოდა. ყველაფერს, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ყოველთვის მოგრძო ბლოკნოტში ინიშნავდა. გამოცდილებას, რომელიც წვეთ-წვეთ აგროვა, კაცობრიობის მონაპოვარად აღიქვამდა. საჭირო აზრები წითლად ჰქონდა გახაზული. იმ დღეს გადაწყვიტა, ჩამთვრალიყო და გული გადაეშალა მანანწალასთვის, რომელიც ეფოდ გაეცნო. რა უცნაური სახელია, გაიფიქრა ვალენტიმ და თხრობა წყვეტილ-წყვეტილ წამოიწყო, ფრაგმენტ-ფრაგმენტ...

-არ მინდა, ყველაფერი ცუდად იყოს, მე კი იყ[ო] წარმოვაჩენდე, თითქოს კარგად არის. ბავშვობაში ბოროტი მეზობლები მწყევლიდნენ. ვშიშობდი, რომელიმე ახდებოდა და ცხოვრების მხიარული გაგრძელება მიჭირდა, თვალები ლამფის მკრთალ შუქზე წიგნების კითხვამ ამომილამა. მხიარულებას ყოველთვის გავურბოდი, კაცი ზედმეტად რომ მხიარულობს, ასე მგონია, რაღაც მზაკვრობა აქვს ჩაფიქრებული და მის გადაფარვას ცდილობს. ჩემი ცხოვრება გრძელვადიანი პრობლემა იყო და თავს იმიტომ კი არ ვიცავდი, დიდი წარმოდგენა მქონოდა, სიმართლის მხარეზე ვიდექი!

მერე მანანწალას ანიშნა, მართლაც მშვენიერი ლუდია ჰქონიათო, მას კი ხმა არ გაუღია და ვალენტიმ მოყოლა განაგრძო:

-ქალიც მყვარებია, კამკამა და კრიალა თვალებით, მაგრამ ყველაზე ძნელად ხომ იმას ჰპოვებ, რაც ცხვირწინა გაქვს, სინამდვილეს კი სხვა სცენაზე გაჰყავხარ. როცა კაცი გულისსწორს კარგავს, ცხოვრებას თავისი ოცნებების სასაფლაოზე აგრძელებს. ვისაც ეს განუცდია, მიმიხვდება, რასაც ვგულისხმობ. მე კლდოვანი გული მაქვს, ა[ქ] ვინც ჩავარდა, სამუდამოდ დაივანა! - ვალენტი გაიჭიმა და უბადრუკი მუჭი ბრგე მკერდის ნაცვლად მოჩვარულ ნეკნზე მიიბრაგუნა, რის გამოც ყრუ და საწყალობელი ხმა ძლივს გაისმა - როცა დაკარგულ წლებს ვიხსენებ, გული ამომიჯდება ხოლმე. რა ჰაიჰარად მოვეპყარი ჩემ ცხოვრებას. გულში სიხარულის ნატამალსაც ველარ ვგრძნობ. ბავშვობა მინდვრებზე ნავარდს ჰგავს, ნიავთან თრობას, სიბერე ულრან ტყეში სიარულს, მოლიპულ ბილიკებზე ფორთხვას, გაუმდნარი თოვლი ქვად რომ ქცეულა, ყინულით დაფარული ხეშეში კუნძები კ[ი] ფეხებში გედება. მე ჭკვიანი ვარ, მაგრამ ამას არავის ვუზიარებ, დაე სულელის შთაბეჭდილება დავტოვო. დრო თიხის ასწლოვან დოქებს ამსხვრევს და, მით უმეტეს, რა მოუვა ადამიანთა ურთიერთობებს, რამდენ ბზარს დაამჩნევს ცხოვრება, რომელიც გამოცდილი აუდიტორია, ყოველთვის მიგითითებს შეცდომებზე, მაგრამ არასოდეს გიჩვენებს სწორ გზას. მე იმ წლებში დავიბადე, აღორძინების ხანა ჩავლილი რომ იყო, შემდგომ აღორძინებას კი მაშინ ვარაუდობდნენ, ღრმა სიბერე რომ მინევდა. წინასწარ ვგრძნობდი, სიცოცხლე ულიმღამო მგზავრობასავით გასტანდა. მახინჯი მხარეების მძაფრი აღქმა ღირებულებების მნიშვნელობას უარყოფს. მშობლები, სანამ ცოცხლები იყვნენ, იმედიან მზერას ფუჭად მაპყრობდნენ, აღარავისთვის ვიქნებოდი სამაგალითო. ლამობდნენ, ჩემთვის ენერგია შთაებერათ, მაგრამ ჩემი ძალა მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ იმისთვისლა მყოფნიდა, როგორლაც მეცხოვრა. ვიმედოვნებდი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, უთუოდ განმეორდებოდა, ანშლაგით ჩავლილ სპექტაკლებს ხომ ხელახლა დგამენ სცენაზე, ცვლილებები კი გულს გვწყვეტს, მაგრამ განა ჩვენი დროც ცვლილებებმა არ განაპირობა?! და ჩვენც ცვლილებებმა არ დაგვბადა?! პრაქტიკული კაცი ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ბუნების შეცდომად მიიჩნევს და გარიყავს. წარმატებულს რომ ჰკითხო, ბედნიერება ჯობს თუ მათემატიკის შესწავლაო, ნიშნისმოგებით გიპასუხებს, რა თქმა უნდა, მათემატიკის შესწავლა ჯობსო, მის გარეშე განა შესაძლებელი იქნებოდაო ბედნიერება? ასე ვებმებით იმ ორომტრიალში, რომელშიც თვითონ ტრიალებენ, ასე გვიბიძგებენ ჩიხისკენ, სადაც თავადვე დაივანეს და ასეთმა უვარგისმა დამოკიდებულებამ განმსჭვალა მთელი საზოგადოება. ამაოდ მიხმობენ ძველი ლანდშაფტები, ცხოვრება გამოტოვებული დეტალებია, რომლებიც უფსკრულებად მექცა, და არა გამჟღავნებული და უსიხარულო დღეები. მე დავადგინე, დაკარგული ნივთის საძებნად ზღვაში კი არ უნდა შეცურო, გამორიყვას უნდა დაელოდო. მე ჭვრეტით და აზრების განზოგადებით გაბეზრებული ფილოსოფოსი ვარ, ველარაფრით რომ ვერ ინაზღაურებს დაკარგულ დროს. ყიჟინა მთქნარებამ შეცვალა და თვალებში ნულარ მიყურებთ, რადგან იმ კაცის გამოხედვა შემზარავია, ვინც ვერ ნახა გამოსავალი. ბედნიერება მანამ არსებობს, სანამ ნამდვილ გრძნობებს მოვალეობანი ჩაანაცვლებენ. აღარცა მჯერა, სამყაროში, რაიმეს თუ გადავაწყდები დიდბუნოვანსა და წარუშლელი შთაბეჭდილებების აღმძვრელს. სანახაობა ჩემთვის აღარაა. საუკეთესო ეპიზოდებს კულისებიდან ვაკვირდები, სადაც არტისტები ზურგშექცევით დგანან, სცენა კი სტეპივით უკაცრიელია. ადამიანი რასაც თავის გარშემო ქმნის, იმ იდეებით იმსჭვალება. ჩემთვის გაუგებარია სამყარო თავისი დიადი მიღწევებით, რადგან საზოგადოება დიდ მნიშვნელობას იმას კი არ ანიჭებს, ვინ ხარ სინამდვილეში, არამედ იმას, რად წარმოგაჩენს ეს სინამდვილე. კაცს თუ ბოროტების ჩადენა განუზრახავს, მიზეზს ყოველთვის გამოძებნის და რაც უფრო ნაკლები სიმართლე გაჟღერდება მის ნათქვამში, მით უფრო ეცდება, ღრიალით გადაფაროს, რადგან სიყალბე იმდენად მატულობს, რამდენადაც კლებულობს გულწრფელობა, ხოლო ვინც ყველაზე მეტად აშავებს, ყველაზე ოსტატურადაც ნიღბავს... ეჰ, ადამიანებზე გული იმდენჯერ გამტეხია, მორიგი გაბზარვის ხმა აღარც გაისმება!

ვალენტი, თითქოს დენზე შეაერთესო, ისე ემოციურად ლაპარაკობდა და იძულებული ხდებოდა, დაორთქლილი სათვალეები წამდაუწუმ მოეხსნა და სახელოს სარჩულით გაეპრიალებინა. მდუმარე ეფოს ელვარე მზერა ჩაქრობოდა, მუჭში ხელსახოცი ჩაებღუჯა და კათხის ყოველი მოყუდებისას სიამოვნებით აწკლაპუნებდა ტუჩებს. ვალენტის სახეს არიდებდა, რასაც იგი თავმდაბლობაში უთვლიდა. ჩემ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ღრუბლივით ისრუტავს, ასეთ მსმენელს აუდიტორიაშიც არ ვღირსებივარო, ფიქრობდა ვალენტი, მაგრამ სინამდვილეში მაწანწალა მზად იყო, ყბედობისთვის საათობით ესმინა, სანამ ლუდის გადაყლურწვის საშუალება ექნებოდა.

-აი, შენ, ეფო! რომელ დაჯგუფებას ეკუთვნი? - ისევ განაგრძო ვალენტიმ, - მხარს აგიბამ! მიყვარს შენისთანა უბრალო ხალხი! ზოგს წყვდიადი სამალავად აქვს, ზოგს სამოქმედოდ! ამ ქვეყნად ყველას სიმყუდროვის მოწყობა უნდა, ოღონდაც თავისთვის, ასე ვთქვათ კომფორტი სიბერისთვის. მე კი ვერაფერს მივაღწიე, მთელი ჩემი ქონება ერთ მომცრო სკივრში ჩაეტევა. თუმცა ეს არც მიძებნია. ცხოვრება არ არის, თუმცა ცხოვრება გეგონება; არ წვიმს, მაგრამ თითქოს წვიმს... იმ დღეს ეს ლექსი დავწერე! - ვალენტიმ ჯიბიდან დაჭმუჭნილი ფურცელი ამოაძვრინა და კითხვა დაიწყო:

თბილი თვეებიც ისე გადიან,<br>
ვით თებერვლები, ანდა მარტები,<br>
ცხოვრება დიდი კომპრომატია<br>
პატარ-პატარა კომპრომატებით...

ვალენტიმ კითხვა შეწყვიტა და ეფოს თვალებში ჩახედა, მაგრამ მაწანწალა დუმილს არ ღალატობდა, მის მზერაში კი ვერაფერს ამოიკითხავდი. უცებ აიყარა გული ვალენტიმ და ხმა აღარ გაუღია. წამოსვლისას მიმტანს უხმო და ფული გადაუხადა, თვლის დროს რკინის მონეტა ძირს დავარდა წკარუნით, რომელსაც ეფო მყისვე დასწვდა და გადამხდელს მიაწოდა. როგორ ზრუნავს ჩემზე, გაიფიქრა ვალენტიმ, ზედმეტად კაპიკიც არ უნდა რომ დავკარგო, როგორი მზრუნველობით შემომყურებს, სანამ ჯიბეში ჩავიდებდე ამ ფულს.

-შენ გქონდეს! - შესთავაზა ვალენტიმ, მაგრამ ეფომ უარი განაცხადა.

-ასე იყოს, ეფო! - თქვა ვალენტიმ და საფულე დაანახა, თუმცა მონეტა პირდაპირ ჯიბეში ჩაიგდო სხვა მონეტებთან ერთად. მერე საფულეც იქ ჩაიდო. ძალიან მთვრალი იყო. გარეთ გამოსვლისას ვარსკვლავებს ახედა.

-ხვალ დარი იქნება! - თქვა მან - როგორი ყურადღებით მოგვჩერებიან ვარსკვლავები! ან იქნებ სულაც საოპერაციოს ნათურებია! დედამიწა ავადაა, მდგომარეობა კი სტაბილურად მძიმეა!

-აი, თქვენ, ამდენ სიბრძნეს ფლობთ! სიხარულზე კი, ამბობთ, არ გამაჩნიაო! - როგორც იქნა ამოღერღა ეფომ.

ვალენტი ერთხანს დუმდა და ბოლოს დამაგვირგვინებელი სიბრძნე გამოთქვა:

-ჰო, ასეა, ეფო, ცხოვრება არასდროს არ გაიოლდება, შენ უნდა გაძლიერდე!

გარეთ გამოსულებმა ღამის სიგრილეში კარგა ხანს იარეს, მერე ერთ მიყრუებულ მერხზე ჩამოსხდნენ, ათას საფიქრალს რომ მისცემოდნენ. ეფომ აიტეხა, ზეცა მოვრთოთო, ბავშვივით ცმუკავდა. მერე სადღაც გაშპა, ფეიერვერკისთვის მამხალებს ვიშოვი და მოვალო. ვალენტის ჩაეღიმა, შორეული ათინათები კი ზანტად განაგრძობდნენ ციმციმს...

ეროვნული

## 4.

ვალენტი გაღვიძებისთანავე მიხვდა, რომ გაძარცვეს. ბაღის მერხზე ჩასძინებოდა, ხოლო სიზმარში ცეცხლმოდებულ არქივს ხედავდა, რომლის ალზე მშვიდად ითბობდა ხელებს. მას გულის ჯიბე ამოცარიელებული ჰქონდა. ქურდს ყველაფერი ნაელო, გარდა დაჭმუჭნულ ფურცელზე დაწერილი ლექსისა, ეტყობა, პოეზიას დიდად არ წყალობდა. ცნობიერება ერთბაშად მორუხო ფერში გაეხვა, მაგრამ აღარაფერი შეეძლო, გარდა საკუთარი უძლურების გამოელენისა. მოჭუტული თვალები სწორხაზოვან ჭრილად ექცა. ასეთი რამ პირველად შეემთხვა და გალახულ ფინიას ჰგავდა. ნუთუ ეს ეფომ ჩაიდინა, გაიფიქრა მან და სასონარკვეთილი ფეხზე წამოდგა. ამდენი რამ ვილაპარაკეთ, ის კი ფულს დახარბდა, უკანასკნელ კაპიკებამდე ამოუკრეფია. სახელსაც მოიგონებდა, რომ ვერ მიმეგნო, ეგონა ძებნას დავუწყებდი. ალბათ თავიდანვე გადაწყვიტა ჩემი გაქურდვა. ლუდხანასაც კი ისეთ მიუვალ ლაბირინთში მივაშურეთ, გზაც არ დამხსომებია. მონეტაზეც ხომ დაიჟინა, საფულეში ჩამედო, არ ამოგივარდესო. თანაც იმიტომ მეტყოდა უარს, მთელი ფულის წაღებას აპირებდა და ბარემ ესეც იქ დებულიყო!

ვალენტი ზღვისკენ გაემართა, იქიდან ადვილად გაიგნებო გზას. ორიოდე ძაღლმა აქეთ-იქიდან შეუყეფა, ან ერთმანეთს გადაუყეფეს, მაგათსას რას გაიგებდი. ძაღლი თუ ყეფას ატეხს, განა ამაში გამვლელია დამნაშავე? ამ აღმოჩენამ ხასიათზე მოიყვანა. რა ჭკვიანურად მოვიქეცი, ნანილი ფულისა ჩემოდანში რომ გადავინახე, შორსმჭვრეტელობა გამოვიჩინე! ისეთი არაფერი მომხდარა, სიმხნევე დავკარგო, გამოუტყდა თავს, ხოლო შინ რომ დაბრუნდა, ამის შესახებ სახლის მეპატრონესთან კრინტიც არ დაუძრავს.

-ალბათ ზღვაზე სეირნობდით... რა ცუდია, წასვლა რომ გადაწყვიტეთ, ხედავთ, როგორი მზიანი დარი დადგა! - შეიცხადა მან. უცებ სასტუმრო ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. მამასახლისი ყურმილს დაწვდა, მცირე ხანში კი ყიჟინა მორთო:

-ვალენტინა! ვალენტინა! რა ბედნიერებაა! შვილიშვილი ჩამოგვდის! მატარებელი უკვე ძველდაბას უახლოვდება! თურმე გადაიფიქრეს! - მერე ვალენტის მიუბრუნდა - რა კარგია რომ მიდიხართ! ჩვენს შვილიშვილს ეს ოთახი ყველაზე მეტად უყვარს! ეგ ერთადერთი გვყავს! მზე და მთვარე მასზე ამოგვდის! რაც შეიძლება ვანებივრებთ, ხომ გესმით... ვალენტინა! ვალენტინა!

უნდა გენახათ, ეს ფაშფაშა ქალი როგორ დაბზრიალდა. ცოლ-ქმარმა ერთსულოვნად იწყო ქვედა თაროებიდან ჭურჭლის გადაწყობა ზედა თაროებზე. ყოველი მსხვრევადი ნივთი თვალთახედვის არეს მოაშორეს, ვაზა კი ფართო მაგიდის შუაგულში გადააადგილეს. მძიმე ნივთებს თავი ერთად მოუყარეს, ზეწარში გამოკრეს და მაგიდის ქვეშ რაც შეიძლება ღრმად შეჩურთეს. ბავშვი მშვიდობიანად გავისტუმროთ და მერე ყველაფერს დავაბინავებთო. მერე სარკეები ჩამოხსნეს და კარადის თავზე შემოაწყეს სქელ ნაჭრებში [illegible] მხოლოდ ერთი დატოვეს ადგილზე, რომელიც ისეთი გაბზარული იყო, საკუთარი თავი რომ ამოგეცნო, დიდხანს და დაკვირვებით უნდა გემზირა ნიკაპით მარჯვენა ხელზე დაყრდნობილს და ღრმად ჩაფიქრებულს. მისი გატეხვა მხოლოდ წაადგებოდათ, მიზეზი ექნებოდათ ახლის ყიდვისა. სახლს რომ მორჩნენ, ეზოში გადაინაცვლეს და ახლა იქ მოაშორეს თვალსაწიერს ყოველი მსხვრევადი ნივთი თუ საგანი, რაც გატეხვას ექვემდებარებოდა. მათი მოქმედება პარტიზანული მოძრაობის თავდაცვით მანევრს ჰგავდა მასშტაბური თავდასხმის მოლოდინში და არა საზეიმო აღლუმს. მოკლედ მთელ ამბებში იყვნენ, ვალენტიმ ოთახს რომ მიაშურა და ცხელი შხაპი მიიღო. გარეთ ისეთი მზე ამოსულიყო, თითქოს დედამიწას ოქროს სამკაული მოერგო. ერთბაშად მტვრის უთვალავი ნაწილაკი გამოჩნდა, სხივებზე ოქროს ნარჩენებივით მბზინავი. ვალენტიმ ტანსაცმელი გამოიცვალა და თავისი ძველი ჩემოდნით სასტუმრო ოთახში გამობრძანდა. თუმცა დრო კიდევ ჰქონდა, მაგრამ რადგან ბავშვის მოსვლამდე იქაურობა უნდა მიელაგებინათ, გაენიავებინათ, ბალიშისპირები და ზეწრები გამოეცვალათ, ხელი რომ არ შეეშალა, ოთახი ადრე მიატოვა.

-რა კარგია, რომ ბრუნდებით თქვენ გარემონტებულ სახლში და რა ბედნიერებაა, ეს ჩემოდანი თვალში რომ აღარ შემეჩხირება, ბარემ ქუჩაში გაგედგათ ბორდიურზე, განა ვინმე წაიღებს ამ უგვან ნივთს და საშინელი უგემოვნებობის ზეიმს? - მიახალა ქალბატონმა და თავის ქმარს მიუბრუნდა - გესმის, ბედოვლათო, აქ აღარასოდეს მოიყვანო ყვითელჩემოდნიანი მდგმური!

მერე ისევ ვალენტის გახედა და კიდევ რაღაც სიტყვები მიაყოლა, მგონი, ასე თქვა, ჯანდაბამდე გზა გქონიაო, მაგრამ ვალენტის ეს არ გაუგონია. მზიან ამინდში, რა თქმა უნდა ზღვის მარილიანი ანაორთქლი მეტი იქნებოდა, ან იქნებ ეს არაფერ შუაში იყო და ნევროზი სულაც შვილიშვილმა დამართა?

-ბავშვი რომ მოვა, საჭმელი ვაჭამოთ და მერე ჰაერზე ასეირნე, მშვენიერი დარია! - მიმართა ქმარს - მე მანამ ავეჯს მივალაგებ, ლეიბებს გამოვამზეურებ და ოთახს გავანიავებ, ათასი ბაქტერია დაგროვდებოდა! - თქვა დიასახლისმა და ისევ ვალენტის გადახედა - წინასწარ ვგრძნობდი, როგორც კი ყვითელ ჩემოდანს აქაურობას მოაცილებდნენ, ამინდიც გამოვიდოდა!

-ტაქსის გამოძახება არ დაგჭირდებათ! - მშვიდობიანად ახარა მამასახლისმა - შვილიშვილს მისი მომვლელი-გადია მოგვიყვანს და ბარემ იმ მანქანასვე გაჰყვებით! მანამ ცოტაოდენი დრო გვაქვს და ჭადრაკი ხომ არ გვეთამაშა?

მამასახლისი თითქოს იმისთვის დასდევდა ბრაზიან ცოლს, რომელიც თავის უკან მუდამ უდაბნოს ტოვებდა, ზედ ზეთისხილები რომ დაერგო და მშვიდობა დაემყარებინა. ვალენტი ამ ერთგულებას უფასებდა. სანამ დაფაზე ფიგურებს ალაგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ვალენტინამ მათ საბერტყი ჯოხით ჩაუარა. ქმარს მრისხანე მზერა შეავლო, თითქოს ეუბნებოდა, რომ წააგო, სახლიდან გაგაძევებო. მერე მეორე სართულზე ავიდა და ლეიბის ბერტყვას მოჰყვა. დარტყმების ყრუ და სასტიკი ხმა ბუბუნით აღწევდა სასტუმრო ოთახამდე.

-ეგ ქალი რინგზე ივარგებდა! - ჩაიბუტბუტა ვალენტიმ, მაგრამ ლამის ენაზე იკბინა, როცა კიბის საფეხურების ჭრიალი შემოესმა და ცხვირწინ დიასახლისი აესვეტა.

-ლეიბი ჩამივარდა! - მიმართა ქმარს - გადი და მოიტანე მაგ თამაშს, მე მანამ დაფას ვუყარაულებ, რომელიმე ფიგურა არ მოგპაროს ამან! - საბერტყი ჯოხი ვალენტის ზედ ცხვირთან მიუტანა, ქმარი კი ფაცხაფუცხით გავარდა გარეთ.

-აგებ? - ჰკითხა მარტო დარჩენილ ვალენტის.

-მე მგონი ვიგებ, ორი პაიკით მეტი მყავს და პოზიციურადაც უკეთესი მდგომარეობა მაქვს. დააკვირდით მარცხენა ფლანგს! აქ ისეთი მახე დავუგე, არა მგონია თავი გაართვას! - წინ გაშვერილი საჩვენებელი თითით, ვაგლახ, ვალენტიმ დეტალურად მიმოიხილა თავისი ურყევი პოზიციები.

-ჯობს გაისეირნო! - დაუყვავა ქალმა და მარჯვენა ხელით დაფა გადახვეტა - ჩემ ქმარს ვეტყვი, რომ დანებდი! თუ გკითხა, შენც ასე უპასუხე, ერთი პირი რომ გვქონდეს!

ვალენტი ჩემოდანს ჩაეჭიდა და ზღურბლთან ლეიბამოიღლიავებულ მამასახლისს შეეფეთა.

-გადავწყვიტე, გარეთ დავიცადო! - მიმართა მჯვახედ.

ვალენტი ტაქსს მორჩილად ელოდა, როცა მამასახლისიც გვერდით ამოუდგა და გზას ერთად შეაჩერდნენ. მანქანა მართლაც მალე გამოჩნდა. ნელი სვლით შედგა კაიბჭესთან და კარიც გაიღო...

იქიდან კი ნამდვილი პიროვნება გადმოვიდა, ცეროდენა პრინცი, მდუმარე და დამცინავი ღიმილით, სახლ-კარს მეფურად რომ გადახედა, თითქოს ნინაპრების მიერ გაწეული სამუშაოების აქტივ-პასივებს აფასებსო. მისი მახვილი მზერა ნათლად ამჩნევდა სუსტ წერტილებს და კმაყოფილებას ვერ მალავდა, ხოლო მასთან მოლაპარაკებას იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუკი თავად დაუჯდებოდა ეს ჭკუაში. მას ფეხდაფეხ ფაშფაშა ქალი გადმოჰყვა ჩახლეჩილი ხმით და ისიც ადვილი გამოსაცნობი იყო, ხმა რა მიზეზითაც ჩახლეჩოდა. მათ დანახვაზე ბებია-ბაბუა ჯერ ხელების ფშვნეტას მოჰყვა, მერე თვალების, სანამ სიხარულით საათანადოდ არ განიმსჭვალნენ და ბოლოს ტირილი მორთეს. მოკლედ მთელი დინამიკა სისრულეში მოიყვანეს და შვილიშვილს დიდი ჟრიამულით გადაეხვივნენ...

და შვებულების უკანასკნელ დღეს მიხვდა ვალენტი მთელი თავისი უგუნებობის მიზეზს. აი, რა აკლდა მის ხანგრძლივ და უსიხარულო ცხოვრებას, აი, რისთვის უნდა ეზრუნა ყველაზე მეტად... სიცოცხლის გაგრძელება, რომელსაც დიდი გულისყურით მოუსმენდა და თვითონაც გულწრფელად გაუზიარებდა თავისი ხანგრძლივი დაკვირვების ცხოვრებისეულ ამბებს. რისთვის ჭირდებოდა თავისი უბადრუკი სამსახური, მივლინების და შვებულების ფული, ან თუნდაც ის ბინა, სადაც თეთრად გადალებილი, მაგრამ უტყვი კედლები ელოდა. იგი ჯაჭვის უკანასკნელი რგოლივით იყო ამაო დროების სივრცეში გამოკიდული, დამშრალი ჭის გრძელი და ჭრიალა ონინარის დაგრეხილ თოკზე მიბმული სათლივით ეულად მოყანყალე...

ვალენტიმ ჩემოდანი უკანა სკამზე უხალისოდ მოათავსა, მერე წინა კარები გამოაღო და კიდევ ერთხელ გახედა სახლისკენ მიმავალ ონავარ ბიჭს, რომელიც ოთახის შიგნით შეიკარგა თუ არა, მსხვრევის ხმა გაისმა, ეტყობა ჩინური ფაიფურის ვაზას მისდგა, ტკბილადმოუბარ ვალენტინას ესოდენ რომ ეძვირფასებოდა. ვალენტის გაეღიმა, წამით ისევ შეიცადა, იქნებ ამ საყვარელ არსებას კიდევ ერთხელ მოვკრაო თვალი ფანჯარაში.

-აღარ წავიდეთ, უფროსო! -საყვედურით ამოხედა მძღოლმა. ვალენტი იძულებული გახდა, მანქანაში ჩამჯდარიყო და მატარებლის სადგურისკენ დაძრულიყვნენ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფარზანე ქარამფური

# გამაფრთხილებელი ნათურა

*სპარსულიდან თარგმნა მზია ბურჯანაძე*



ლამპიონები თითო-თითოდ, ერთმანეთის მიყოლებით აინთო. შადრევნები გამოირთო და წყალქვეშა განათებაც ჩაქრა.

მოედნის გარშემო ჩამწკრივებული ჭადრების ტოტებს ქარი ერთმანეთს ახლიდა და უკანასკნელ ხმელ ფოთლებს აქანავებდა. მოედნის ჩრდილოეთით მდებარე პიცერია ახალგაზრდა გოგო-ბიჭებით იყო სავსე. მათი სიცილ-ხარხარი და ლაზღანდარობა მოედნის მეორე ბოლოს სწვდებოდა. მაღაზიის წითელი ნათურა აუზის ზედაპირზე სისხლისფერ ლაქად ბზინავდა. განაპირა წიგნების მაღაზიაში შუქი ჯერ არ აენთოთ. ფანჯარაზე ჩამოკიდებული, ერთმანეთზე თოკით გადაბმული ჟურნალ-გაზეთები ქარში ირწეოდნენ და მინას უკაკუნებდნენ. კართან, ტაბურეტზე, მოხუცი გამყიდველი ჩამომჯდარიყო და, ნათურების ციმციმის შესაბამისად, ხან წითელი ფერი ედებოდა და ხანაც - შავი.

მანქანების წყება მოედანს გარს უვლიდა და ჰიპერმარკეტის ავტოსადგომში შედიოდა. ერთმა თეთრმა ავტომობილმა ჭიშკარი გაიარა, მარცხნივ გაუხვია და გაზონის პირას ორ თეთრ მანქანას შორის ჩადგა. ქალი თან ჩანთაში იქექებოდა, თან ლაპარაკობდა: „ზეთი არ დაგავიწყდეს, მაშინდელივით არ მოგივიდეს! ბრინჯი და ხბოს ხორციც იყიდე. ძვლის ტვინით იყოს! რამდენიმე შეკვრა ნაგვის პარკი! ნაშში ილევა. აღარც საპონი გვაქვს!"

კაცმა კბილებში რალაც გამოცრა, თითქოს, „კარგი, ჰო, კარგიო," და კარი მაგრად მიაჯახუნა. ქალმა თავი ასწია და ქმრის კუბოკრული პიჯაკის ზურგი დაინახა, დაისის ნაადრევ ბინდბუნდში თანდათან რომ ქრებოდა. ჩანთა უკანა სავარძელზე მოისროლა და ნამოიწია, ლაბადა გაისწორა. თავსაფარი შეისწორა, მოედნისკენ და მანქანების მწკრივისკენ მიბრუნდა, ნიკაპი ხელს ჩამოაყრდნო და გარესამყაროს მიაშტერდა...

კაცმა უკანა კარი გააღო და ნაეაჭრით სავსე პაკეტები სავარძელზე დაყარა. ცელოფნის პარკი ქალს გაუწოდა, მანქანა დაქოქა და თქვა:

- ესეც - სენდვიჩი!

ქალმა ერთი სენდვიჩი ამოიღო:

- ისევ სოსისი...

მოკბიჩა, მოედანს მიაშტერდა და გააგრძელა:

- ნახე, იმ ქალს რა ლამაზი მანტო აცვია, გამხდარი ჩანს.

კაცმა ფარები აანთო და ავტოსადგომიდან გავიდა. მოედანს წრე დაარტყა და ავტობანისკენ მიმავალ გამზირზე გაუხვია. რადიო ჩართო და პირგამოტენილმა თქვა:

- ახალია...

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი. ყბებისა და ღეჭვის ხმებმა აავსო სივრცე. დიქტორი აღმოსავლეთ ავტობანზე მომხდარი ავარიის ამბავს გადმოსცემდა და ქალაქის სამხრეთი რაიონის გამზირებზე საცობების თაობაზე აფრთხილებდა... მერე ჰაერში საზის ქვითინის ხმა დაირხა. ავტობანი თავისუფალი იყო, შორს შუქნიშანი წითლად, ყვითლად და მწვანედ კიაფობდა. ხიდი რომ გადაიარეს, ქალმა იკითხა:

- აქედან რატომ?

კაცმა ქაღალდი და ცელოფანი ფანჯარაში მოისროლა:

- აბა, საიდან?

ქალმა ჭამა-ჭამით ჰკითხა:

- კი მაგრამ, სახლში არ მიდიხარ?

და კაცისკენ შებრუნდა. გაოგნებულმა ამოთქვა:

- თქვენ?!.

უცხო კაცმა მანქანა გზიდან გადაიყვანა და გააჩერა.

- ეტყობა, შეგვეშალა. მოსახვევამდე მივიდეთ და უკან დავბრუნდეთ.

ქალმა საათს დახედა:

- ცხადია, ისინიც მიხვდებოდნენ. ალბათ, გვეძებენ. იქნებ იქვე გველოდებიან.

გზაში ქალმა შეფარვით შეათვალიერა კაცი. კუბოკრული პიჯაკი და მუქი შარვალი ეცვა. ტუჩს ჭალარა ულვაში უფარავდა. ქალი ვერ იხსენებდა, მის ქმარს ჰქონდა თუ არა ულვაში. თითქოს მისი შარვალი უცნობი კაცის შარვალზე უფრო ღია ფერის იყო, ცხვირთან კი ხალი ჰქონდა. კაცმა ქალის პროფილს შეავლო თვალი და გაიფიქრა, რომ მისი ცოლის ცხვირი ცოტა უფრო დიდი იყო. თავსაფრიდან გადმოვარდნილ თმის კულულს გახედა და ვერ გაიხსენა, თმები მის ცოლს უფრო ბაცი ჰქონდა თუ - უფრო მუქი. საბარგულში ჩადებული საბუთებიანი ჩანთა გაახსენდა, დილამდე რომ უნდა ჩაეგდო ხელში - ანგარიში, რომელიც მდივანთან სამსახურის დაწყებისთანავე უნდა მიეტანა!

გაზს დააწვა. მინას წვიმის პირველი წვეთები დაეცა, ქარი გაძლიერდა. მოედანს მიაღწიეს. პიცერიაში ჯერ კიდევ იყო ხალხი. სხვა მაღაზიებზე ჟალუზები ჩამოეშვათ და სინათლეებიც გამოერთოთ. ჰიპერმარკეტი დაეკეტათ. არც მოედნის გარშემო და არც ავტოსადგომზე მანქანები არ ჩანდა. ტროტუარზე, წიგნის მაღაზიასთან დარჩენილ ტაბურეტს ხან წითელი ფერი ედებოდა და ხანაც - შავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი36/2

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

